# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 22 დეკემბერი, 2007 წელი.

№ 251 (5852)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## მიხეილ სააკაშვილი:

# „საქართველოში არ განიცდიან ზედმეტ კრძალვას პრეზიდენტის წინაშე“

10–11



*„ღმერთმა დაგვიფაროს, მე პარანოია არ მაწუხებს და სულაც არ მგონია, რომ ყველა ამ ადამიანის ზურგს უკან მოსკოვი დგას. იმასაც კი არ ვამტკიცებ, რომ ჩვენმა დიდმა მეზობელმა ამ მოვლენებში დიდი როლი შეასრულა (იცინის). ეს რუსეთის პრესაში მიანიჭეს განსაკუთრებული მნიშვნელობა თბილისში რუსეთის საელჩოს თანამშრომლებთან ოპოზიციის ურთიერთობას. ჩვენში კი მათი საუბრების პუბლიკაციას არავითარი ანტირუსული მიმართულება არ ჰქონდა, ის ადასტურებდა მხოლოდ ჩვენი რადიკალების ორპირობას: ისინი ხომ საჯაროდ მძაფრად ილაშქრებდნენ რუსეთის წინააღმდეგ“.*



## სერგეი შამბა: ვინც აფხაზეთის ტერიტორიის დატოვებას 5 იანვრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით აპირებს, იმათ უკან დაბრუნების პრობლემა ექნებათ

5–6

⊙ სულის ტკივილი

## არადა როგორ მიყვარდა ხუთიანი!!!

„ვიღაცას დედაჩემისთვის უთქვამს, კონიაკში ძროხის რძე ჩაუსხი და სმა შესძულდებაო.

იმასაც დაუჯერებია და ჩაუსხამს.

ჰოდა, დილით მთელი ჭიქა სულმოუთქმელად რომ გამოვცალე, მას შემდეგ საერთოდ შემძულდა... რძე და ძროხა!“





გეხსომებათ, ალბათ, ცხონებული თენგიზ ჩანტლაძის ეს მინიატურა.

რამ გამახსენა იგი?

პირველკლასელმა პირველი ხუთიანი რომ მივიღე და საოცრად მკაცრმა მამაჩემმა ამისთვის რომ წამახალისა, მას შემდეგ მიყვარს ეს ციფრი.

ახლა კი, როცა ხუთიანი ლამის ყველა ვიტრინაზე, ბილბორდზე, ავტობუსის მინებზე, ქუდსა თუ კაშნზე და, საერთოდ, სად არ არის გამოკრული, იგი ჩანტლაძის რძიან კონიაკზე მეტად შემაძულეს!

ისღა მამშვიდებს, რომ გადაბრუნებული ხუთიანი ორიანი ხდება.

არადა, მართლაც, როგორ მიყვარდა ხუთიანი!!!

ხუთ ოსანიძე.

## ფრიდონ თოდუა:



## ბატონ მიხეილ სააკაშვილს არ სჭირდება ხალხის სპეციალურად ჩაყვანა მიტინგებზე...

3

## კახელი გამგებლები სააკაშვილის რეიტინგის გამყარებას ვითომ უშედეგოდ ცდილობენ?!

4



## ნამდვილ ქართველ ახალგაზრდებს არ სჭირდებათ ბელადები!

*იმ ახალგაზრდებს რა ინტერესი აქვთ, რომლებიც ოპოზიციურ პარტიებში არიან გაწევრებულნი? ისინი ხომ აბსოლუტურად უანგაროდ „დარბიან“ და ხშირ შემთხვევაში საკმაოდ სერიოზულ საფრთხეში იგდებენ თავს (ნაცმოძრაობას საკმაოდ „გამოწრთობილი ზონდერ-კამანდები“ ჰყავსძ*

დრო

● დღეს საზოგადოების განწყობა ისეთია, რომ გაუყალბებელი არჩევნების პირობებში სააკაშვილს გამარჯვების შანსი არა აქვს. ალბათ იგი ეცდება გააყალბოს, მაგრამ ეს გაყალბება საბოლოოდ დაასრულებს მის პოლიტიკურ კარიერას



◉ საარჩევნო ციებ-ცხელება

**არც საპრეზიდენტო და არც სხვა სახის არჩევნებს არ ახსოვს დროის ისეთი „ცაიტნოტი", როგორშიც მიხეილ სააკაშვილმა 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ სხვა ექვსი პრეტენდენტი ჩააყენა. თან, ბადრი პატარკაციშვილის შიშით თუ ჯინაზე, ისეთ დაპირებებს აძლევს ხალხს მარჯვნივ თუ მარცხნივ, რასაც არა თუ მემარჯვენე გამყრელიძე ან მემარცხენე ნათელაშვილი არ რისკავენ, არამედ ყოვლისშემძლე სანტა კლაუსიც ვერ გარისკავდა.**

**სამწუხაროდ, ამ თითქმის უტოპიურ დაპირებებში ყოფილმა პრეზიდენტმა თავისი კონკურენტებიც აიყოლია და დაპირებების ისეთი კორიანტელი დახვავდა, ხალხმა აღარ იცის ვის მისცეს ხმა. არადა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ამომრჩეველი ხმას ცალკეულ დაპირებებს კი არა, ქვეყნის მართვის პროგრამას უნდა აძლევდეს, რომელიც მომავლისათვის სასიკეთოდ დაესახება.**

**პროგრამას რომ არ აძლევს ხმას — ალბათ, იმის ბრალიც არის, რომ პრეზიდენტობის კანდიდატთა საარჩევნო პროგრამები ძირითადად ერთმანეთს ჰგავს.**

**მაგრამ ამ „უნიტარულობის" ფონზე, ამერიკის აშშ-ის ელჩმა საქართველოში ბატონმა ტეფტმა მაინც გამოარჩია მემარჯვენე კანდიდატის დავით გამყრელიძის საარჩევნო პროგრამა და იგი გასაცნობად ვაშინგტონში ამერიკის შშ-ის ადმინისტრაციას გადაუგზავნა. რას ნიშნავს, რას გულისხმობს ეს ფაქტი?**

**სწორედ ამ შეკითხვით მივმართეთ მემარჯვენეთა ერთ-ერთ „დამკვრელ ძალას", პარლამენტარ მანანა ნაჭყებიას.**

# მანანა ნაჭყებია: დღეს ყველაზე გონიერი პოლიტიკური ძალა ახალი მემარჯვენეებია

— უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ როდესაც ჩვენ საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს შევხვდით, როგორც საპარლამენტო ისე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის უკვე მზად გვქონდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მოწყობის სამოქმედო პროგრამა. ასე რომ, ასეთ მოკლე დროში სააკაშვილის მიერ მოულოდნელად არჩევნების დანიშვნამ, პროგრამასთან მიმართებაში ცაიტნოტში ვერ ჩაგვაგდო. ჩვენ გვქონდა პროგრამის ინგლისური ვერსიაც. ვთვლით და გვაქვს პრეტენზია, რომ ჩვენი პროგრამა, ექსპერტების დასკვნით, ყველაზე კარგად დამუშავებულია სხვა პოლიტიკური პარტიების პროგრამებთან შედარებით. ამიტომ არ გვიკვირს, რომ ბატონ ტეფტის ყურადღება მიიქცია.

მაგრამ რას ნიშნავს, ან რას გულისხმობს პროგრამის ვაშინგტონში გადაგზავნის ფაქტი, ამაზე ზუსტად ვერ გიპასუხებთ, მაგრამ იგი უეჭველად ასახავს და ადასტურებს იმ სიმპატიებსა და ინტერესებს, რომელიც ვაშინგტონში არსებობს დავით გამყრელიძის, როგორც პოლიტიკოსისადმი.

და მეორე, ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი:

დღეს, როცა პრაქტიკულად ამერიკამ, რომელიც გულწრფელად იყო მოწადინებული საქართველო ყოფილიყო „დემოკრატიის შუქურა" და ჰქონდა კიდეც ამის იმედი, თვალნათლივ დაინახა, რომ ეს მცდარი იმედი გამოდგა. აქედან გამომდინარე, ამერიკის პოლიტიკური წრეები და მთავრობაც თავისი შეხედულებების გადაფასებას ახდენენ. მე არ გამოვრიცხავ, რომ მათში უკვე გაჩნდა კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ პოლიტიკოსზე გაკეთდეს არჩევანი ვაშინგტონის მხრიდან.



ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ამერიკას, დასავლეთ ევროპას სხვა არაფერი აინტერესებს, გარდა იმისა, რომ საქართველო იყოს დემოკრატიული ქვეყანა, რადგან, მოგეხსენებათ, დემოკრატიული ქვეყანა ყოველთვის პროგნოზირებადია, მისგან არ უნდა ველოდეთ მოულოდნელობებს. პროგნოზირებადობა კი თავისთავად ნიშნავს სტაბილურობას.

ვფიქრობ, რომ ჩვენი პოლიტიკური ძალა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა თანამიმდევრულობით, სტაბილურობით, დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულებით, დღეს ერთ-ერთი ყველაზე მისაღები პოლიტიკური ძალაა დასავლეთისათვის.

**— ამას წინათ, ამერიკის კონგრესმა პრეზიდენტ ბუშს მოუწოდა, რომ იგი დაინტერესდეს და რჩევები მისცეს საქართველოს ხელისუფლებას არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებასთან დაკავშირებით, რას ნიშნავს ასეთი დემარში კონგრესის მხრიდან?**

— საქართველოს მომავალი არჩევნები დღეს მთელი დასავლეთის ყურადღების ცენტრშია. დემოკრატიულმა სამყარომ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაინახეს, რომ საქართველოში არის დემოკრატიის პრობლემები. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, 2-7 ნოემბერი არ იყო ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გამო პროტესტი. ეს პროტესტი ძირითადად აგებული იყო ჩვენში დემოკრატიის დეფიციტზე, და იმ დღეებში ხალხმა სწორედ ამის გამო გამოუცხადა სააკაშვილის პროტესტი, როგორც არადემოკრატ მმართველს. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალი და 5 იანვარს არჩევნები დღევანდელი ხელისუფლებისთვის არის საგამოცდო ტესტი: გააყალბებს თუ არა არჩევნებს და ივლის თუ არა დემოკრატიის გზით.

დღეს საზოგადოების განწყობა ისეთია, რომ გაუყალბებელი არჩევნების პირობებში სააკაშვილს გამარჯვების შანსი არა აქვს. ალბათ იგი ეცდება გააყალბოს, მაგრამ ეს გაყალბება საბოლოოდ დაასრულებს მის პოლიტიკურ კარიერას. დღეს მას ჯერ კიდევ აქვს შანსი გააგრძელოს პოლიტიკური კარიერა, მაგრამ 5 იანვრის არჩევნების გაყალბების შემდეგ ეს შანსი აღარ ექნება. ალაბთ, სწორედ ეს აქსიომა უნდა ჩააგონოს პრეზიდენტმა ბუშმა მიხეილ სააკაშვილს.

**— საპრეზიდენტოს მოსდევს (აპრილში ან ნოემბერში) საპარლამენტო არჩევნები. იქ როგორი შანსი აქვს ოპოზიციას?**

— მე ვფიქრობ, მიუხედავად იმისა, რომელი პოლიტიკოსი მოვა ხელისუფლების სათავეში 5 იანვარს, მომავალი საპარლამენტო არჩევნები იქნება ბევრად უფრო დემოკრატიული და რომელიმე პოლიტიკურ ძალას გაუჭირდება 90 პროცენტით პარლამენტში მისვლა. პროგნოზი ასეთია: მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ძალა ველარ შეძლებს გაიმეოროს ის, რაც მოხდა წინა საპარლამენტო არჩევნების დროს. ამის მიზეზი, ერთის მხრივ, მმართველი ძალის დისკრედიტაციაა, მეორეს მხრივ — წინა არჩევნებიდან დღემდე დროის შუალედში სხვა პოლიტიკურ ძალებს მიეცათ საშუალება კარგად წარმოეჩინათ თავისი პოლიტიკური ხედვა. საზოგადოება დღეს აფასებს იმ ნაბიჯებს, რომელიც მემარჯვენეებმა გადადგეს „ვარდების რევოლუციის" დროს. ჩვენ მაშინ თუ „ბუჩქების პოლიტიკოსებს" გვიწოდებდნენ, დღეს ნათლად ჩანს, რომ ყველაზე გონიერი პოლიტიკური ძალა ახალი მემარჯვენეებია და აქედან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს პრეტენზია იმაზე, რომ „ახალი მემარჯვენეები" უფრო დიდი დოზით წარდგნენ პარლამენტში.

**— კონსტიტუციური მონარქიის შესახებ თქვენი კონცეფცია ჯერ არ არის ხალხში სათანადოდ პოპულარული, ან ხალხი არ არის მზად ამ ნაბიჯებისთვის. თქვენ რა მიგაჩნიათ ამის მიზეზად?**

— ჩვენ ვფიქრობდით, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე მოგვეცემოდა საშუალება დაგვესაბუთებინა საზოგადოების ყველა ფენისათვის ამ მოდელის უპირატესობა. სამწუხაროდ, გაუთვალისწინებელი პოლიტიკური მოვლენების გამო, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ძალიან ადრე დაინიშნა. დღეს ძნელია საზოგადოებას სწრაფად განუმარტო ის, რასაც ჩვენი აზრით ერთი წელი მაინც დასჭირდება. „ახალი მემარჯვენეები", ცხადია, მხარს ვუჭერთ უწმინდესის ინიციატივას და ვამბობთ, რომ საქართველოსთვის მისაღები პოლიტიკური მოდელია კონსტიტუციური, ანუ იგივე საპარლამენტო მონარქია, ეს იგივე საპარლამენტო რესპუბლიკაა მონარქიით სათავეში.

მაგრამ ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი არ არის ერთი პოლიტიკური ძალის გადასაწყვეტი, მით უმეტეს ამ ვითარებაში. ამიტომ, თუ ახალი მემარჯვენეების კანდიდატი გაიმარჯვებს — იგი საპარლამენტო არჩევნებთან ერთად დანიშნავს რეფერენდუმს — „ქვეყნის როგორი მოწყობა სურს ხალხს". მხოლოდ ამის შემდეგ, როცა ხალხი თავის ვერდიქტს გამოიტანს და რომელიმე მოდელს მისცემს ხმას, დავით გამყრელიძე დაუყოვნებლივ შეუდგება ამისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რასაც გარკვეული დროს დაჭირდება.

**— რას ურჩევდით ქართველ ხალხს არჩევნების წინ.**

— უცილობლად მოვიდეს არჩევნებზე!

ესაუბრა
**ომარ ჩიტაია**

◉ რეპორტაჟი ცოცხალი რიგიდან

# „დურაკული" გეგმა –

**–მე არ მჭირდება ამბიციების დაკმაყოფილება,–განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა ბადრი პატარკაციშვილმა და შოკისმომგვრელი საარჩევნო კამპანიაც დაიწყო. დაიწყო ჯერ „მაცდუნებელი" თეზისებით. თუმცა ეს თურმე ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რასაც სულ მალე ვიხილავთ სრული პროგრამის სახით.**

სად იყო აქამდე, რას ელოდებოდა, ვინ უშლიდა ხელს ქველმოქმედებაში? — ისმის ოპონენტთა კითხვები.

მაგრამ ასე როდი ფიქრობს ძალიან ბევრი, ყოველ შემთხვევაში ისინი, ვინც პატარკაციშვილის სახლის გალავანთან დგანან. უკვე მერამდენე დღეა არ წყდება ხალხის ნაკადი, არც გზა აქვთ გადაკეტილი და არც ჭიშკარი. არაა „ყაყანი", შეხლა-შემოხლა, ჯიკავი. რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, სიტყვას არ ძრავენ პოლიტიკაზე. პირიქით, საათობით, მომინებით ელოდებიან რიგს — პირადობის მომწობის ქსეროასლით ხელში. ერთადერთი, რაც აღიზიანებთ, ურიგო შესასვლელთან მისული ადამიანია. ამ დროს კი, მართლა წერტილი ესმება მოთმინებას:

— რა ხდება, ბატონო, ურიგოდ ნუ შედიხართ!

— რეგისტრაციისთვის არ შევდივარ, საქმე მაქვს...

— ყველას საქმე გვაქვს, ისე კი არ ვდგავართ.

— რა იცით, მე რა მიჭირს?

— იქნებ მე უფრო მიჭირს, აქ ყველა გაჭირვებულია.

* * *

— რატომ არის რიგი, აკი ფულს არ არიგებენო?

— არა, კაცო, ეს ვიღაცამ შემოაგდო „ჩორტი".

— აბა, ეს რეგისტრაცია რაღა საჭიროაო, რას ამბობენ?

— რეგისტრაციას ვინც გაივლის, ბადრის გამარჯვების შემდეგ დაასაქმებსო.

— აბა რა ვიცი, მე იქ არ მივსულვარ და აქ მოვედი.

—სააკაშვილის არც ერთი თეთრი მინდა და არც მილიონი.

— პატარკაციშვილის რად გინდა?

— ნაღდი კაცია და მიტომ.

— აქამდე რამე ხომ არ გაუკეთებია შენთვის?

— არც არაფერი. მაგრამ რასაც ამბობს, გააკეთებს...

* * *

— გაიარეთ რეგისტრაცია, არა?

— კი, გავიარე.

— რამე საბუთი ხომ არ მოგცეს?

— არა, არაფერი. პასპორტის ასლი ჩავაბარე. არაფერი მოუციათ.

— აბა, რა გითხრეს, რაო?

— მადლობაო და წამოვედი.

— კი, მაგრამ ამისთვის მოხვედი?

— რომ გაიმარჯვებსო, დაგასაქმებთო, ვისაც რეგისტრაცია აქვს გავლილი, ხელშეკრულებას დაუდებსო და ფულს მოგცემს.

— რეგისტრაციის გარეშე არაო?

— არაო, აბა რა ვიცი.

— რა პროფესიის ხართ, სად უნდა დაგასაქმონ?

— დიასახლისი ვარ, სად დამასაქმებენ, არ ვიცი.

* * *

— ჭიშკართან ნუ დგახართ რიგში!

— ჟურნალისტი ვარ, შესვლა მინდა.

— ახლა არავის არ სცალია. დაელოდეთ.

— ვერ დაველოდები, პრესცენტრს უთხარით...

● არ არის ასე – თუ თქვენ მე რაიმეს გამიკეთებთ, სანაცვლოდ ხმას მოგცემთო. საკუთარ თავს ამის უფლებას ნამდვილად ვერ მივცემ.
შტაბში უამრავი ჩემი პაციენტიც მოდის. მოვედით და ვიქნებით თქვენთან, რადგან თქვენ აქ ხართო, მეუბნებიან და არაფერს ითხოვენ



◉ საარჩევნო შტაბი

# ფრიდონ თოდუა: ბატონ მიხეილ სააკაშვილს არ სჭირდება ხალხის სპეციალურად ჩაყვანა მიტინგებზე...

*მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა ფილარმონიას გენერალურ შტაბსა და არჩევნების ტვინს უწოდებს. მართალია, მოულოდნელი ყოფილა, როდესაც პრეზიდენტმა ეს თანამდებობა შესთავაზა, მაგრამ უარი არ უთქვამს...*

**– როგორია შტაბის საქმიანობის რეჟიმი? ვინ არიან გაწევრიანების მსურველი მხარდამჭერები და რას მოითხოვენ ისინი?**

– მინდა გითხრათ, რომ ხალხის ნაკადი არ წყდება.ყოველდღიურად ასობით ადამიანი წევრიანდება. ისინი მხარს უჭერენ ბატონ მიხეილ სააკაშვილს. არ გეგონოთ, რომ მხოლოდ რაიმეს სათხოვნელად მოდიან, თუმცა, ბუნებრივია, ასეთებიც არიან, ზოგი ოჯახური პირობების გაუმჯობესებას, ზოგი დასაქმებას, ზოგიც სამკურნალო საკითხების მოგვარებას ითხოვს. მათ ვიღებთ, ვესაუბრებით. ჩვენი იურისტები კი რჩევას აძლევენ. არ არის ასე – თუ თქვენ მე რაიმეს გამიკეთებთ, სანაცვლოდ ხმას მოგცემთო. საკუთარ თავს ამის უფლებას ნამდვილად ვერ მივცემ.

შტაბში უამრავი ჩემი პაციენტიც მოდის. მოვედით და ვიქნებით თქვენთან, რადგან თქვენ აქ ხართო, მეუბნებიან და არაფერს ითხოვენ.

**– ერთ-ერთმა გაზეთმა თქვენ გაგაკრიტიკათ – თითქოს ცნობილი ქართველი ექიმები დაგიბარებიათ და დახურულ კარს მიღმა შეხვედრიხართ მედიკოსების ხმების მოსაგროვებლად.**

– ექიმებს, ინსტიტუტის დირექტორებს ნამდვილად შევხვდით. ეს მათ თავად სურდათ.

**– ანუ თქვენ არ დაგიბარებიათ ისინი შტაბში?**

– არა, ბატონო. თვითონ მოვიდნენ. როგორ შემიძლია დავურეკო და დავიბარო სამედიცინო ინსტიტუტებისა და ცენტრების დირექტორები: ბადურ მოსიძე, ლაურ მანაგაძე, გულიკო ჩაფიძე, რომან შაქარაშვილი და სხვები.

**– მათ დახურულ კარს მიღმა, თქვენს კაბინეტში არ შეხვედრიხართ?**

– თქვენ თვითონ ნახეთ, რა პატარაა ჩემი კაბინეტი და იქ მსგავსი შეხვედრა ვერ გაიმართებოდა. შტაბში მოდიან პედაგოგები, მეცნიერები, აკადემიისა თუ სოფლის მეურნეობის მუშაკები, ყოველდღიურად ერთი-ორი შეხვედრა მაინც იმართება. ყველას შეუძლია დასწრება, მოსმენა, აზრის გამოთქმა.

**– რა საკითხების გასარკვევად სტუმრობდნენ შტაბს ექიმები?**

– აინტერესებდათ როგორი იქნება მომავალი ინსტიტუტის ბედი, როგორ გატარდეს მედიცინის სფეროში რეფორმები. მათ ვუთხარი, არჩევნების შემდეგ შევხვდეთ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს პრეზიდენტთან ერთად, ვიმსჯელოთ იმ უამრავი საკითხის მოსაგვარებლად, რომელიც მედიცინაში დაგროვდაო. 16 წლის წინათ ჩამოვედი საქართველოში. მაშინ მხოლოდ ჩვენს ინსტიტუტში იყო კომპიუტერული ტომოგრაფია, ახლა კი უკვე მრავალ ადგილას არის.

ბევრი გაკეთდა, ბევრიც გასაკეთებელია, მაგრამ ქვეყანა ერთ დღეში არ აშენებულა. ისეთ ქვეყანაში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია და, საერთოდ, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სოციალური საკითხების თვალსაზრისით და მედიცინაშიც უამრავი პრობლემაა.

**– თქვენ დამაჯერებლად თქვით, რომ არჩევნების შემდეგ სააკაშვილს შეხვდებით, როგორც პრეზიდენტს. დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი კანდიდატი გაიმარჯვებს?**

– ყველა კანდიდატს კარგად ვიცნობ, ყველას ვაფასებ, ისინი ღირსეულები არიან, მაგრამ არსებითია, ვის როგორი პროგრამა ექნება და როგორ დაარწმუნებს ხალხს. ხალხი კი ვის მისცემს ხმას, თვითონ გადაწყვეტს, როცა კაბინაში შევა. მჯერა, მიხეილ სააკაშვილი გაიმარჯვებს, მან და მისმა გუნდმა ბევრი გააკეთა, მაგრამ გასაკეთებელი უფრო მეტია.

თქვენ თვითონ დადიხართ ქალაქში, რაიონებში ჩადიხართ. თავად ხედავთ, რამდენი რამ შენდება.

**– პრეზიდენტობის კანდიდატები ძალიან გულუხვნი არიან, თუნდაც ბადრი პატარკაციშვილი – ხალხს ჰპირდება, რომ გაზისა და ელექტროენერგიის ფულის ნახევარს თავად გადაიხდის, წყლის ფულს მთლიანად დაფარავს. მესამე შვილზე 5 ათას ლარს გასცემს, უმუშევრებს დაეხმარება... როგორ ფიქრობთ, კარგი დაპირებებია?**

– ეს ყველაფერი ერთ წელიწადს გულისხმობს. ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ერთ წელიწადში ქვეყანას ვერ ააყვავებს.

**– პატარკაციშვილს ამ პროგრამის გამო ხელისუფლების წარმომადგენლები ამომრჩევლის მოსყიდვაში ბრალს სდებენ. რატომ არის მოსყიდვა, თუ პრეზიდენტობის კანდიდატი საკუთარი ჯიბიდან გადაიხდის ფულს, და რატომ არ არის მოსყიდვა, როცა დასაქმების სამთვიან პროგრამაში ხელისუფლება 600 ლარს აძლევს მოქალაქეს?**

– რამდენიმე ქვეყანაში გამართული არჩევნების სპეციფიკას გავეცანი. არც ერთ კანდიდატს არასდროს უთქვამს, მოდით, ხალხო, ფულს მოგცემთო. შეიძლება პიროვნება ამომრჩეველს ქარხნის აშენებას და მრავალი სამუშაო ადგილს დაპირდეს, რაც ჩემთვის მისაღებია.

ბატონ ბადრის დიდ პატივს ვცემ, თუმცა ახლოს არ ვიცნობ. ჩემთვის უფრო მისაღები იქნებოდა, მას ეთქვა, ჩემს მილიარდ დოლარს ქარხნების აშენებაში ჩავდებ და ხალხს დავასაქმებო, ვიდრე ადამიანს დაპირდე – 300-300 ლარს დაგირიგებთ და მერე ხმა მომეციო.

**– ამის გამო პატარკაციშვილის შტაბმა არაერთხელ განაცხადა, რომ ეს ხელისუფლების პროვოკაცია იყო და არანაირ თანხას მათი პრეზიდენტობის კანდიდატი არ ურიგებდა...**

– დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით ამ საკითხზე. მინდა, ჩემი ქვეყანა აყვავებული, ბედნიერი იყოს. გაიმარჯვოს იმ კანდიდატმა, ვინც დაარწმუნებს ხალხს დაპირებების რეალურ შესრულებაში.

ასეთად ჩემი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიმაჩნია.

**– მაინც მინდა თქვენი ოპონენტების როლი ვიკისრო, რომლებიც ხშირად აცხადებენ, რომ სიები გაყალბებულია, რომ თქვენი კანდიდატი საარჩევნო კამპანიისას ადმინისტრაციულ რესურსებს და მუნიციპალურ ტრანსპორტს იყენებს, მინისტრებთან ერთად მართავს შეხვედრებს...**

– ქვეყნის პრეზიდენტი რომ გადადგება, მას გადადგომისთანავე უფრო მეტი დაცვა სჭირდება, ვიდრე მანამდე ჰყავდა. ბატონი ედუარდიც დაცვით დადის. სახელმწიფო სამთავრობო დაცვის სამსახური ვალდებულია ყველა კანდიდატი დაიცვას. ევროპულ ქვეყნებში ასეა და ეს ყველაფერი აქ რატომ უკვირთ?

ხოლო წინასაარჩევნო დარღვევების თაობაზე ყველა ჩემს კოლეგას, შტაბის უფროსებს მივმართე, მოდით, შევიკრიბოთ, გნებავთ ჩვენთან, გნებავთ, ნეიტრალურ ადგილას, თანახმა ვარ. დავსხდეთ, განვიხილოთ, ერთად გამოვასწოროთ, თუ მართლა არის რაიმე დარღვევები. კი აცხადებენ ღიად, რომ რაღაც ნახეს, მაგრამ ამის დოკუმენტი არა აქვთ. ამის მიუხედავად, არც ერთი მათგანი არ გამოეხმაურებია, არც არავის დაურეკავს, თუმცა, ყველამ იცის ჩემი ტელეფონი და შეუძლიათ დამირეკონ.

**– კონკრეტულად ვის შესთავაზეთ ასეთი სახის თანამშრომლობა?**

– ყველას შევთავაზე ტელევიზიით და პრესით. უარი არ მითქვამს არავისთვის.

**– ოპოზიცია იმასაც ლაპარაკობს, ხელისუფლებას ხალხი ძალით, ავტობუსებით მიჰყავს თავის მიტინგებზეო...**

– რატომ გგონიათ, რომ მიჰყავთ? იქნებ რომელიმე სოფელს თავად უნდა მიტინგზე დასწრება? ზოგი ფეხით მიდის, ზოგი ავტობუსით. ამაში ცუდი რა არის? იქნებ თვითონ ქირაობენ ავტობუსს?

**– თბილისიდან ხალხი რომ ჩაჰყავთ...**

– არ არის მართალი. ზუგდიდში ისეთი ამბავი იყო, წვიმიანი ამინდის მიუხედავად!.. მე თავად იქ არ ვიყავი, მაგრამ ვიცი, როგორ გამორჩეულად დახვდნენ მიხეილ სააკაშვილს, 40 ათასამდე კაცი იდგა საშინელ წვიმაში და სიმღერით, თბილად მიიღეს იგი. ბატონ მიხეილს არ სჭირდება, ხალხის სპეციალურად ჩაყვანა მიტინგებზე...

**– არჩევნების გაყალბების თემაც აქტუალურია...**

– ვისაც დაბალი რეიტინგი აქვს, ამ თემაზე ის ყველაზე მეტს ხმაურობს. 7 კანდიდატიდან ვილაცამ ხომ უნდა გაიმარჯვოს? რატომ ჰგონია მავანს, რომ არჩევნები გაყალბდება? ზემოხსენებულ მიმართვაში ისიც ვთქვი, მოდით, დავსხდეთ და ერთად შევუტიოთ, თუ ცესკოს რაიმე შეცდომები აქვს-მეთქი...

**– და თქვენთან არავინ მოსულა...**

– სამწუხაროდ, ისევ გავიმეორებ, არ მოსულან. ჩემი ცხოვრება წესიერად ვიცხოვრე და მინდა, რომ საქართველოში ერთხელ მაინც ჩატარდეს დემოკრატიული, ნამდვილი არჩევნები, რათა ხალხმა იამაყოს და ევროპამ დაინახოს.

სხვათა შორის, ჩემთვის მიუღებელია, როცა ყოფილ პრეზიდენტს, მის ოჯახს, სხვა კანდიდატებს შეურაცხყოფენ, ლანძღავენ. შეიძლება ბევრი ილაპარაკონ, მაგრამ ამ ბრალდებებს ვერ ადასტურებენ...

**– დღეს საქართველოში 5 იანვარზე მეტად 6 იანვარზე ლაპარაკობენ. რა მოხდება ექვსში?**

– ხალხი შეშინებულია 6 იანვრით. მაგრამ თუ პრეზიდენტი აირჩიეს, ის უკვე ძალაუფლებას აიღებს, კონსტიტუციით გაწერილი კანონებიც არსებობს! ვითომ რაღაცას აპირებენ, პარლამენტში, კანცელარიაში შევალთო...

**– გადატრიალებას გულისხმობთ? ირინა სარიშვილმა ტელევიზიით განაცხადა, რომ სახელმწიფო გადატრიალების მომხრეა და ამ ხელისუფლებასთან სხვა გზით ბრძოლას აზრი არა აქვს...**

– არ სჭირდება ამდენი გადატრიალება საქართველოს! გაიხსენეთ პირველი პრეზიდენტი, მეორე... რამდენიმე თვის შემდეგ საპარლამენტო არჩევნები გაიმართება, ეს იქნება საპრეზიდენტო არჩევნებზე მნიშვნელოვანი. სჯობს იქ გაიმართოს კონკურენცია.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**



◉ რეპორტაჟი ცოცხალი რიგიდან

# პატარკაციშვილის სასიკეთოდ

– ამდენი ხალხი საათობით დგას და...

– ეგრე რატომ დგას, რა საჭიროა. არჩევნებზე მისცემენ ხმას და მორჩა.

– არჩევნები შეიძლება გააყალბონ, ჩვენ კი წინასწარ გვეცოდინება, რამდენი მხარდამჭერი გვყავს.

– ამიტომ დააყენეთ ეს ადამიანები საათობით?

– არა, ქალბატონო, ხელმოწერები გვჭირდება, რომ ჩამოვიდეს და ხელი ვერ ახლონ.

– როდის ჩამოვა, თუ იცით?

– დაცვის თანამშრომელი ვარ, მე არ ვიცი, არავინ არ იცის. მიბრძანდით...

* * *

– გამარჯობა, ვის ვესაუბრები?

– საარჩევნო შტაბის სამდივნოს ხელმძღვანელს – ირაკლი გოგორიშვილს.

– ძლივს შემოვაღწიე თქვენამდე, რას ნიშნავს ეს ამხელა რიგი?

– ჩვენ ვაკეთებთ მონაცემთა ბაზას რაიონებისა და რეგიონების მიხედვით, რათა წარმოდგენა გვქონდეს, თუ რამდენი მხარდამჭერი გვყავს. თუმცა ეს არ იყო ჩვენი ინიციატივა. ნაციონალებმა გაავრცელეს... „ჭორი“, ბადრის შტაბში ფულს არიგებენო და მოაწყდა უამრავი ხალხი, მთელი ბაზრობა მოვიდა.

– მაშინ არ იყო თქვენი პროგრამა გამოქვეყნებული?

– არა, არ იყო. ეს იყო ხელისუფლების „დურაკული“ გეგმა, რომელიც, ჩვენდა სასიკეთოდ შემოტრიალდა. ჩვენ ავუხსენით ხალხს, რომ ფული არ რიგდება, მაგრამ მაინც მოდიან. ბარბაროზიდან აქამდე 10 ათასამდე კაცი გაწევრიანდა.

– იციან ახლა მაინც თქვენი პროგრამის შესახებ?

– ეს არის დასაქმების პროგრამა, ოღონდ გამარჯვების შემდეგ. პატარკაციშვილი ყველა ადამიანთან დადებს ხელშეკრულებას და აიღებს ვალდებულებებს.

– მხოლოდ იმათთან, ვინც გაწევრიანდება?

– არა, მთელი საქართველოს მოსახლეობასთან.

– მგონი, გედავებიან თქვენი პროგრამის იურიდიული მხარის გამო...

– სააკაშვილის დასაქმების პროგრამას მიხედონ, სჯობს. ახლა აგორებენ უამრავ ჭორს, აწყობენ პროვოკაციას (თითქოს ფულს ვარიგებდეთ) და ა. შ. ჩვენ კანონსაწინააღმდეგოს არაფერს არ გავაკეთებთ. ყველა დაპირება ასრულდება არა არჩევნებამდე, არამედ შემდეგ. ესაა მთავარი.

– ამბობენ, რომ პატარკაციშვილი არ ფლობს იმხელა თანხებს, რომ ყველაფერს გასწვდეს?

– პატარკაციშვილი რა კაპიტალის მფლობელია, ძნელი წარმოსადგენი არაა. ეს ადამიანი თავის სიტყვას დაადასტურებს თავისი საქმით, ჩვენ 20 დეკემბრიდან დავიწყეთ რეალურად კამპანია. ვამზადებთ ბუკლეტებს, რომელსაც დავარიგებთ „კარდაკარ“, ძალიან ბევრ სიურპრიზს იხილავთ იქ.

* * *

გალავანთან მდგარი ადამიანები განსაკუთრებული ინტერესით ელოდებიან სიურპრიზებს... და არამარტო ისინი.

**თეა მოსია**

# დიდი მოლოდინი

**იმ ახალგაზრდებს რა ინტერესი აქვთ, რომლებიც ოპოზიციურ პარტიებში არიან გაწევრებულნი? ისინი ხომ აბსოლუტურად უანგაროდ „დარბიან" და ხშირ შემთხვევაში საკმაოდ სერიოზულ საფრთხეში იგდებენ თავს (ნაცმოძრაობას საკმაოდ „გამოწრთობილი ზონდერ-კამანდები" ჰყავსძ**

## რადიკალური ოპოზიცია



**მე-9 კლასში ვიყავი, როდესაც მთელი კლასი წაგვიყვანეს მხატვრული ფილმის „როგორ იწრთობოდა ფოლადის" სანახავად. დღესაც თვალწინ მიდგას, თუ რა აღფრთოვანებით უცქეროდნენ ჩემი კლასელი გოგონები მთავარი გმირის პავკა კორჩაგინის როლის შემსრულებელ ლანავოის. დარწმუნებული ვარ, ჩემს კლასელ გოგონებს საერთოდ არ აინტერესებდათ პავკას მიერ განვლილი გზა, ისინი ლანავოით იყვნენ აღფრთოვანებულნი.**

არადა, გოგონებმა რომ აღფრთოვანებით შემოგხედონ, პავკა თუ არა, ლანავოი მაინც უნდა იყო.

ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია თავისი არსებობის საწყის ეტაპზევე ცდილობს შექმნას ახალგაზრდული „ფრთა", რომელმაც უნდა აიტაცოს „დიდების" გონებრივი შრომის ნაღვაწი და მომავალი „ბრძოლებისთვის" საპროგრამო დებულებად აქციოს.

დღევანდელი დაძაბული პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართვა წარმოადგენს. პოლიტიკოსთა „შრომის" ამ „ფრონტს" საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს. პირველი ის არის, რომ ვიღაცამ ხომ უნდა გააკრას ის „მშვენიერი" პლაკატები, რომელზეც მავანი ლიდერის ღიმილიანი სახეა აღბეჭდილი (ჩაფიქრებული მზერა „მოდაში" აღარ არისძ, მეორეც: სხვადასხვა აქციის დროს ავტობუსებია შესავსები, დროშებია დასაჭერი და ბოლო-ბოლო ხალხს ხომ უნდა აჩვენო, რომ ახალგაზრდობა გიჭერს მხარს.

მოდით, მოვრჩები ღრმა ირონიულ წიაღსვლებს და პირდაპირ სათქმელზე გადავალ.

უმრავლესობას გვახსოვს კომკავშირი. ზოგს – ცუდად, ზოგს – კარგად. მე, მაგალითად, მახსოვს, რომ კომკავშირმა ნება დაგვრთო „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი" აღგვედგინა და არავითარი ცენზურა არ დაუწესებია იმ „შუტკებზე", რომლებსაც ფილარმონიის სცენაზე „ვაფრქვევდით", მაგრამ კომკავშირული ჰაბიტუსი, ანუ „დაყენებული" ნაბიჯები, „დაყენებული" მზერა და „დაყენებული" საუბრის ტონი ყოველთვის „სალადაო" თემა იყო.

მახსოვს, თუ როგორ არ მოვიდა 1988 წელს შატილოვზაზე სახელმწიფო უნივერსიტეტის კარვებთან მაშინდელი ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი, ამ „ჟესტით" მან თითქოსდა „პროტესტი" გამოხატა უნივერსიტეტელების თავისუფალი აზროვნების წინააღმდეგ. ასევე მახსოვს, თუ როგორ დაემუქრა უნივერსიტეტელებს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, თავისი პრეზიდენტობის დასაწყისში, ასი ათას კაცს მოვიყვან თქვენი აქციის წინააღმდეგო.

# ნამდვილ ქართველ ახალგაზრდებს არ სჭირდებათ ბელადები!

*„მე რა, არ ვაშენებ კომუნიზმს? – ისე იკითხა უშანგმა, თითქოს აგური გააგდებინეს ხელიდანო. არ ვიცი, მე სხვა ბრიგადაში ვმუშაობ, – უპასუხა არჩილმა".*

*„მზიანი ღამე", ნოდარ დუმბაძე.*

მახსოვს, თუ როგორ სცადა 1989 წლის 25 თებერვალს მაშინდელი უშიშროების კომიტეტის რამდენიმე აგენტმა ტექნიკური უნივერსიტეტის წინ მიმდინარე აქციაზე პროვოკაციის მოწყობა. მახსოვს, თუ როგორ გააპროტესტა (რბილად ნათქვამიაძ 9 აპრილი მაშინდელმა კომკავშირის ცეკას მდივანმა სესილი გოგიბერიძემ და მახსოვს რა რიხით დადიოდნენ 2007 წლის 7 ნოემბერს „გაწმენდილ" რუსთაველზე „წესრიგს მოწყურებული" ახალგაზრდები.

თაობათა შორის ურთიერთობა ძალიან საფრთხილო თემაა. სწორედ ამიტომ ამ მუდმივ „ბრძოლას" არ განვიხილავ, უბრალოდ ვიკითხავ: რამ აიძულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირის თავმჯდომარე შეექმნა შვიდ ნოემბერს საკუთარი ხალხის დარბევაზე ბრძანების გამცემი კაცის (რომელიც დღეს ხელახლა მოგვევლინა პრეზიდენტობის კანდიდატადძ მხარდამჭერი ახალგაზრდული მოძრაობა და დავსვა კიდევ უფრო უარესი კითხვა: რა აიძულებს სხვა ახალგაზრდებს გაერთიანდნენ ამ მოძრაობაში?

იყო ბორის ძნელაძე, იყო ბალდურ ფონ შირახი (ჰიტლერიუგენდის ლიდერიძ და დღეს არის ვინმე ავალიანი, რომელიც თანატოლს უნივერსიტეტის ბაღში ხვდება თავის „თანაგუნდელებთან" ერთად და სცემს იმისი გამო, რომ ამ უკანასკნელმა „გაბედა" და ალტერნატიული ახალგაზრდული მოძრაობის წამოწყება სცადა (აბა გაებედა რომელიმე კომკავშირელს ასეთი რამ. მაგრამ 80-იანი წლების კომკავშირლები გაცილებით უფრო სალად აზროვნებდნენ, ვიდრე 21-ე საუკუნის სტუდკავშირელებიძ.

რა დასამალია და ბორის ძნელაძე და ბალდურ ფონ შირახი უფრო პატივსაცემი ხალხია, ვიდრე თანამედროვე „ხუთოსნები". ბორის ძნელაძე მოკლეს, ბალდურ ფონ შირახს 20 წელი მიუსაჯეს ნიურნბერგის პროცესზე. მათ იდეა ჰქონდათ და ამ იდეისთვის იბრძოდნენ, „ღმერთო, იმის ტურა გამხადე", რომ ის იდეა გავიგო, რაც კოსტავას ქუჩაზე მდებარე ახალგაზრდული მოძრაობის წევრებს აერთიანებს.

დავიჯერო მართლა მოსწონთ ბენდუქიძის ეკონომიკური „რეფორმები" და ბოკერიას „ხედვა ქართული სახელმწიფოს მომავლის შესახებ?

თუ მოსწონთ, ცუდია (ძალიან რბილად რომ ვთქვაძ და თუ არ მოსწონთ, და მაინც ემხრობიან, ძალიან ცუდია (ეს უფრო რბილად რომ ვთქვა, ვიდრე წინა ფრაზა, იმიტომ, რომ თუ ისე დავწერ, როგორც ვფიქრობ, არაფრით არ დამიბეჭდავენ, უცენზურო გამოთქმების გამოძ.

საშინელი სანახავია, როდესაც ტელევიზიით გამოდის მართლაც კარგი ქართული აღნაგობის ახალგაზრდა კაცი, ან მშვენიერი გოგონა და თითქოსდა „ტეფალის უთოთი" გაპრიალებული სახით (თან ნარინჯისფერი ჰალსტუხით (ახალ პრემიერს სცემენ პატივსძ აკეთებენ განცხადებას ისეთი ტექსტით, რომელიც მარატს, ციცერონს ან აწ წარსულს ჩაბარებული პოლიტბიუროს წევრს უფრო შეეფერებოდათ.

ვის „ეპადხალიმებით" და რა გინდათ?

თანამდებობა? ფული? უცხოეთში სწავლა?

არც ერთი ამათგანი არ ღირს იმ ფასად, რასაც ეს ნაადრევად დაბერებული ახალგაზრდები იხდიან.

არადა „მამენტ" ამ ყველაფერს მიიღებენ.

უცებ ჩნდება მეორე კითხვა: იმ ახალგაზრდებს რა ინტერესი აქვთ, რომლებიც ოპოზიციურ პარტიებში არიან გაწევრებულნი? ისინი ხომ აბსოლუტურად უანგაროდ „დარბიან" და ხშირ შემთხვევაში საკმაოდ სერიოზულ საფრთხეში იგდებენ თავს (ნაცმოძრაობას საკმაოდ „გამოწრთობილი ზონდერ-კამანდები" ჰყავსძ.

რა აიძულებს თამარ ჩილვინაძეს (ქართული დასიძ, ზაზა გაბუნიას (თავისუფლებაძ, ირაკლი პაპავას (კონსერვატორებიძ, სოსო გიორგაძეს (ხალხის პარტიაძ, ირაკლი კახიძეს (რესპუბლიკელებიძ და მათ მრავალ თანატოლს წინ დაუდგნენ ცივი წყლის ჭავლს, რეზინის ტყვიებს და ცრემლსადენ გაზს, მაშინ როცა შეიძლება თბილად და ტკბილად იცოცხლო (კი არ იცხოვრო, იცოცხლოძ?

ჩამოთვლილი ბიჭები არ მიწყენენ, თუ ჯერ გოგონაზე თამარ ჩილვინიძეზე ვიტყვი ორ სიტყვას: კარგი გოგოა, ნამდვილი ქრისტიანი და ქართველი.

ეს ბიჭები კი ის კაცები არიან, რომლებიც ვერ აიტანენ თავიანთ დებთან, საცოლეებთან და მეგობრებთან ზოგიერთი „ცივილური" დირექტორის გვერდზე ჩამოჯდომას და გაწკეპილი ულვაშების ცმაცუნით სექსუალურ განათლებაზე ბაასს.

შეიძლება ბევრ მათგანს ჯერ ზუსტად არ ჩამოუყალიბებია თავისი მსოფლმხედველობა, ჯერ არ გაუცნობიერებია თავისი ნამდვილი ადგილი ქართულ სახელმწიფოში, მაგრამ ვიცი, რომ მათ „ეს ქვეყანა საწყობი არ ჰგონიათ და სწორედ ისინი მოვლენ თავის დროზე. მოვლენ, ჩაიბარებენ ჩვენს სამშობლოს და დაგვაწერენ საფლავის ქვებზე სახელებს და გვარებს" (მცირე ინტერპრეტაცია ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მზიანი ღამე"ძ.

წერილი მინდა დავამთავრო ერთი გახსენებით: 1988 წლის ნოემბერში უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში აკაკი ბაქრაძე ატარებდა ლექციებს (მაშინ პირველად ვნახე ჩემი თვალით, თუ რას ნიშნავდა გამოთქმა „ნემსი არ ჩავარდებაო"ძ. როდესაც საუბარი შეეხო საბჭოთა იმპერიიდან თავის დასახსნელად ხალხის დარაზმვას, ერთ-ერთმა მსმენელმა იკითხა, ბელადი ვინ იქნებაო. აკაკი ბაქრაძემ ლაკონიური პასუხი გასცა: ბელადები ველურ ტომებს ჰყავთო.

მჯერა, რომ ნამდვილ ქართველ ახალგაზრდებს არ სჭირდებათ ბელადები და მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**გია გაბრიჭიძე**

## ჟამი ციებ-ცხელებისა

# კახელი გამგებლები სააკაშვილის რეიტინგის გამყარებას ვითომ უშედეგოდ ცდილობენ?!

## „მემარჯვენეები" გურჯაანში სახელისუფლებო ბლოკს ზეწოლაში ადანაშაულებენ

***კახეთის რეგიონში წინასაარჩევნო კამპანიას დარღვევების მთელი კასკადი ახლავს. მხარის გუბერნატორ გია ნაცვლიშვილის მეთაურობით რეგიონის მაღალჩინოსნები აქტიურად არიან ჩართული წინასაარჩევნო კამპანიაში. ოფიციალურად ზეწოლაზე საუბარს ვერავინ ბედავს, თუმცა კულუარებში თუ პირად საუბრებში ხშირად მოისმენთ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ მოქალაქეებს სამსახურიდან დათხოვნით ემუქრებიან. გამგებლები თანამშრომლებს კატეგორიულად ეუბნებიან, რომ „თვალი №5-ის გარდა არც ერთისკენ გაექცეთ!"... ყველაფრის შემხედვარე კახელები მიიჩნევენ, რომ სააკაშვილი ქვეყანაში არსებულ რეალობას მოწყვეტილია, კახელი გამგებლები კი სააკაშვილის რეიტინგის გამყარებას უშედეგოდ ცდილობენ.***

პოლიტიკური მოძრაობა „ახალი მემარჯვენეები" გურჯაანის რაიონში ახალ დარღვევებზე ალაპარაკდნენ. როგორც პარტიის გურჯაანის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ზურაბ კანდელაკმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, დღემდე გრძელდება მათ წევრებზე სახელისუფლებო ბლოკის მხრიდან ზეწოლა.

ამის დასტურად კანდელაკი სოფელ ჩუმლაყის საარჩევნო უბნის თავმჯდომარის განთავისუფლებას ასახელებს, რომელიც 7 დეკემბერს საუბნო კომისიის მდივნად ხმათა უმრავლესობით დაინიშნა, 16 დეკემბერს კი მისი განთავისუფლება გურჯაანის №12 საოლქო კომისიის განცხადების საფუძველზე მოხდა.

როგორც ახლები ამტკიცებენ, ოქმი რომელიც თავდაპირველად საუბნო კომისიის დამტკიცების დროს შედგა, გაყალბდა.

„ამის დასტურია ის, რომ ჩვენი წევრის მდივნად არჩევამდე, როგორც უხუცესი, თავად აკვირდებოდა საუბნო კომისიის დაკომპლექტებას და პირველად ხელი ოქმზე თავად ჩვენი ნდობით აღჭურვილმა პიროვნებამ მოაწერა. ახლა კი მარტო ის დოკუმენტი გადმოგვცეს, სადაც სხვისი ხელმოწერაა დაფიქსირებული, პირველადი ოქმი კი გაქრა", – აცხადებს ზურაბ კანდელაკი.

ამ საკითხთან დაკავშირებით გურჯაანის საარჩევნო საოლქო კომისიაში კომენტარს არ აკეთებენ. თვით საუბნო კომისიის ყოფილი მდივანი ნათელა ქართლელიშვილი კი საკუთარი უფლებების დასაცავად უახლოეს დღეებში საჩივრის შეტანას სასამართლოში გეგმავს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, იგივე ვითარებაა კახეთის რვავე რაიონში, სადაც ნაცმოძრაობის წევრები აქტიურად ცდილობენ როგორც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების და აქტივისტების, ასევე მოსახლეობის დაშინებასაც... მიზნის მისაღწევად ნაციონალების „ქუჩიდან შეყრილი", საქმის გამრჩევი (როგორც მათ მოსახლეობა მოიხსენიებს – **ავტ.**ძ აქტივისტები არც მუშტი-კრივის გამართვას და ბილწი სიტყვების გამოყენებას ერიდებიან.

**ამას გარდა, ხელისუფლებას არასამთავრობოებიც ემდურიან. ისინი ნაციონალებს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებენ**

„სამართლიანი არჩევნების" კახეთის რეგიონული კოორდინატორი ნანა დევიძე და არასამთავრობო ორგანიზაცია „იურისტთა განვითარების ცენტრის" ხელმძღვანელი თინათინ ფხოველიშვილი სახელისუფლებო ბლოკს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებენ. მათი თქმით, სააკაშვილის თელავში ვიზიტის გამო სასწავლო პროცესი ჩაიშალა.

„არანაირად არ შეიძლება სასწავლო პროცესების ჩაშლა სკოლებში. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაა, როცა საჯარო მოხელეები სამუშაო პროცესიდან გამოგყავს. გარდა ამისა, ეს არის საარჩევნო კოდექსის უპატივისმცემლობა. ეს ყველაფერი კანონით აკრძალულია", – აცხადებენ მესამე სექტორის წარმომადგენლები.

**რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის პოზიციის დასაფიქსირებლად ქუჩებშიც ბევრი ვიარეთ, სადაც არაერთი საინტერესო მოსაზრება მოვისმინეთ. საბოლოო ჯამში ირკვევა, რომ კახელები სააკაშვილის მოღვაწეობით უკმაყოფილონი არიან და კარსმომდგარ არჩევნებში მისთვის ნდობის გამოცხადებას აღარ აპირებენ. სავარაუდოდ, კახეთის მოქალაქეთა დიდი ნაწილი არჩევანს ოპოზიციურ კანდიდატებს შორის გააკეთებს...**

**ილია მარტყოფლიშვილი,**
კახეთიდან

№ 251. შაბათი, 22 დეკემბერი, 2007 წელი.

# ახლა

● ბენდუქიძისა და მისთანათა იმედი არ მაქვს. ის, რასაც არ აგვაფცქვნის, არ წაილებს, იქით არაფერს გამოიმეტებს. არადა, ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ ერთი გვაჩუქა ღმერთმა. პატარკაციშვილს კი არ ანებებენ და...

◎ ყველა თავის ცეცხლს უჩიჩხინებს



# სერგეი შამბა: ვინც აფხაზეთის ტერიტორიის დატოვებას 5 იანვრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით აპირებს, იმათ უკან დაბრუნების პრობლემა ექნებათ

*5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სოხუმის ხელისუფლებამ აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება-არმიღების თემა თავად გახადა აქტუალური. აშკარაა, რომ აფხაზურ ხელისუფლებას არ სურს გალის რაიონის მოსახლეობის მიერ საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება. აფხაზური მხარე გალის ქართული მოსახლეობას ღიად, დაუფარავად აშინებს. გალის ქართული მოსახლეობის შეშინებას ჯერ სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრემიერი რაულ ხაჯიმბა შეეცადა. „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ანალოგიურ განცხადებებს არც აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა მორიდებია.*

**— ბატონო სერგეი, იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის მოქალაქეობის მიღების თემა აქტუალური გახდა, მინდა თქვენგან მოვისმინო სოხუმის ხელისუფლების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.**

— აფხაზეთში ყველა მცხოვრებს აქვს აფხაზეთის მოქალაქეობის მიღების უფლება. ჩვენ მზადა ვართ, ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად ყველას მივანიჭოთ ამგვარი უფლება

**— თქვენივე ინფორმაციით, აფხაზეთის მოქალაქეობა უკვე 72 ათასმა მოქალაქემ მიიღო. თუ გაქვთ მონაცემები, გალის რაიონში აფხაზეთის მოქალაქეობა რამდენმა მცხოვრებმა მიიღო?**

— რამდენადაც ვიცი, გალის რაიონში აფხაზეთის მოქალაქეობის მიღების პროცესი ჯერ არ დაწყებულა, თუმცა აფხაზეთის მოქალაქეობა გარკვეულ ნაწილს მიღებული აქვს. გალის რაიონის მოსახლეობა ხშირად აყენებს საკითხს აფხაზეთის მოქალაქეობის მიღების შესახებ. ამ თხოვნით გალიდან მეც არაერთმა ჯგუფმა მომმართა. იყო დრო, ჩვენ არ ვჩქარობდით ამ პროცესის დაწყებას. იყო სხვადასხვა მოსაზრება. თუ ამგვარი თხოვნით მოგვმართავენ, რა თქმა უნდა, ჩვენ მათ აუცილებლად მივცემთ აფხაზეთის მოქალაქეობის მიღების საშუალებას.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენს ხელისუფლებაში ამ საკითხზე ორი მიდგომა არსებობს. ერთნი ფიქრობენ, რომ არ არის საჭირო მოვლენათა ხელოვნურად დაჩქარება და დროთა განმავლობაში გალის მოსახლეობა ძალდაუტანებლად მიიღებს აფხაზეთის მოქალაქეობას, მეორე ნაწილი კი, იგივე ხაჯიმბა ამ საკითხის ძალდატანების გზით გადაჭრას ემხრობა. ეს მართლაც ასეა?**

— არსებობს კანონი და იგი განსაზღვრავს მოქალაქეობის მიღების წესს, ანუ იმას, ვის აქვს აფხაზეთის მოქალაქეობის მიღების უფლება და ვის — არა. ამ საკითხზე გარკვეული დისკუსიები მართლაც გაიმართა, მასში სამშვიდობო პროცესის მონაწილეებიც იყვნენ ჩართული, სწორედ მათ გვირჩიეს, არ დაგვეჩქარებინა პროცესი. იყო საფრთხე, რომ პროცესი ძალდატანების ხასიათს მიიღებდა. ჩვენ ძალით აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭებას არავისთვის არ ვაპირებთ. აფხაზეთის მოქალაქეობას ისინი მიიღებენ, ვისაც ამის სურვილი აქვს.

გალის რაიონში ფუნქციონირებს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც დაკავებული არიან ადამიანის უფლებების დაცვით. გალში ფუნქციონირებს ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის წარმომადგენლობა, ასე რომ, ყველაფერი გამჭვირვალედ გვინდა განხორციელდეს. თუ ვინმეს აიძულებენ აფხაზეთის მოქალაქეობის მიღებას, გარწმუნებთ, ესეც არ დაიმალება.

იხ. 6 გვ.

№ 251. შაბათი, 22 დეკემბერი, 2007 წელი.

◎ გულის ბუხარი

# ეს ხომ დედების აბუჩად აგდებაა, უფრო — კი ერისა!

## მეტსაც ვიტყოდი, თქვენ რომ გაზეთებს კითხულობდეთ, ბატონო მიხეილ

*ხელისუფლებამ, ახალგაზრდა დედებს პირველ შვილზე 1000 ლარს მივცემო და, დემოგრაფიული პრობლემა ერთი ხელის მოსმით გადაჭრა. ხელებიც დაიბანა.*

*ქათამს კვერცხი რომ მოადგება, აკაკანდება.*

*არჩევნები მოვიდა და მოგვაყარა: ეს ვაუჩერებიო, ეს გაზრდილი პენსიებიო, ეს ასი ათასი სამუშაო ადგილიო...*

*ამ დროს, მსოფლიოს საუკეთესო ექსპერტები რომ დაახვიო, ას ვაკანტურ ადგილსაც ვერ მოიძევენ.*

*მაგრამ მე დედების პრობლემა მაწუხებს, მათ მხრებზე იდგა ოდითგან საქართველო და მათით მოვიდა აქამდე. ახლა კი...*

დიდი ხანია, ჩვენი ქვეყანა დემოგრაფიული პრობლემის, უფრო კი დილემის წინაშე დგას. ამ დღეებში „საქართველოს რესპუბლიკაში“ ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ანზორ სახვაძის ფრიად გააზრებულ-გაანალიზებული ვრცელი სტატია გამოქვეყნდა, რომელიც დემოგრაფიულ პრობლემებს ეხებოდა.

უფრო ადრე, წინა წლებშიც, მარტო „საქართველოს რესპუბლიკაში“ მრავალი სტატია თუ სამეცნიერო-მოკვლევა გამოქვეყნდა ამ თემაზე, მათ შორის ჩემიც, არაპროფესიონალის, მაგრამ ამ საქმეში ასე თუ ისე ჩახედულის.

ქვეყანას რომ უჭირს, ამას უცხოელებიც გვიკიჟინებენ — სულ რაღაც სამ ათეულ წელში, თუ საკუთარ დემოგრაფიაზე არ იზრუნებთ, უმცირესობაში აღმოჩნდებითო. არადა, ამ საქმეს ჯერ კიდევ ეშველება, თუ...

ადრე მრავალჯერ თქმული კიდევ უნდა გავიმეორო. 1989 წლის აღწერით საქართველოს 5 მილიონნახევრიან მოსახლეობაში 3 მლნ. 664 ათასი ქართველი იყო, თავის აფხაზეთ-ცხინვალიანად. მაშინ საქართველოდან არავინ გარბოდა, ქორწილ-ახალოჯახიანობაც მრავლობდა. ახალგაზრდა კაცი თუ დაოჯახებას გადაწყვეტდა, ჯერ ერთოთახიან ბინას მისცემდნენ. მუშაობა რომ არ ნდომოდა, სამსახურს მაინც გაუჩენდნენ. ხალხს თუ ძალიან არ ულხინდა, არც უჭირდა. ბავშვი გაგიჩნდებოდა და ბაგა-ბაღებიც ხომ იყო და იყო, დღეს რომ ასე ხელგაშლით ჰყიდიან.

მიუხედავად ასეთი პირობებისა, ხელისუფლება ერის სიმრავლეზე მაინც ფიქრობდა. არსებობდა მართლაც სასახელო გმირი დედის წოდება და ამასთანავე, ფულადი დახმარება. მშობიარეებს ექვსთვიანი ფასიანი შვებულებაც გარანტირებული ჰქონდათ, რაც დღეს პირწმინდად წაართვეს. მაინც რატომ ზრუნავდნენ ეს კომუნისტები ასე, ვითომ ეროვნულ მთავრობას არ ევალება მსგავსი ინიციატივები?! რაც სიკეთე იყო, ეცოტავათ და 90-იან წლებში ჯერ მართლაც დიდი მამულიშვილური საქმეების ინიციატორი რუსთაველის საზოგადოება ჩამოყალიბდა, შემდეგ დემოგრაფიული საზოგადოება ცალკე გამოეყო. თითქმის ათიოდე წელი ამ საზოგადოების რუსთავის განყოფილების თავმჯდომარე ვიყავი. ქალაქის ხელმძღვანელობა იმთავითვე ამომიდგა მხარში, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თეიმურაზ ხაზარაძე და ალმასკომის თავმჯდომარე თეიმურაზ დალაქიშვილი. ამასთან ერთად, მთელი საზოგადოება, მეტალურგიული ქარხნის დირექტორი გურამ ქაშაკაშვილი, „აზოტის“ გენერალური დირექტორი გიორგი გოგოლაძე და სხვები.

მრავალშვილიან ოჯახს თუ გაფართოება ან სულაც ახალი ბინები დასჭირდებოდა, საკმარისი იყო ჩემი რეკომენდაცია და ხელისუფლება უმოკლეს დროში ახალმოსახლეობას აზეიმებდა. ეს სიკეთე არ დაუშურებიათ ნოდიების 13-შვილიანი ოჯახისთვის. ნათენაძეებს 11 შვილი ჰყავდათ და ჩეხურ სახლში ოთხოთახიანთან ერთად ერთოთახიანიც უბოძეს უფროსი შვილისთვის. ასევე გაუმართეს ხელი ცხრაშვილიან გეგეშიძეებს, ყველას ვერ ჩამოვთვლი. როდესაც ეს საქმე წამოვიწყეთ, ჩვენთან 244 მრავალშვილიანი ირიცხებოდა, შემდეგ რაოდენობა გაიზარდა. მრავალშვილიანებად მხოლოდ 4 და მეტშვილიანი ოჯახები ითვლებოდა, თორემ სამშვილიანებს ვინ აუვიდოდა. ბინები ხომ იყო, ახლა ავეჯიო, მსუბუქი მანქანებიო, მაცივრებიო, მაშინ ხომ ყველაფერი დეფიციტი იყო.

სიმართლე გითხრათ, მიხაროდა, ამაყი ვიყავი, მეგონა, ჩემზე დიდ მამულიშვილურ, ეროვნულ საქმეს არავინ აკეთებდა. მერე, ზვიად გამსახურდიას რომ აუმხედრდნენ, ვილას გაახსენდა მრავალშვილიანობა. ის კი არა, ნალოლიავებ-ნაფერები შვილები ვის სად გაეფანტა, მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის. მე კი ახლა გავურბივარ იმ დედებს, რომლებსაც ასე ვესათუთებოდი. ეს ამბავი ასე დაწვრილებით იმიტომ მოვყევი, რომ ის დღესაც გამოდგება, თუკი ქვეყანას პატრონი და გულშემატკივარი ხელისუფლება ეყოლება. ველოსიპედი გამოგონილია და ამის თაობაზე ბევრჯერაც მივმართე ქალაქისა თუ მხარის ადრინდელსა და დღევანდელ ხელისუფლებას. სიმართლე უნდა ითქვას, მამალაძის გუბერნატორობის დროს დემოგრაფიული საზოგადოება კიდევ არსებობდა ქვემო ქართლში, მაშინ მას სხვები, უკვე საკმაოდ ახალგაზრდები ხელმძღვანელობდნენ და მთლად არც ვარ გარკვეული მათ საქმიანობაში. ისე, ასე თუ ისე ეხმარებოდნენ უკვე რიგებშეთხელებულ მრავალშვილიანებს. ის კი არა, ქვეყანაში სამუშაო ადგილი როგორც დღეს, მაშინაც უკვე სანთლით რომ გეძებნა, ვერ იპოვიდი. პირიქით, ზედიზედ აუქმებდნენ და ძარცვავდნენ ქარხნებს, წარმოებებს, სამშენებლო ორგანიზაციებს. ათასობით ადამიანი უმუშევრად რჩებოდა და გარბოდა ქვეყნიდან.

დღესაც რომ მიდიან?

ქართველ კაცს თავის სამშობლოში აღარ დაედგომება. წავიდნენ და დღესაც მიდიან ქალ-ვაჟნი, ერის გენეტიკური ძლიერების ღერძი. მიდიან დედები და მამები, სოფლებიდანაც, ქალაქებიდანაც და მიჰყავთ შვილები, ჩვენი იმედი და მომავალი. აძლიერებენ ამერიკას, ინგლისს, საბერძნეთს, იტალიას, უფრო მეტად კი თურქეთს, ლამის მთელ პლანეტას მოედნენ და თავიანთი საბაღნარო, ედემწალკოტი მამული უპატრონოდ დატოვეს.

თუმცა უპატრონოდ აქაურობას დღეს ვინ დატოვებს. ვითომ ინვესტირებით დაინტერესებული ათასი ჯურის საქმოსანი მოემართება აქეთ მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან. დასახლების მსურველიც ბევრია: ჩინელი, არაბი, ახალზელანდიელი თუ ბურკინა ფასოელი. ჩვენ კი, ქართველები, გავრბივართ უკანმოუხედავად. ჰოდა, დედას პირველი შვილი რომ შეეძინება, 1000 ლარიო?!

სპეციალისტები კი ადასტურებენ, საახალწლოდ გოჭი 200 ლარი ეღირებაო.

თუმცა მრავალშვილიანს გოჭი და ინდაური არც დასიზმრებია. მე კი მგონია, უფრო ძვირიც იქნება, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტი ისე გამოაცარიელეს, ლარი ლამის ფარატინა ფურცლად აქციონ. თუ ეკონომიკა არ იქნება, საწარმოები არ იმუშავებს, ადგილობრივი წარმოება არ აღსდგება, ქვეყანა წყალწაღებულია და ეგაა.

და მაინც, დემოგრაფიას დღესვე უნდა მიხედვა, თუმცა არა 1000 ლარით. დღეს იმდენი ბიზნესმენი გვყავს...

ბენდუქიძისა და მისთანათა იმედი არ მაქვს. ის, რასაც არ აგვაფცქვნის, არ წაილებს, იქით არაფერს გამოიმეტებს. არადა, ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ ერთი გვაჩუქა ღმერთმა. პატარკაციშვილს კი არ ანებებენ და...

სხვებს არც ადარდებთ ქვეყანა. იქნებ კი ადარდებთ, მაგრამ ხელისუფლება ხომ ტყავს აძრობს, ჯიბეებში უძვრებიან.

**გივი ჯახუა**

*P. S. აბა, როგორ დაგიჯეროთ, ბატონო მიხეილ, რომ ერის გამრავლებაზე ზრუნვა გაწუხებთ. გასულ საუკუნეში რუსთავში ახალი კვარტალი რომ შენდებოდა, ორ-სამ საბავშვო ბაღს ეგრევე წამოჭიმავდნენ, თანაც საკმაოდ სოლიდურ, ლამაზ ნაგებობას. თითო ბავშვზე 7 მანეთი თუ იყო გადასახდელი, მრავალშვილიანს, აბა, ფულს ვინ მოსთხოვდა. მშობიარობა და მკურნალობა ხომ უფასო იყო.*

*დღეს რა ხდება? ბოლო დროს მარტო რუსთავში ბაგა-ბაღების რიცხვი შვიდი ერთეულით შემცირდა, უმუშევრად დარჩა ათობით აღმზრდელი, კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ...*

*თქვენ ხომ გაზეთებს არ კითხულობთ!*

**გ. ჯ.**

● სად და როგორ არჩევენ სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიები ასეთ აქტივისტებს, რომლებთაც გაცნობიერებულიც არა აქვთ საკუთარი მისია, ბრმად და გაუაზრებლად ასრულებენ ვიღაცეების ნებას ისე, რომ უნებურად ვნებენ საქმესაც და თავსაც



◎ ყველა თავის ცეცხლს უჩიჩხინებს

# სერგეი შამბა: ვინც აფხაზეთის ტერიტორიის დატოვებას 5 იანვრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით აპირებს, იმათ უკან დაბრუნების პრობლემა ექნებათ

(მეხუთე გვერდიდან)

**— რამდენადაც ვიცი, კანონი „აფხაზეთის მოქალაქეობის შესახებ“ არ ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეებისთვის აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭებას. გალის რაიონის მოსახლეობის ინტერესის გასათვალისწინებლად კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას გეგმავთ?**

—ჩვენ გადავწყვიტეთ აფხაზეთის მოქალაქეობის იმათთვის მინიჭება, ვინც ამ თხოვნით მოგვმართავს. კანონში არანაირი ცვლილებების შეტანაზე არ არის ლაპარაკი. კანონმდებლობის შეცვლას ნამდვილად არ ვაპირებთ. ჩვენ, უბრალოდ, გალის რაიონის მოსახლეობის საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე თვალს დავხუჭავთ, ეს არის და ეს.

**— სოხუმის ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ხშირად ისმის განცხადებები, ვინც არ მიიღებს აფხაზეთის მოქალაქეობას, ისინი იძულებული იქნებიან, დატოვონ აფხაზეთის ტერიტორიაო. ეს ნამდვილად ასეა?**

— იყო ამგვარი განცხადებები, მაგრამ ეს იმათ ეხებათ, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს თქვენთან 5 იანვრისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში. ვისაც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღება უნდა, კეთილი უნდა ინებოს და საცხოვრებლად გადასახლდეს საქართველოში. ამ კატეგორიის ადამიანებს აფხაზეთში არაფერი ესაქმებათ.

**— რამდენადაც ვიცი, არჩევნებში მონაწილეობას გალის რაიონში მცხოვრები მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი აპირებს?**

— გალის რაიონის მოსახლეობამ უნდა განსაზღვროს, რა უნდათ მათ: აფხაზეთში მშვიდად ცხოვრება თუ წინ და უკან სიარული. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მათ ჩვენთან მშვიდად იცხოვრონ.

**— ბატონო სერგეი, თუ არჩევნებში მისაღებად გალის რაიონიდან ზუგდიდში მოსახლეობა მაინც გადავიდა, რა ელით მათ?**

— ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ, ვინც აფხაზეთის ტერიტორიის დატოვებას არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით აპირებს, მათ უკან დაბრუნების პრობლემა ექნებათ. ვიდრე გალის რაიონში დევნილთა დაბრუნება არ დასრულებულა, სარისკო ნაბიჯების გადადგმას არავის ვურჩევ.

**— თუ ფლობთ ინფორმაციას, გალის რაიონის გარდა, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა რამდენმა ქართველმა მიიღო აფხაზეთის მოქალაქეობა?**

— სამწუხაროდ, სტატისტიკური მონაცემები ახლა ხელთ არა მაქვს, ისე ბევრ ქართველს ვიცნობ, ვინც მიიღო აფხაზეთის მოქალაქეობა. ისინი სოხუმის გარდა, აფხაზეთის სხვა რაიონებში ცხოვრობენ.

**— შეუძლია თუ არა აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება გაგრელს, ახალათონელს ან სოხუმელს, თუ ის ამჟამად თბილისში, მოსკოვში ან სულ მარსელში ცხოვრობს?**

— ჩვენ ხელმოწერილი გვაქვს შეთანხმებები, რომელთა თანახმადაც, განსაზღვრულია დევნილთა პირველ ეტაპზე გალის რაიონში დაბრუნება. როდის იქნება მეორე ეტაპი, ვერ გეტყვით, რადგანაც აფხაზეთის სხვა რაიონებში დაბრუნებაზე ქართულ მხარესთან ჯერ არ შევთანხმებულვართ. ჩვენ მზადა ვართ, ვიმსჯელოთ ამ თემებზე, მაგრამ რამდენადაც იცით, მოლაპარაკებათა პროცესი, პრაქტიკულად, შეჩერებულია.

**კობა ბენდელიანი,**
„ინტერპრესნიუსი“

◎ აფორიაქებული განწყობით

ნია სავარძლის კუთხეში იყო მიკუნჭული.

დაეტუქსა ვიღაცას თითქოს.

მუხლების გაშლა აეკრძალა.

ჩაეღუნა თავი. ჩაჰკირკიტებდა რვეულს. მეთორმეტე დაბადების დღისთვის ემზადებოდა.

მეგობართა სიას ადგენდა.

ციფრებს წერდა, ხარჯებს აზუსტებდა ვითომ.

შინ სხვა არავინ იყო.

მარტო ჩვენ.

სრულ სიჩუმეში გაისმა ზარის ხმა.

ყუმბარის აფეთქებასავით გაჰკვეთა ჰაერი.

ნიამ დამასწრო.

კართან გაჩნდა ორი ნახტომით.

არ გამოვკიდებივარ.

დარწმუნებული ვიყავი, უცხოს არავის გაუღებდა.

ვინ ბრძანდებითო, იკითხა დინჯად, განზრახ დაბოხებული ხმით.

პასუხი არ მომწვდენია.

მეკითხა უნდა და თვითონ შემომივარდა ოთახში. ტყვიასავით დამახალა გაზეთში ცხვირჩარგულს, სოციოლოგიური გამოკითხვისთვის არიანო მოსულები.

სახე ატკეცოდა რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინში.

კართან ნიაზე ოდნავ უფროსი გოგონა იდგა მისი ასაკისთვის სრულიად შეუფერებელი იერით.

ტუჩები მოეკუმა. თხელი, ძალიან თხელი ცხვირის ნესტოები უთრთოდა, სუნთქავდა მძიმედ.

სერიოზული ხაზგასმულობით მაუწყა. კვლევებს ვატარებთ და თუ შეიძლება გამეცით პასუხი რამდენიმე კითხვაზე.

გამომიწოდა თორმეტფურცლიანი რვეული. ცნობისმოყვარის მოუთმენლობით ჩავიხედე შიგ.

განსაკუთრებული არაფერი.

გვარები, სახელები, პირადობის მოწმობების ნომრები, მისამართები მხოლოდ.

ჩემთვის უცხო, უცნობი ადამიანების.

პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი დამისახელა. მისთვის ხმის მიმცემთა რაოდენობას ვარკვევთო.

აშკარად შეეტყო, რომ სოციოლოგიურ კვლევებზე წარმოდგენაც არ ჰქონდა, უბრალოდ, რაღაც დავალებას ასრულებდა შეძლებისდაგვარად.

გამეღიმა უნებურად.

ჩემდა სამწუხაროდ, თავი უხერხულად იგრძნო. უხმოდ გამომართვა რვეული. დაუმშვიდობებლად მიუბრუნდა მეზობლის კარებს.

შემობრუნებულს ამეკვიატა უცნაური ფიქრები.

კითხვებიც.

სად და როგორ არჩევენ სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიები ასეთ აქტივისტებს, რომლებთაც გაცნობიერებულიც არა აქვთ საკუთარი მისია, ბრმად და გაუაზრებლად ასრულებენ ვიღაცეების ნებას ისე, რომ უნებურად ვნებენ საქმესაც და თავსაც.

გნებავთ, ბოლოსაც.

იდეები არ აწუხებთ ნაღდად.

არც მიზანი, მკაფიოდ გამოკვეთილი.

მაღალი.

ზნეობრივი.

მხოლოდ მატერიალური საზღაურია მათი მოქმედების ამაჩქარებელი.

თავისთავად ურიგო არ არის ესეც.

ზედმეტი კაპიკები არავის მოყირჭებია ჯერ.

ერთადერთი ეგ არის საჩოთირო:

უაღრესად პირადული, ვიწრო ინტერესების მატარებელი პირები კიდევ უფრო აბნევენ ადამიანებს, ათასგვარი მითქმა-მოთქმით ისედაც აბნეულებს.

ალიზიანებენ.

ინერტულად განაწყობენ.

ჩემი ახალგაზრდა სტუმრისნაირები აკეთებენ მხოლოდ იმას, რომ ამომრჩეველი შესაძლებელია, სულ არ მივიდეს საარჩევნო ყუთთან ან მისი რჩეულის გვარ-სახელის შემოხაზვის ნაცვლად საერთოდ სუფთა ბიულეტენი ჩაუშვას ყუთში, თვითონვე გააუქმოს საკუთარი ხმა.

ეს უბედურებაა.

სრულიად სახიერი.

სხვაა კიდევ ვითარება, ატმოსფერო, რომელიც ახლა ოფიციალურ სტრუქტურებში, ოპოზიციური პარტიების საქმიანობაში სუფევს და ერთგვარი გაწუკითხაობით ლაღადაც გრძნობს თავს.

კერძოდ:

ოპოზიციონერები იღადრავენ ყელს, უსაშველო გაყალბებებით ვართო აღშფოთებულები.

კონკრეტულ მაგალითებსაც ასახელებენ.

ერთგან საარჩევნო სიაში შეტანილები არიანო წლების წინ გარდაცვლილები, მეორეგან საქართველოდან სამუდამოდ თუ არა, დროებით გახიზნულები იწონებენო თავს.

ამომრჩევლებთან შეხვედრებისას ასახელებენ საარჩევნო უბნების ნომრებს, მისამართებს.

სახელებს.

გვარებს.

რაღაც არის საჭირო:

დარღვევების აღსაკვეთად; სამართლიანობის აღსადგენად.

სხვებზე მეტად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზეა დამოკიდებული ბევრი რამ.

კომისიის წევრთა კეთილსინდისიერებაზე;

პროფესიონალიზმზე;

რაც მთავარია, პასუხისმგებლობაზე, მაგრამ..

არაფერი ყოფილა განსაჩხრეკი ჭეშმარიტების დასადგენად, საერთო სურათისთვის შუქ-ჩრდილების მოსაშორებლად.

ტელევიზიით გამოსვლისას ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, საარჩევნო სიების გაყალბებაზე, სხვა დარღვევებზე კომისიაში არ შემოსულაო არც ერთი განცხადება.

ოფიციალურად.

წერილობით.

ამდენად თითქოს არც არსებულა სიების დასახვეწად შემდგომი მუშაობის საგნობრივი საფუძველი.

ამისთვის თურმე წერილი ყოფილა საჭირო.

ქაღალდი.

ფარატინა.

არაფრისმთქმელი თავისთავად.

მოგვიანებით იუსტიციის მინისტრი იტყვის: სიები ჯერ კიდევ მოწმდება და არანაირი დარღვევა არ დარჩებაო 5 იანვრისთვის.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ტყუის სამთაგან ერთი მაინც.

სამი სიმართლე არ არსებობს.

არც არსებულა.

არსად.

არც ახლა ბოგინობს სადმე.

თვალში საცემად.

ღიად.

მაშასადამე, ჰაერში იკარგება თურმე ხალხში ნათქვამი სიტყვა საქმიანი, სარწმუნო, მაგრამ მხოლოდ რწმენა, შიშველი ნდობაც ვერ გამოდგება შორს გასაფრენად...

ავყოლივარ ფიქრებს, ნია შემოსულა ოთახში.

დგას.

მიყურებს, რაზე ფიქრობო, მეკითხება.

ვერაფერს ვუპასუხებ, რადგან ნათქვამი დღეს დიდებს არ ესმით და ბავშვები როგორ გაიგებენ რამეს. ისიც ამ რია-რიაში, როცა მარჯვენას არ ესმის მარცხენის ხმა და არც უნდა, რომ ესმოდეს.

ბავშვები ხვალ მოიკითხავენ დღევანდელს.

ზეგ დასვამენ კითხვას.

რთულს, მაგრამ აუცილებლად პასუხგასაცემს.

**როზერტ ძერია.**

ხვალ კითხვას შვილები დაგვისვამენ...

◎ ინფორმაცია

## უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორ-მასწავლებლები გაჩეჩილაძეს უჭერენ მხარს

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ პროფესორ-მასწავლებელთა კავშირი „სოლიდარობა განათლებული საქართველოსთვის“ პრეზიდენტობის კანდიდატს ლევან გაჩეჩილაძეს დაუჭერს მხარს.**

ამასთან დაკავშირებით, საერთო სახალხო მოძრაობის საზოგადოებრივ დარბაზში აკადემიკოსმა თენგიზ სანაძემ, პროფესორებმა გრანი ქავთარიამ, ბიძინა სავანელმა და ჯემალ მებონიამ გუშინ პრესკონფერენცია გამართეს.

თენგიზ სანაძემ „სოლიდარობა განათლებული საქართველოსთვის“ განცხადება წაიკითხა და აღნიშნა, რომ კავშირი მხარს უჭერს საპრეზიდენტო კანდიდატს ლევან გაჩეჩილაძეს და ეთანხმებიან გაერთიანებული ოპოზიციის აზრს ქვეყნის მოწყობის საპარლამენტო მოდელის შესახებ.

—გაერთიანებულმა ოპოზიციამ გონივრულად შეარჩია ქვეყნის მოწყობის ახალი მოდელი. კავშირის წევრებს სჯერათ, რომ 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს ლევან გაჩეჩილაძე და საქართველოს ეყოლება პარლამენტი, რომელიც მრავალპარტიული იქნება, — აღნიშნა სანაძემ.

პროფესორ ჯემალ მებონიას განცხადებით, უახლოეს პერიოდში საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება.

— ქართველი მტერს ხმლით ებრძოდა, ახლა კი ამ ბრძოლაში საბრძოლო იარაღს ბიულეტენი წარმოადგენს, დავივიწყოთ ციფრი 5, — განაცხადა ჯემალ მებონიამ.

მისივე თქმით, არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს ეროვნული ცნობიერების მქონე ხელისუფლება, ასეთად კი მებონიას ლევან გაჩეჩილაძე და მის გვერდით მდგომი ოპოზიციის წარმომადგენლები მიაჩნია.

ინტერპრესნიუსი

№ 251. შაბათი, 22 დეკემბერი, 2007 წელი.

# ვითარება

სემეკმა სამომხმარებლო ტარიფის განსაზღვრისას „შაჰდენიზის“ 63-დოლარიან და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის 120-დოლარიან გაზთან ერთად იანგარიშა 235-დოლარიანი რუსული აირი და საშუალო მაჩვენებლად 167 დოლარი აიღო. და ეს მაშინ, როცა გაზაფხულის შემდეგ საქართველოში რუსული გაზი აღარ შემოსულა



### ◎ ზამთარი ჩვენი მღელვარებისა

# არც გაზის შეწყვეტა არ გვემუქრება და არც ტარიფის მომატება?

**არაო, — გვაიმედებენ ტელეეკრანიდან საქართველოს „ენერგეტიკის მამები“, ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა გაზით მხოლოდ ერთი ქვეყანა — რუსეთი გვამარაგებდა და თავის ნება-სურვილზე გვათამაშებდაო, მოეპრიანებოდა, გვიმოწყალებდა ჩვენთვის სანატრელ საწვავს, შემოგვწყრებოდა რამეზე და მყისიერად შეგვიწყვეტდაო. მორჩა, ყველაფერი დამთავრდა, ჩვენ უკვე გვყავს საიმედო ალტერნატიული პარტნიორი — აზერბაიჯანი, რომელიც გაზს რუსეთთან შედარებით ორჯერ იაფად გვაძლევს, თანაც გარანტირებულადო.**

ჰოდა, აბა რიღასი უნდა გვეშინოდეს, შეგვიძლია შევიკეტოთ ბინებში, ვაღუღუნოთ გაზის ღუმელები და ნებივრად გამოვიზამთროთ. თუმცა მთლად გულდამშვიდებულები ვერ ვიქნებით, ხომ შეიძლება აზერბაიჯანმა გვიშაროს — საერთაშორისო ბაზარზე საწვავი ყოველდღიურად ძვირდება და კარგი მეზობლები კი ხართ, მაგრამ ჩვენ რა მოვალენი ვართ, გაზი ისევ ძველ ფასში გაძლიოთო. ამის საშიშროება უკვე შეიქმნა წლეულს სექტემბერში, როცა აზერბაიჯანის მხარესთან დადებულ ძველ კონტრაქტს ვადა გაუვიდა. მაშინ აპირებდნენ კიდეც საქართველოსთვის გაზის მოწოდების შეწყვეტას, მაგრამ ხათრი ველარ გაგვიტეხეს და ვადა ნოემბრამდე გაგვიგრძელეს. სწორედ ამ პერიოდისათვის უნდა შეთანხმებულიყვნენ მხარეები ახალ საკონტრაქტო პირობებზე, მაგრამ აზერბაიჯანმა გრძელვადიან ხელშეკრულებაზე უარი თქვა, რამაც ზემოთ ნახსენები ეჭვის საფუძველი კიდევ უფრო გააძლიერა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მეზობლები საახალწლოდ გაზს არ შეგვიწყვეტენ და დღესასწაულს არ ჩაგვამწარებენ, მაგრამ საერთოდ ეს პრობლემა რომ მოსაგვარებელია, ამაში ეჭვი აღარავის ეპარება, მით უფრო, რომ აზერბაიჯანელმა ექსპორტიორებმა კარგა ხანია გაგვაფრთხილეს, რომ ათას კუბომეტრ გაზს 120 დოლარად აწი უკვე აღარ მოგვყიდიან.

როგორ ფიქრობთ, რამდენს წაუმატებენ? როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, აზერბაიჯანული გაზის ფასი 120 დოლარიდან 160 დოლარამდე გაიზრდება, შეიძლება მეტადაც, რადგან დოლარის კურსი საერთაშორისო ბაზარზე ყოველდღიურად ეცემა და აზერბაიჯანი ამდენ ზარალს ველარ შეეგუება. მით უფრო, რომ ის სამომავლოდ თურქეთში გაზის ექსპორტის გაზრდას და ენერგორესურსების ევროპაში გატანას აპირებს.

და რადგან აზერბაიჯანულ გაზზე ფასის მომატებას ვერ ავცდებით (აღარაფერს ვამბობთ 235-დოლარიან რუსულ გაზზე), ხომ ვდგებით მისი ტარიფის კიდევ ერთხელ გაზრდის საშიშროების წინაშე? არაო — ამაზეც სასტიკ უარზე არიან ჩვენი ენერგეტიკის თავკაცები. მათი განცხადებით, ქვეყანას არც გაზის შეწყვეტის საფრთხე ემუქრება და არც ტარიფის გაზრდის. აზერბაიჯანიდან მოწოდებული გაზი შეიძლება გაძვირდეს, მაგრამ მოსახლეობა ამას ვერ იგრძნობს, რადგან საწვავის ტარიფი რაც იყო იგივე დარჩებაო.

უნდა ვენდოთ ხელისუფალთა ამ დაპირებას? მეტი რა გამოსავალი გვაქვს, წინასაარჩევნო პერიოდში ისინი იმდენ რამეს გვპირდებიან, ყველაფერში ეჭვი თუ შევიტანეთ, ამ ზამთარს შეიძლება საერთოდ ველარ გავაღწიოთ. ამიტომ უმჯობესია, დავიჯეროთ. მაგრამ იმას რა ვუყოთ, თუ გაზზე ამჟამად არსებული ტარიფიც ნაკლებად დამაჯერებელია, უფრო სწორად, არარეალურია?

რატომაო? — გაიკვირვებენ, ალბათ, სემეკის ხელმძღვანელები და უფრო მეტად, ენერგეტიკის სამინისტროს თავკაცები. თქვე კაი ხალხო, გვეტყვიან ისინი, გაზზე ფასის ზრდის მიუხედავად, მისი ტარიფის მომატებას არ ვაპირებთ და კიდევ აქეთ გვსაყვედურობთო?

სასაყვედუროა და გსაყვედურობთ. აბა მადლობა უნდა გითხრათ იმისათვის, რომ გაუსაძლის გაჭირვებაში მყოფ მოსახლეობას და გაკოტრების ზღვარზე მდგომ მეწარმეებს იმაზე მეტს ახდევინებთ გაზში, რასაც რეალური გაანგარიშება ითვალისწინებს? ნათქვამია, ტარანი ანგარიშით, არიო. ჰოდა მოდი ჩვენც ვიანგარიშოთ.

სემეკმა სამომხმარებლო ტარიფის განსაზღვრისას „შაჰდენიზის“ 63-დოლარიან და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის 120-დოლარიან გაზთან ერთად იანგარიშა 235-დოლარიანი რუსული აირი და საშუალო მაჩვენებლად 167 დოლარი აიღო. და ეს მაშინ, როცა გაზაფხულის შემდეგ საქართველოში რუსული გაზი აღარ შემოსულა და ქვეყანა მთლიანად აზერბაიჯანულ აირს მოიხმარს. ასეთ ვითარებაში, ექსპერტების ანგარიშით, 1 კუბმეტრი გაზის ტარიფი უნდა იყოს 40 თეთრი და არა 50,62 თეთრი დედაქალაქში, ხოლო რეგიონებში — 51-55 თეთრი. რადგან გაზის გამანაწილებელი კომპანიები მომხმარებლებს მხოლოდ 120-დოლარიან გაზს აწვდიან, მისი ტარიფი დაახლოებით 30 პროცენტით უნდა შემცირებულიყო, ეს კი სემეკმა არ გაითვალისწინა, საერთოდ, ტარიფისთვის არ გადაუხედავს და ამას არც მომავალში გეგმავს.

ხელისუფლება კი გვპირდებაო, მაგრამ თუ აზერბაიჯანულმა გაზმა ფასი მოიმატა, თანაც საკმარისი ოდენობით, არ მოგვცა და გაძვირებული რუსული აირის შემოტანა დაგვჭირდა, გჯერათ, რომ სემეკი და გნებავთ ხელისუფლებაც, თავისი სიტყვის პატრონი დარჩება? მით უფრო, თუ სიტყვის გატეხვას ისინი მიჩვეული არიან და ამის გამო მაინც და მაინც შუბლის ძარღვი არ შეუტოკდებათ?

დანაპირების შესრულების რეალობას სხვა გარემოებაც ემუქრება. დღეისათვის ქვეყანას დღე-ღამეში საშუალოდ 4 მილიონი კუბმეტრი გაზი სჭირდება, მაგრამ საიდან ან რა რაოდენობით იღებს მას საქართველო, რატომღაც „ინკოგნიტოდ“ რჩება. ცნობილია, მხოლოდ ის, რომ „შაჰდენიზის“საბადოდან დღეში 1 მილიონ კუბმეტრ გაზს ვიღებთ, სომხეთში გაზის ტრანზიტის საფასურად ვიღებთ გატარებული გაზის 10 პროცენტს, აზერბაიჯანის კომპანიებთან გაფორმებული ძველი შეთანხმების მიხედვით ვიღებდით 1,3 მილიონ კუბმეტრ გაზს. ახალ შეთანხმებაში კი კონკრეტული ციფრები არ სახელდება, ამის თაობაზე მათთან მხოლოდ ზეპირი შეთანხმება არსებობს.

რატომ არის ბურუსით მოცული ეს შეთანხმება, რატომ ერიდებიან მთავრობის წევრები ოფიციალური ციფრების დასახელებას? იმიტომ ხომ არა, რომ არჩევნების წინ ელექტორატში მორიგი ეჭვისა და უნდობლობის დათესვას გაურბიან? შეიძლება ასეც არის, შეიძლება რეალობას გამხელისა ეშინიათ, მაგრამ პატარძლის ხვედრი რომ აუცილებელია, ესეც ხომ ფაქტია?

მაშ ვის ვატყუებთ, ბატონებო, საკუთარ თავს?!

**ოთარ ხუციშვილი**

№ 251. შაბათი, 22 დეკემბერი, 2007 წელი.

### ◎ პრობლემა

# ჩვენში გადაცემას უუქმებენ, ამერიკაში კი — ნობელის პრემიით აჯილდოებენ

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მცირე სააქტო დარბაზში მეცნიერების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გაიმართა, რომელსაც პროფესორი რაფიელ ჩიქოვანი უძღვებოდა.**

— ჩვენს ორგანიზაციას „მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება“ ჰქვია, — თქვა მან. ჩვენი მიზანია მეცნიერების ამ დარგის წახალისება და განვითარება. მიუხედავად მატერიალური ბაზის სიმწირისა, მაინც ვახერხებთ მსგავსი ღონისძიებების ჩატარებას, გამორჩეულ მკვლევართა დაჯილდოებასა და ხელშეწყობას.



ამ საზოგადოების პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ვერცხლის მედლითა და პრემიით დააჯილდოვეს პროფესორი ლევან მგალობლიშვილი და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომელი თამაზ ებანოიძე.

— ქართულ მასმედიაში მეცნიერებას ნაკლები ადგილი ეთმობა. ერთ-ერთი იმ მცირეთაგან, ვინც ეს მძიმე მისია იტვირთა, ბატონი თამაზია. ფიზიკა, ბიოლოგია, მათემატიკა, მედიცინა... ეს არის არასრული ნუსხა იმ დარგებისა, რომელთა შესახებაც აქვეყნებს სტატიებს თამაზ ებანოიძე. პროფესიით მათემატიკოსი, უკვე 50 წელზე მეტია, ქართულ ჟურნალისტიკას უანგაროდ ემსახურება. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ამ ადამიანის მიმართ! ერთხმად აღნიშნავდნენ სხდომის მონაწილენი.

სხდომის დასასრულ, კოლეგებს თავისი გულისტკივილი გაუზიარა მერაბ ბერაძემ. „როცა სახელმწიფოში არის პრობლემები, ე. ი. უჭირს მეცნიერებას“, — თქვა მან, — წლების მანძილზე მიმყავდა გადაცემა „ენერგია“, რომელიც ქართული ენერგეტიკის და, საერთოდ, ქართული მეცნიერების პრობლემებს ეხებოდა. გადაცემა გამიუქმეს, როგორც უსარგებლო. თითქოს მას ორი-სამი კაციც არ უყურებდა მთელ საქართველოში. აშშ-ში ამგვარი გადაცემის ავტორი კი ნობელის პრემიით დააჯილდოვეს. მსგავსი ფაქტები მართლაც რომ გულსატკენია ყველა მოაზროვნე ადამიანისათვის. მეცნიერებას მფარველი და პატრონი სჭირდება. სხვაგვარად ის ვერ განვითარდება!“

მერაბ ბერაძის ამ მოსაზრებას უსიტყვოდ დაეთანხმნენ დარბაზში მყოფი, ღვაწლმოსილი ადამიანები, რომლებმაც მრავალი წელი მიუძღვნეს ქართულ მეცნიერებას.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

### ◎ ალიან-ჩალიანი

## ჟორიკა რურუას ნათელაშვილის მოკვლა სურდაო

**„ლეიბორისტული პარტია“ უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ნიკა რურუას ძმას, ჟორიკა რურუას, შალვა ნათელაშვილზე განხორციელებული ტერაქტის მცდელობაში ადანაშაულებს.**

**როგორც საუბარში „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენელმა ნესტან კირთაძემ განაცხადა, პარტიის ხელმძღვანელობას აღნიშნული ინფორმაცია სანდო წყარომ მიაწოდა.**

**„გვაქვს სარწმუნო ინფორმაცია, რომ გუშინ ღამით შალვა ნათელაშვილზე განხორციელებული ტერაქტის მცდელობა სწორედ ჟორიკა რურუამ და მისმა სადამსჯელო რაზმმა განახორციელა. ასევე გვაქვს ინფორმაცია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომელსაც სწორედ ჟორიკა რურუა ხელმძღვანელობს და მისი ფუნქცია პოლიტიკურ ლიდერებზე მსგავსი ტერაქტების დაგეგმა-განხორციელებაა“, — განაცხადა ნესტან კირთაძემ.**

**მისივე თქმით, ხელისუფლებამ ძალოვანი უწყებებიდან გათავისუფლებული პოლიციელებით, რომელთაც ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძე ხელმძღვანელობს, შექმნა „მოიერიშე მფრინავი რაზმები“, რომლებიც არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ქუჩაში გამოსული ხალხის უსასტიკეს დარბევას გეგმავენ.**

**„ლეიბორისტული პარტიის“ ინფორმაციით, პრეზიდენტობის კანდიდატ შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ ტერაქტის მცდელობა განხორციელდა. ნათელაშვილი პარტიის ოფისიდან სახლში ბრუნდებოდა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

# ხმა გულისა •

**მთელი დემოკრატიული სამყაროს ყურადღება მიმართულია საქართველოში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებისაკენ. უეჭველია, იმაზე დიდად იქნება დამოკიდებული ჩვენი სახელმწიფოებრიობის განვითარების ბედი, თუ რამდენად დემოკრატიულად ჩატარდება არჩევნები, ყოველგვარი გაყალბებისა და ძალმომრეობის გარეშე**



## ◎ რის დავიწყებაც არ შეიძლება

### განცხადება

# დავაწესოთ 22 დეკემბერი, საერთო-სახალხო ხსოვნის დღედ როგორც ჩვენი საერთო უბედურების სათავე

თექვსმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კრემლის მხარდაჭერით, საქართველოში განხორციელდა სამხედრო სახელმწიფო გადატრიალება – კომუნისტურ-ნომენკლატურული რევანში.

ქვეყნისათვის ამ ტრაგიზმით სავსე დღეს, 22 დეკემბერს, ჩვენს მოვალეობად მივიჩნიეთ მივმართოთ სრულიად საქართველოს მოსახლეობისადმი.

წარსულის გამოცდილებიდან რაიმეს სწავლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ წარსულის ობიექტურად შეფასებას შევძლებთ და აწმყოსა და მომავალს უშიშრად გავუსწორებთ თვალს.

მოგეხსენებათ, ქართველი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის არასდროს შეწყვეტილა. თაობიდან თაობას ანდერძივით გადაეცემოდა ერის სანუკვარი მიზანი – საქართველოს დამოუკიდებლობა.

ჩვენი თაობა ამ მხრივ ვალმოხდილია. სწორედ ჩვენს პერიოდში, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, ზვიადისა და მერაბის თავკაცობით აზვირთდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. თითოეული ჩვენგანი ვართ იმ გრანდიოზული ბატალიების მონაწილე და შემოქმედი, რომლებმაც საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობამდე მიგვიყვანეს.

ეროვნული სულის გამოღვიძებაში უდიდესი როლი შეასრულა 1989 წლის 9 აპრილმა. ეს იყო დღე, რომელმაც, შეიძლება ითქვას, განსაზღვრა საქართველოსა და არა მარტო საქართველოს მომავალი.

თავისუფლების სიმბოლოს – მერაბ კოსტავას საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებამ გულის სიღრმემდე შეძრა სრულიად საქართველო და კიდევ უფრო გაამძაფრა ანტიიმპერიული განწყობილება. ეროვნული გმირის დაკრძალვა გადაიქცა ეროვნული ძალების გამარჯვების მანიფესტაციად.

მთელს საბჭოთა კავშირში „პერესტროიკით“ გამოწვეული სიძნელეები და საქართველოში პოლიტიკურ ძალთა რეალური თანაფარდობა ქმნიდა საუკეთესო მომენტს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გადამწყვეტ ფაზაში შესასვლელად. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, სწორი და დროული პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებით, „მრგვალმა მაგიდამ“ დამაჯერებლად გაიმარჯვა 1990 წლის 28 ოქტომბრის თავისუფალ, მრავალპარტიულ არჩევნებში, უსისხლოდ შეცვალა კომუნისტური რეჟიმი.

საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველად ჩატარებულ თავისუფალ, მრავალპარტიულ არჩევნებს მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმი და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. დაეყრდნო რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დაადგინა და 1991 წლის 9 აპრილს საქვეყნოდ გააცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

1991 წლის 26 მაისს საერთო სახალხო არჩევნებში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეული იქნა ზვიად გამსახურდია.

სახელმწიფოს საბჭოური მმართველობის სისტემის დემონტაჟს უნდა მოჰყოლოდა სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები, სოციალისტური ეკონომიკიდან ლიბერალურ-დემოკრატიულით შეცვლა.

როგორც იცით, ეროვნულ ხელისუფლებას საქმის ბოლომდე მიყვანა არ დააცალეს. „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლებაში მოსვლამდე იმპერიული ძალებისა და პარტოკრატიის მცდელობა – გაეთიშათ და ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინათ ეროვნული ძალები – „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა.

საქართველოს მტრებთან მჭიდრო ალიანსში მყოფმა ფსევდოოპოზიციამ შეძლო „მრგვალი მაგიდის“ ჯერ ცალკეული წევრების, შემდეგ კი პარტიული ორგანიზაციების გადაბირება. მოსკოვში მოკალათებული სამშობლოს მოღალატე ნომენკლატურა, ე. შევარდნაძის ხელმძღვანელობით, იმპერიულ ძალებთან ერთად, ყველაფერს აკეთებდა მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების დეზინფორმაციისთვის. მიუხედავად ყოველივე ამისა, მტერმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კვლავაც ეროვნული ხელისუფლების ერთგული რჩებოდა. რევანშისთვის განწყობილმა პარტოკრატიამ, საბჭოთა-სამეურნეო ნომენკლატურასა და კრიმინალურ დაჯგუფებებთან ერთად, იმპერიული ძალების კარნახითა და მხარდაჭერით, გადაწყვიტა იარაღის ძალით დაემხო მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნების გამომხატველი ეროვნული ხელისუფლება.

1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ატაში შედგა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების პრეზიდენტების ბოლო შეკრება. ამ შეკრებაზე გამოცხადდა საბჭოთა კავშირის დაშლა და დსთ-ს შექმნა. საქართველომ უარი თქვა ახალ კავშირში გაწევრიანებაზე.

მეორე დღეს, 22 დეკემბერს, 8 საათზე დაიწყო მთავრობის სასახლის შტურმი.

ეროვნული ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობა აუცილებლად გულისხმობდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის, მისი მოსახლეობის წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიების განხორციელებას. რამდენადაც დამხობილი ხელისუფლება იყო ხალხის ნების გამომხატველი, იმდენად გადატრიალების პირველივე დღეებიდან მოსახლეობა აღდგა საკუთარი პოლიტიკური ნებისა და ღირსების დასაცავად. პერმანენტულად იმართებოდა ხელისუფლების მხარდამჭერი, მშვიდობიანი მრავალათასიანი მიტინგები და მანიფესტაციები. დემოკრატიის ლოზუნგით მოსული „ოპოზიცია“ „მხედრიონისა“ და ციხეებიდან სპეციალურად გამოშვებული კრიმინალური დამნაშავეების ხელით სასტიკად უსწორდებოდა საპროტესტო აქციების მონაწილე მშვიდობიან მოსახლეობას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გააკეთა წინასწარმეტყველური განცხადება იმის თაობაზე, თუ რა უბედურება დაატყდებოდა თავს საქართველოს მისი პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შემთხვევაში. ძალაუფლების ხელში ჩაგდების წყურვილით შეპყრობილ ფსევდოოპოზიციას არაფრის გაგონება აღარ სურდა.

კრემლის ხელდასხმით და მისივე სამხედრო ძალით ხელისუფლებაში მოსული შევარდნაძის რეჟიმი, რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით და ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, წინასწარ დაწერილი სცენარით ახდენს ომის პროვოცირებას შიდა ქართლსა და აფხაზეთში, სადამსჯელო ოპერაციებს აწყობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. რუსეთის სპეცრაზმების მონაწილეობით, „მხედრიონის“ ბანდებმა და ხუნტას დაქვემდებარებულმა ე.წ. გვარდიელებმა ექვსგზის დაარბიეს სამეგრელო.

მოძალადე რეჟიმის წინააღმდეგ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განუწყვეტლივ იმართებოდა კანონიერი ხელისუფლების დამცველთა მშვიდობიანი, საპროტესტო აქციები. ასეულ ათასობით მოქალაქემ დატოვა ქვეყანა, ათასობით ადამიანი დააპატიმრეს პოლიტიკური მრწამსის გამო. რეპრესიებმა მოიცვა მთელი ქვეყანა.

ედუარდ შევარდნაძემ ბალტინის ტანკებით კიდევ ერთხელ დალაშქრა დასავლეთ საქართველო და ქვეყანა მოსახლეობის ნების წინააღმდეგ დსთ-ში შეიყვანა.

საქართველოს მტრების მიერ პროვოცირებულ ამ დაპირისპირებას შეეწირა ძალიან ბევრი ღირსეული მამულიშვილი. უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

ასეთმა დაპირისპირებამ დღის წესრიგში დააყენა ქართული სახელმწიფოებრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხი. გაცნობიერებული იქნა რა, ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხე, ეროვნული ძალების წიაღში მომწიფდა ეროვნული თანხმობის იდეა, რომელსაც მომხრეები გამოუჩნდნენ არსებული რეჟიმის მხრიდანაც. ამ პროცესებმა თვალნათლივ დაანახვა დასავლურ დემოკრატიულ ძალებს შევარდნაძის რეჟიმის ნამდვილი სახე. დაპირისპირებამ რეჟიმის შიგნითაც პიკს მიაღწია, მაგრამ უმთავრესი მაინც ხალხის ნება იყო. ამდენად, მისი თორმეტწლიანი ბრძოლა ძალადობით მოსული უკანონო ხელისუფლების წინააღმდეგ სახალხო რევოლუციით დასრულდა.

როგორც იცით, ჩვენ მხარი დავუჭირეთ შევარდნაძის ანტიეროვნული, კრიმინალური რეჟიმის საერთო-სახალხო ძალისხმევით განდევნას და 2004 წლის 4 იანვრის არჩევნების გზით საქართველოს პრეზიდენტის არჩევას.

გაჩნდა იმედი, რომ საქართველოში დაიწყებოდა განახლებისა და ჭეშმარიტად დემოკრატიული განვითარების ახალი ერა, საბოლოოდ აღმოიფხვრებოდა 1991-1992 წლებში პროვოცირებული სახელმწიფო გადატრიალებით და ანტიხალხური პოლიტიკით გამოწვეული დაპირისპირება.

იმედი კიდევ უფრო ხელშესახები გახადა ინაუგურაციის მეორე დღეს ქაშუეთის ეკლესიაში გაცხადებულმა და მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელმოწერილმა ეროვნული თანხმობის დეკლარაციამ, რომელშიც ნათქვამია: „...საქართველოში იწყება განახლებისა და ჭეშმარიტად დემოკრატიული განვითარების ახალი ერა, 1990 წლის 28 ოქტომბრის საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებით არჩეული ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები და 2003 წლის ნოემბრის რევოლუციითა და 2004 წლის 4 იანვრის არჩევნებით სახელმწიფოს სათავეში მოსული ხელისუფლება, ერთობლივი მიზნისა და ინტერესების შეგნებით, ვაქვეყნებთ მემორანდუმს, რათა საბოლოოდ აღმოიფხვრას 1991-92 წლების მოვლენებით გამოწვეული დაპირისპირება და მიღწეული იქნეს ეროვნული თანხმობა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების პრინციპებზე.

ეროვნული თანაცხოვრების პრინციპებიდან და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლად მიმაჩნია:

სრულად წარმოჩინდეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას როლი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიზმის დამკვიდრებაში. შემუშავდეს და განხორციელდეს მისი სახელის უკვდავსაყოფი ღონისძიებები;

გამოცხადდეს ამნისტია 1991-1992 წლების მოვლენების მიზეზებით, შევარდნაძის ხელისუფლებასთან პოლიტიკური შეუთავსებლობის ნიადაგზე დაპირისპირებულთა, პატიმართა და ძებნილთა მიმართ;

პოლიტიკური მოტივით რეპრესირებულთა საზოგადოებრივი და სოციალური რეაბილიტაცია, ქვეყნის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ-სამეურნეო საქმიანობაში მათი სრულფასოვნად ჩართვისათვის ხელშეწყობა;

შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები ამ დეკლარაციით განსაზღვრული საკითხების რეალიზებისათვის.“

კარგად დაწყებულ დიდ ეროვნულ საქმეს ბოლომდე მიყვანა არ ეწერა – სამწუხაროდ, დეკლარაციაში გაცხადებული ეროვნული თანხმობის პროგრამა ხელისუფლების სამოქმედო გეგმიდან ამოღებული იქნა.

შევარდნაძის რეჟიმის მიერ პოლიტიკური მოტივით რეპრესირებული, გაძარცული, ღირსებააყრილი ადამიანების მორალური და მატერიალური რეაბილიტაციისათვის არაფერი არ გაკეთებულა. უგულებელყოფილი იქნა ის პატრიოტული ძალები, რომლებმაც თავიანთი განვლილი ცხოვრებით არაერთხელ გვიჩვენეს ქვეყნის ერთგულების, პროფესიონალიზმის, სახელმწიფოებრივი აზროვნების მაგალითი. გამოუყენებელი დარჩა ის რეზერვი, რომელიც ასე სჭირდებოდა ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობას. ჩვენი ღრმა რწმენით, ამის შედეგიც იყო ქვეყანაში უკანასკნელ ხანს განვითარებული მოვლენები, რომელთაც, საყოველთაო შეფასებით, დიდად შეაფერხეს საქართველოს განვითარება.

განვლილი უმძიმესი 16 წლის მიუხედავად, საქართველო ისევ დგას ახალი განსაცდელის წინაშე. ყველას ერთად გვმართებს გონიერება და წინდახედულება, რათა მტერი არ გავაცინოთ.

ვინც ყურადღებით აკვირდება საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს და თვალყურს ადევნებს საპრეზიდენტო არჩევნებს, დაგვერწმუნება, რომ შეშფოთების საფუძველი საკმარისზე მეტია. ჩვენი საერთო სამწუხარო გამოცდილებით, თუ ასე გაგრძელდა, არჩევნების შემდეგ კარგს არაფერს არ უნდა ველოდოთ.

ჩვენი ღრმა რწმენით, დღეს არანაკლებ სჭირდება ქვეყანას თანხმობა. მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერილი ეროვნული თანხმობის დეკლარაციაში გაცხადებული პროგრამა კვლავაც განსახორციელებელია.

ხელისუფლების მხრიდან კვლავაც აღიარებას მოითხოვს ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმული, დამოუკიდებლობის, კანონიერებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი და ამ ნიადაგზე შევარდნაძის რეჟიმისაგან რეპრესირებული ასობით ათასი ადამიანის ღვაწლი და დამსახურება.

კვლავაც არ ჩანს პოლიტიკური ნება, რომელიც პატიმრობისგან გაათავისუფლებს სამშობლოსათვის თავდადებული ეროვნული ხელისუფლების გვარდიელებს.

არ ჩანს პოლიტიკური ნება, რომელიც მზადაა შევარდნაძის, სიგუასა და კიტოვანის რეჟიმის გასამართლებისათვის.

არჩევნები ნელ-ნელა შედის ძალაში და არ არის გამორიცხული, თუნდაც ჩვენი განცხადების გამოქვეყნების შემდეგ პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატის თვალთახედვის არეში მოექცეს ეროვნული სულის მოუშუშებელი იარები. მანამდე კი საზოგადოების სამსჯავროზე გამოგვაქვს იდეა: დაწესდეს 22 დეკემბერი საერთო-სახალხო ხსოვნის დღედ, როგორც ჩვენი საერთო უბედურების სათავე. დავაწესოთ ხსოვნის დღე, რათა დღენიადაგ გვახსოვდეს და აღარასოდეს არ დავუშვათ 22 დეკემბრის განმეორება.

მომავალი, 2008 წელი გამოვაცხადოთ ეროვნული თანხმობის წლად და ამას საფუძველი ჩავუყაროთ დღეს.

მთელი დემოკრატიული სამყაროს ყურადღება მიმართულია საქართველოში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებისაკენ. უეჭველია, იმაზე დიდად იქნება დამოკიდებული ჩვენი სახელმწიფოებრიობის განვითარების ბედი, თუ რამდენად დემოკრატიულად ჩატარდება არჩევნები, ყოველგვარი გაყალბებისა და ძალმომრეობის გარეშე. არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარებაზე, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას, მაგრამ თავისი წილი პასუხისმგებლობისა ოპოზიციამაც უნდა იტვირთოს.

ღმერთი ფარავდეს სრულიად საქართველოს.

*ნემო ბურჭულაძე, რობერტ პეტრიაშვილი, ვალტერ შურღაია, ზაურ ქობალია, ჯემალ შონია, ველოდი მირცხულავა, თენგიზ კუბლაშვილი, ირინე ტალიაშვილი, ნოდარ ნონიაშვილი, ავთანდილ რცხილაძე, გია მამფორია, ვლადიმერ ჯოლოგუა, იგორ ნარმანია, გოგი ჩიქავა, გურამ აბსანძე, გოჩა ბიჭაშვილი, ვალერი გაბელია, გიგლა ბახტაძე, ზურაბ გუჩუა.*



## კი არ მეჩვენება, ასე ვხედავ

# განათლების კრიზისი

განათლების კრიზისული მდგომარეობა უკვე ყველასთვის ნათელია: ჩვენ აღარც უნივერსიტეტი გვაქვს და აღარც საშუალო სკოლა. შეგვრჩა „საჯარო სკოლები" ამერიკული „პაბლიკ სკულების" დარად და უბადრუკი კოლეჯების დონის სასწავლებლები, რომლებმაც „უნივერსიტეტები" დაირქვეს.

უნივერსიტეტი, თავისი განმარტებით არის სამეცნიერო სასწავლო დაწესებულება, სადაც მაღალი დონის სასწავლო პროგრამებთან ერთად მიმდინარეობს უმაღლესი დონის ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები. ასეთი უნივერსიტეტი საქართველოში გვქონდა ერთი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგრამ მას შემდეგ, როდესაც მეცნიერება ჩაკვდა მძიმე ფინანსური წნეხის გამო, ხოლო სასწავლო პროცესის ლიბერალიზაციამ სწავლების დონე უაღრესად დაადაბლა, ჩვენმა საამაყო „ცოდნის ტაძარმა" არსებობა შეწყვიტა.

თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ჩვენ საშუალო სკოლა აღარ გვაქვს, ჩაიხედოს სკოლის სახელმძღვანელოებში და ნახოს, თუ რას სწავლობს მოსწავლე. თუ რამე შედარებით ნორმალურად ისწავლება, ეს უცხოური ენებია. სახელმძღვანელოები მხოლოდ დებილებისთვისაა დაწერილი და ამ საგნების სწავლება სკოლების უმრავლესობაში მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

დღეს ვანადგურებთ განათლებას, ვსპობთ მეცნიერებას. ხვალ ვაჭართა და კრიმინალთა, სხვათა მოჯამაგირეთა ხვედრი გველის. გზა, რომელსაც კარგა ხანია დავადექით, სრულ ინტელექტუალურ განადგურებას გვიქადის, რათა განვითარებადი ქვეყნის სტატუსი მთლიანად გავამართლოთ.

სამწუხაროდ? ჩვენთან მიმდინარე განათლების რეფორმის მიზანია: განათლება მნიშვნელოვნად გაუარესდეს, სამაგიეროდ, ფასიანი გახდეს. ეს ცხადი გახდა მას შემდეგ? რაც ჯერ კიდევ 1972 წელს ამერიკის საელჩოს ატაშემ ბატონმა ჰაჩისონმა ბრძანა: „საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და სახელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა დააფინანსოს!" მართლაც, თუ იმდენად ღატაკი ხარ, რომ შენი ხალხი შიმშილით იხოცება და მათი ჰუმანიტარული დახმარებებითა და უპროცენტო სესხებით გვინდა ფონს გავიდეთ, რა დროს განათლება, მეცნიერება და კულტურაა? ჩვენ არ გვეყოლება ექიმი, ინჟინერი, მეცნიერი, კულტურის მოღვაწე და მხოლოდ სხვათა მოჯამაგირე ერი უნდა გავხდეთ!

აი, ესაა ჩვენი ხელისუფლების მთავარი მიზანი და საზრუნავი და სწორედ ამიტომ აცხადებდა ზოგი პარლამენტარი და ხელისუფლების წარმომადგენელი: „მეცნიერება საქართველოსთვის ფუფუნებაა!". ამრიგად, ჩვენ მოაზროვნე, განათლებული ხალხი არ გვჭირდება.

მოგვიანებით ჩვენმა პარლამენტმა დაადასტურა ჩვენი განვითარებადი ქვეყნის სტატუსი და მსოფლიო ბანკისგან დახმარებები და სესხები მივიღეთ, მაგრამ ბატონი ჰაჩისონის მოთხოვნის შესრულებას პრეზიდენტი შევარდნაძე უმალ შეუდგა: ერთ-ერთი პირველი განკარგულებით მან სახელმწიფო და კერძო სკოლების დიპლომების ხარისხი ერთმანეთს გაუთანაბრა და დაიწყო სახელმწიფო უმაღლესი სკოლებით თანდათან კერძო სკოლების დონემდე დაცემა. ამ დაცემის ბოლო აკორდი კი ბატონ ლომაიას ეკუთვნის, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ ვაფინანსებთ არა სკოლას, არამედ სტუდენტს და მოსწავლეს". სწორედ ამ მიდგომამ გაანადგურა სწავლების დონე – სასწავლებლები სტუდენტების ძიებაშია, სტუდენტი კი იმ სასწავლებლებს ირჩევს, სადაც სწავლა ადვილია.

ცხადია, ეს დაფინანსება ძალზე მწირი აღმოჩნდა და ეს დაფინანსება სტუდენტების უმრავლესობის სწავლის საფასურს მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს. მთავარია, რომ სახელმწიფო სასწავლებლები თანდათან იმ უსახურ ფასიან სასწავლებლებად გადაიქცნენ, რომელთა დაფინანსება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

საშუალო სკოლებში მოსწავლეზე გამოყოფილი თანხა პრაქტიკულად მაღალ კლასებს გააუქმებს, რადგან თუ მოსწავლეზე გამოყოფილი თანხა რამდენადმე მხოლოდ დაწყებითი კლასების განათლებასთვისაა საკმარისი, მაღალი კლასები სკოლებისთვის არარენტაბელური ხდება და სკოლაც იძულებულია მოსწავლის მშობლებს დამატებითი გადასახადი მოსთხოვონ და ფაქტიურად ფასიან სწავლებაზე გადავიდნენ. ამ გზით ქვეყანა ბატონ ჰაჩისონის მოთხოვნას შეასრულებს!

მნიშვნელოვანია, რომ სკოლების არსებული სასწავლო პროგრამები არ შეესაბამება საშუალო სკოლების პროგრამას და ის ადრინდელ რვაწლიან განათლების პროგრამასაც კი ვერ აღწევს. ასეთი ატესტატი კი საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლებისთვის მხოლოდ ფარატინა ქაღალდია.

უნივერსიტეტების მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო გახდა, რადგან, განათლების (უფრო სწორად, გაუნათლებლობისძ სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ სტუდენტებს სასწავლო გრანტი მხოლოდ ოთხი წლის განმავლობაში უზოძოს. რაც შეეხება მაგისტრატურას, აქ სწავლის ფული 4500 ლარით განისაზღვრა, რაც იურიდიული და ეკონომიკური ზოგიერთი სპეციალობების გარდა, ყველგან დაიხურება, ხოლო ბაკალავრიატის დამთავრება უმაღლესის დამთავრებას რომ არ ნიშნავს, ეს ყველა სტუდენტმა და მისმა მშობელმა უნდა იცოდეს. მაშ რატომ ახდევინებენ მშობელს სწავლის ფულს? მხოლოდ იმისთვის, რომ ადრინდელი „ტექნიკუმის" დიპლომი მიიღოს?

უნივერსიტეტის კოლეჯად გადაკეთება განათლების სამინისტროს უახლოესი მიზანია. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად გახდა აუცილებელი საშუალო სკლის დაცემა, რადგან ეროვნული გამოცდების ტესტების დონე შვიდი კლასის დონის განათლებას არ სცილდება.

ეტყობა, ჩვენს ხელისუფლებას საქართველოში დებილების მომრავლების იმდენად დიდი სურვილი აქვს, რომ უმაღლეს და საშუალო სკოლას ასეთი გამეტებით ანგრევს. მთავარია, ჩვენმა შვილებმა როგორმე კომპიუტერის ხმარება აითვისონ და საყველპურო ინგლისური ისწავლონ, რათა უცხოელებს უკეთ მოემსახურონ.

განათლების სამინისტროს ძირითადი მიზანია: წაართვან მომავალი ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს! რეფორმა მიზნად ისახავს საზოგადოების ზნეობრიობის საბოლოოდ დანგრევას პროფესორ-მასწავლებლების წარმოუდგენელი დამცირების გზით.

პირველყოვლისა საჭირო გახდა პროფესორიის დამცირება უბადრუკი ხელფასით, რომელიც დამლაგებლისა და მეეზოვის ხელფასს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. ამით ახალგაზრდებს აჩვენეს, რომ პროფესორობა და მასწავლებლობა მათ სილატაკეში ამყოფებდა და უკეთესი მომავლის იმედი მხოლოდ მომავალ იურისტებს და ბანკირებს უნდა ჰქონოდათ. ამიტომაც გაივსო იურიდიული და ეკონომიკის ფაკულტეტები „ფასიანი" და „უფასო" სტუდენტებით. შემდეგ კი, კორუფცია მოიმიზეზეს, თითქოს სამთავრობო სტრუქტურებში თუ პარლამენტში კორუფცია უცხო ხილი იყო, და, დაიწყო უპრეცედენტო ომი პროფესორ-მასწავლებლების წინააღმდეგ.

შემდეგი დარტყმა სამინისტრომ ანტიკორუფციული პროპაგანდით განახორციელა და ყველა პროფესორ-მასწავლებელს კორუმპირებული უწოდა.

ცხადია, ზოგი სპეციალობის (განსაკუთრებით იურიდიული და ეკონომიკური პროფილისძ პროფესორი გაება კორუფციის მახეში, მაგრამ ნუთუ სახელმწიფო სტრუქტურებში ცოტაა კორუმპირებული?

გაიხსენეთ: როდესაც პარლამენტმა სასამართლო და სამართალდამცავ მოხელეებს მნიშვნელოვნად გაუზარდა ხელფასი, ეს იმით გაამართლეს, რომ მაღალი ხელფასის აღებით მოსამართლეები ქრთამს აღარ აიღებდნენ?!

გასაოცარია: არც ერთ მოსამართლეს არ გამოუთქვამს პროტესტი, რომ მათ ყველას კორუმპირებულები უწოდეს და მათი ქრთამის აღებისაგან დაცვა თურმე მათ მორალს კი არა, მხოლოდ მაღალ ხელფასს შეუძლია. მაინც, რამდენად მაღალი უნდა იყოს მათი ხელფასი, უარი რომ თქვან პატივცემულმა მოსამართლეებმა?

შემდეგ, პარლამენტარები უფრო შორს წავიდნენ და თავიანთვისაც ფრიად საშური ხელფასები და პენსიები დაინიშნეს, პარლამენტარებში კორუფციის გასაქრობად. ვითომ ამან უშველა საქმეს? ზუსტად ასევე მოექცნენ მინისტრებსა და ხელისუფლების მაღალჩინოსნებს, როდესაც, აქაოდა კორუმპირებულები არ გახდნენო, ისეთი ხელფასები დაუწესეს, ამერიკელ ჩინოვნიკებსაც შურთ და ევროპელებსაც.

განათლების მესვეურებმა გაყიდეს საქართველო იმ იუდას ვერცხლზე, რომელიც ამ ვაიმოდერნიზატორებმა მსოფლიო ბანკისაგან მიიღეს. მათ ვერცხლთან ერთად ის „რეკომენდაციები" მიიღეს, რომლებიც „განვითარებად", ანუ „განუვითარებელ" ქვეყანას შეეფერებოდა და დაიწყო განათლების სისტემის უსასტიკესი ნგრევა „განათლების რეფორმის ეგიდით", რომელსაც უტიფრად ილია ჭავჭავაძის სახელი უწოდეს.

რა ეტაპები გაიარა რეფორმამ? ჯერ, 1992 წლიდან დაწყებული, განათლების სისტემა სილატაკეში ამყოფეს მრავალჯერადი სეკვესტრებით. იქვე ნება მისცეს სახელმწიფო სასწავლებლებს სტუდენტები ფასიან სექტორზე მიეღოთ და ამით იესო ქრისტეს აღთქმა დაარღვიეს – არ შეუშვათ ვაჭრები ტაძარში! შედეგად, დაიწყო „ფასიანი" სტუდენტების მოძიება მთელს საქართველოში და უნივერსიტეტები ფაქტიურად „ბიზნეს-ცენტრები" გახდნენ, სადაც მთავარი ამოცანა სტუდენტებისაგან გადასახადების ამოღებაა. აქედან სულ ერთი ნაბიჯიღა დარჩა ფართომასშტაბიან კორუფციამდე და ხელისუფალთა პრესამაც არ დააყოვნა: ხელაღებით დაიწყო ანტიკორუფციული შეტევა ჯერ უნივერსიტეტზე, შემდეგ მთელ განათლების სისტემაზე. „ცეცხლი სისტემას!" – ბრძანა თვით ხელისუფლებამ და ისეთი განათლების კანონი გვესროლა, რომ ქვა ქვაზე არ უნდა დარჩენილიყო. პირველ რიგში, ამ ცეცხლის ქვეშ პროფესორ-მასწავლებლები და ნიჭიერი სტუდენტები აღმოჩნდნენ, შემდეგ გამანადგურებელი დარტყმა ქვეყნის მეცნიერებამ მიიღეს, უნივერსიტეტების სამეცნიერო სექტორიც გააუქმეს. გაუქმდა ყველა სამეცნიერო ლაბორატორია, კათედრა და დაიწყო სამეცნიერო ინტელიგენციის ფართომასშტაბიანი გენოციდი.

საქართველოში მეცნიერების ამოძირკვის იდეა ორგანულად ერწყმის განათლების კანონს. სამეცნიერო ცენტრები ისედაც მეტისმეტად დასუსტდნენ ბიუჯეტის მრავალჯერადი სეკვესტრით, მაგრამ მთავარი ისაა, რომ საზოგადოებას მეცნიერთა უბადრუკი მდგომარეობა აჩვენონ, რათა ახალგაზრდებს მეცნიერებისკენ ლტოლვა გაუქრეთ. ამიტომაც მოიგონეს გრანტული სისტემა, რათა გრანტის მიღება ან მეცნიერებს შიმშილით სული ამოხდეთ, ან საერთოდ უარი თქვან სამეცნიერო საქმიანობაზე. მთავარია, რომ მეცნიერება მთლიანად გაქრეს საქართველოში, რათა განვითარებადი ქვეყნის სტატუსი გავამართლოთ. ცხადია, კულტურის ცენტრები – საოპერო და დრამატული თეატრებიც უნდა გაქრეს: ჯერ ისინი „სარდაფებს" შეაფარებენ თავს, შემდეგ კი, სულიც აღმოხდებათ. ის, რომ ჩვენ ნიჭიერი და კულტურული ხალხი აქ არ გვჭირდება, ხელისუფლებას იმდენად კარგად ესმის, რომ პარლამენტიც და სამინისტროებიც სწორედ შესაბამისი დონის ახალგაზრდებით აავსო.

მართალია, საბედნიეროდ ჩვენ გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდების გარკვეული რაოდენობა, მაგრამ მათი განათლებისა და სამეცნიერო მუშაობის გზა მხოლოდ უცხოეთში გადახვეწაა. ამრიგად, ჩვენ ვკარგავთ უნიჭიერეს ახალგაზრდობას და მათი აქ დაბრუნება გამორიცხულია სამეცნიერო ცენტრების უბადრუკი მდგომარეობის გამო. ეს კი დიდი დანაშაულია ერისა და ქვეყნის წინაშე!

განათლების სამინისტროს ანტიგანათლების რეფორმის მთავარი ლოგიკაა: დროა უარვყოთ და ყოველმხრივ გავანადგუროთ „ცოდნის სკოლა" და მის ნაცვლად დავამკვიდროთ „უნარ-ჩვევების სკოლა". სწორედ ამიტომ დაინგრა საშუალო სკოლა და უნივერსიტეტები კოლეჯის ფუნქციას დიდი ვაი-ვაგლახით ასრულებენ. განათლების სამინისტროს მესვეურები, ცხადია, ანტაგონისტურად არიან განწყობილი განათლებული ფენის მიმართ და „ახალ სახეებს" ეძებენ, რათა მათ ფონზე მაინც გამოჩნდნენ ოდნავ მაინც განათლებულნი. ამიტომაც აგზავნიან უნივერსიტეტებში თავიანთ მსტოვრებს, რათა ბოლომდე გაწმინდონ უნივერსიტეტები მოაზროვნე, ეროვნული სულის ადამიანებისგან.

ამ ლოგიკის ერთ-ერთი ვარიანტია „შვედური მაგიდა" – გადაიხადეთ ფული და ინებეთ ის განათლება, რომელიც გსურთ! სწორედ ამიტომ მივიღეთ იურისტებისა და ეკონომისტების ასეთი ჭარბწარმოება და ინჟინრების, ბუნებისმეტყველთა მწირი კადრი, შემოქმედების, გამომგონებლების უკმარისობა. მთავარი კი ისაა, რომ ჩვენი უნიჭიერესი ახალგაზრდობა ქვეყნიდან გავაძევეთ და მამლუქებად ვაქციეთ. საქართველო თანდათან მეძავთა, სხვათა მოჯამაგირეთა ქვეყანა ხდება.

ცხადია, განათლების სისტემა და მეცნიერების დონე მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან, ხოლო განათლებისა და მეცნიერების კრიზისი დამღუპველად მოქმედებს ქვეყნის როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ვითარებაზე. მეცნიერება და განათლება ერის მომავალს განსაზღვრავს და ამდენად მის სასიცოცხლო ინტერესებში შედის.

მაგრამ, საუბედუროდ ხელისუფლების პოლიტიკური ნება ისეთი იყო, რომ მას არც ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები აინტერესებდა და არც ერის მომავალი. მათთვის მთავარი ამოცანა ჯეობარებში და გასართობ შოუებში მონაწილეობით ახალგაზრდების დადებილება ყოფილა.

ქვეყნის განათლების პოლიტიკა სწრაფად მიგვიყვანს მოსახლეობის არა მარტო სულიერებისა და მორალის დაცემამდე, არამედ, კრიმინალური სამყაროს არნახულ გაძლიერებამდე. მომავალი უფრო მკაცრი იქნება და ქართველს ამ მიწაზე აღარც დაედგომება, მით უმეტეს, რომ პრივატიზაციის კანონები არა მარტო შენობებს, მიწასაც ხელში ჩაუგდებს გადამთიელებს, რომლებიც აქ საბატონოდ ჩამოსულან, რათა ქართველები მონებად ამუშაონ.

რა განათლების სისტემა უნდა ავირჩიოთ? არც ერთი უცხოური განათლების სისტემის ბრმად გადმოტანა არ შეიძლება. ის არ გამოგვადგება, რადგან ჩვენ გერმანელები ან ამერიკელები კი არა, ქართველები ვართ და განათლებისადმი ჩვენებური, სხვებისაგან განსხვავებული დამოკიდებულება გვაქვს. ჩვენთან კი ამერიკელებმა თავს ის განათლების რეფორმა მოგვახვიეს, რომელიც კამბოჯასა და პაკისტანში ჩაატარეს. რაც მთავარია, ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და მსოფლიო კულტურას ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურა და სულიერი სიმდიდრე უნდა შევუნარჩუნოთ! ამდენად, ჩვენ ვალდებული ვართ მათგან რამდენადმე განსხვავებული განათლების სისტემა შევქმნათ.

ჩვენი ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილი საზღვარგარეთ გარბის სასწავლებლად და სამუშაოდ. მარტო ამერიკაში ოცამდე ქართველი ფიზიკოსია, რომლებიც სხვადასხვა უნივერსიტეტებში მუშაობენ პროფესორის თანამდებობაზე. ყოველწლიურად ათეულობით სტუდენტი გადადის სასწავლებლად ამერიკასა ან ევროპაში და იქ უფასო განათლებას იღებს. მათი დაბრუნება სამშობლოში პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან აქ სამეცნიერო მუშაობის ელემენტარულ პირობებს ვსპობთ, ხოლო მეცნიერები იდევნებიან, შიმშილით კვდებიან ან თავს იკლავენ.

დღეს კონკურსებისა და უნიჭო ტესტების ბუმი დადგა. სკოლა თანდათან დაიშლება და სახელმწიფო სკოლები, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ დაწყებით განათლებას მოემსახურება. ეს კი ის რეკომენდაციაა, რომელიც განვითარებადი ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი და ჩვენც, როგორც განვითარებადმა, ანუ განუვითარებელმა ქვეყანამ უნდა შევასრულოთ.

საქართველოს გადარჩენა მხოლოდ მთელი ერის ერთობაშია. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სულიერების გადარჩენა ყველა ქართველის უწმინდესი და უპირველესი ვალია.

**მერაბ ჯიბლაძე,**
პროფესორი, ამერიკის ფიზიკური საზოგადოების წევრი.

**რუსეთში მითად თვლიან თბილისში გავრცელებულ ამბავს იმის შესახებ, თითქოს ბადრი პატარკაციშვილი კრემლთან იყოს კავშირში. ბორის ბერეზოვსკის უახლოესი თანამესაგრის მოსკოვის აგენტის როლში წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია**



## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

*გასულ კვირას საქართველოში სტარტი აიღო პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიამ. გადამდგარი, მაგრამ თავის გამარჯვებაში დარწმუნებული მიხეილ სააკაშვილის პირველი საჯარო ჟესტი იყო ინტერვიუ, რომელიც მან მისცა დახურული ტელეარხ „იმედის“ ჟურნალისტს ინგა გრიგოლიას. ეს ინტერვიუ გადასცა სამთავრობო არხმა „რუსთავი-2“-მა. დასმული იყო თითქოსდა ყველა უხერხული შეკითხვა. საუბრის დიდი ნაწილი მიმდინარეობდა ამაღლებულ ტონებში (სწორედ ქალბატონ გრიგოლიას პროგრამაში დაადანაშაულა ექს-მინისტრმა ოქრუაშვილმა ორი თვის წინათ პრეზიდენტი ყველა მომაკვდინებელ ცოდვაში. ამით დაიწყო კრიზისი, რომელიც პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნებით დასრულდა). თუმცა გაერთიანებულმა ოპოზიციამ თავის კანდიდატად წამოაყენა ლევან გაჩეჩილაძე, პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი ოლიგარქი ბადრი პატარკაციშვილიც. მის ინტერვიუს საქართველომ უყურა რესპუბლიკაში პოპულარული არხით RTVI. ისევ იმართება სააკაშვილის მოწინააღმდეგეთა მიტინგები. თავის ახლანდელ სტატუსში საზღვარგარეთის პრესისათვის განკუთვნილი პირველი ინტერვიუ მიხეილ სააკაშვილმა ლეონიდ პარფიონოვს მისცა.*

# მიხეილ სააკაშვილი:

# „საქართველოში არ განიცდიან ზედმეტ კრძალვას პრეზიდენტის წინაშე“

– თქვენ გადადექით პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით, რას ნიშნავს ეს პრაქტიკულად?

– პრაქტიკულად სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე, მე კი, პრეზიდენტობის კანდიდატი, 40 დღის განმავლობაში ვიმოგზაურებ, დაველაპარაკები ხალხს, განმარტებებს მივცემ მათ. საარჩევნო კამპანიები საუკეთესო პერიოდებია ჩემს ცხოვრებაში, ისინი უფრო მობილიზებულს მხდიან. საზოგადოების პოლიტიკური თვითშეგრძნებისთვისაც სასარგებლოა – რეგულარული საარჩევნო კამპანიები მას აჯანსაღებენ.

– კი, მაგრამ ეს საარჩევნო კამპანია ხომ გამოწვეულია ნოემბრის დამდეგის პოლიტიკური კრიზისით, რომელიც დღემდე ვერ აღმოფხვრილა, ესე იგი, არაჯანსაღი მდგომარეობით.

– მე ნოემბრის დამდეგის მოვლენები კრიზისად კი არა, სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის ძირის გამოთხრის ცდად მიმაჩნია. ცდად საარჩევნო პროცესის, საარჩევნო ციკლის დარღვევისა. როცა რაღაც ძალებს არ შეუძლიათ ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ადამიანთა თავისუფალი ნების გამოხატვის შედეგად, ისინი ცდილობენ ეს გააკეთონ ქაოსის ვითარების შექმნით. ლიბერალურ დემოკრატიაში დაეჭვებული ხელისუფლება ამ შემთხვევაში ცდილობს, ან სიმკაცრე გამოიჩინოს, ან მოაწყოს არჩევნები, რომლებიც ახალ ძალას შთაბერავენ ლიბერალურ დემოკრატიას. ჩვენ არჩევნების მოწყობა გადავწყვიტეთ.

– ბოლო 16 წლის მანძილზე პერიოდულად საქართველოდან აჩვენებენ ერთსა და იმავე სურათს: თბილისში რუსთაველის პროსპექტზე ხალხი ამხობს ხელისუფლებას – ამას სახალხო რევოლუციას უწოდებენ, – შემდეგ კი მის ლიდერს, რომელმაც არჩევნებში 90-მდე ან შესაძლოა მეტი ხმაც მიიღო, იგივე ბრბო კვლავ ამხობს. ან ცდილობს დაამხოს.

– ნოემბრის მოვლენები არის პაროდია „ვარდების რევოლუციაზე“. 2003 წელს ჩვენ გავაპროტესტეთ არჩევნების მორიგი გაყალბება და შევარდნაძისგან მოვითხოვეთ ჩვენს მიერ მოპოვებული სადეპუტატო მანდატები. პრეზიდენტის გადადგომა კი მხოლოდ ბოლო დღეს მოვითხოვეთ, როცა სახელმწიფოს მეთაურმა უარი თქვა ჩვენი მოთხოვნების შესრულებაზე და შეეცადა მოეწვია იმ პარლამენტის სესია, რომელიც ხალხს არ აურჩევია. 1991-1992 წლების ზამთარი კი რუსთაველის პროსპექტზე, მართლაც ძლიერი სტერეოტიპია: საქართველომ იცის, რომ დედაქალაქის ერთ-ერთ კვარტალში გაჩაღებული სამოქალაქო ომის გზით შეიძლება ძალით დაამხო კანონიერად არჩეული ხელისუფლება – როგორც მაშინ დაამხეს პრეზიდენტი გამსახურდია.

მადლობა ღმერთს, ახლა ეს სტერეოტიპები დარღვეულია: ალიკვეთა აქცია, რომლის მონაწილეები ხელისუფლების დამხობას მოითხოვდნენ. მაშასადამე, შესაძლებელია არა მარტო დამხობის სცენარი. 1989 წელს გენერალ როდიონოვის მიერ დემონსტრაციის გარეკვასთან პარალელები კი სრულიად უადგილოა: მაშინ ხალხი გამოდიოდა იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც არავის არ აურჩევია, და ხელისუფლებამ მოაწყო არმიული ოპერაცია საბრძოლო გაზებითა და მესანგრეთა ნიჩბებით, რასაც საშინელი მსხვერპლი მოჰყვა. უნდა გადავაბიჯოთ სტერეოტიპებსა და ცრურწმენებს და ვისწავლოთ წესრიგის დამყარება, თუ საჭირო გახდება, მკაცრადაც. მაგრამ საქართველოს სამართალდამცავ ძალებს მხოლოდ ევროპაში მიღებული სპეცსაშუალებებიღა აქვთ.

> *ღმერთმა დაგვიფაროს, მე პარანოია არ მაწუხებს და სულაც არ მგონია, რომ ყველა ამ ადამიანის ზურგს უკან მოსკოვი დგას. იმასაც კი არ ვამტკიცებ, რომ ჩვენმა დიდმა მეზობელმა ამ მოვლენებში დიდი როლი შეასრულა (იცინის). ეს რუსეთის პრესაში მიანიჭეს განსაკუთრებული მნიშვნელობა თბილისში რუსეთის საელჩოს თანამშრომლებთან ოპოზიციის ურთიერთობას. ჩვენში კი მათი საუბრების პუბლიკაციას არავითარი ანტირუსული მიმართულება არ ჰქონდა, ის ადასტურებდა მხოლოდ ჩვენი რადიკალების ორპირობას: ისინი ხომ საჯაროდ მძაფრად ილაშქრებდნენ რუსეთის წინააღმდეგ.*

– კი მაგრამ სიტუაციის მოგვარების ლოგიკა ნაკლებად გასაგებია: ოპოზიციის გარეკვა და მას შემდეგ ვადამდელი არჩევნების გამოცხადება, რაც არსებითად ოპოზიციის ერთ-ერთი მოთხოვნის დაკმაყოფილებაა. იქნებ აჯობებდა, ჯერ არჩევნები დაგენიშნათ და მაშინ არავის გარეკვა არ დაგჭირდებოდათ, ხომ ასეა?

– ვადამდელი არჩევნების შანტაჟის ზეგავლენით გამოცხადება ჩვენი გზა არ არის. ჩვენ ჯერ წესრიგი დავამყარეთ, რომლის პირობებშიც შესაძლებელი გახდა თავისუფალი ნების გამოვლენა. რაკი საზოგადოებას კითხვები აქვს, დაინიშნა პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები, რათა გაიმართოს პოლიტიკური დისკუსია, მათ შორის ამ მოვლენათა თაობაზეც, და რომ ადამიანებმა შეძლონ, გამოხატონ, ვის უცხადებენ ნდობას.

– როგორ მოხდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ზურაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი, კონფლიქტების დარეგულირების მინისტრი ხაინდრავა – თქვენი კაბინეტის ეს მთავარი წევრები თქვენდამი ოპოზიციაში აღმოჩნდნენ?

– ეს ერთი კი არა, სამი სხვადასხვა ისტორიაა. ხაინდრავა ჩვენი გუნდის წევრი არ ყოფილა, ის მოიწვიეს, მაგრამ მან ამ რთულ საქმეს თავი ვერ გაართვა. ზურაბიშვილი ემიგრანტთა შთამომავალია, რომელიც საფრანგეთის ელჩად იყო საქართველოში. ეს სამშობლოში დაბრუნების თითქოსდა ლამაზი ისტორია იყო, მაგრამ ევროპელმა ქალმა სწორედ ევროპასთან ვერ შეძლო კარგი ურთიერთობის დამყარება. ოქრუაშვილი კი ჩვენთვის მართლაც დიდი იმედგაცრუებაა. მე მასზე იმთავითვე ბევრ სხვადასხვა რამეს მეუბნებოდნენ, მაგრამ არ მოვუსმინე. ოქრუაშვილი ჩემი საკადრო შეცდომაა, რომლის გამოც ტელევიზიის მეშვეობით ვთხოვე პატიება საქართველოს.

– ნოემბრის გამოსვლების თაობაზე ითქვა, რომ რადიკალური ოპოზიციის ზურგს უკან მოსკოვი იდგა, მაგრამ გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე კატეგორიულად უარყოფს ბრალდებას რუსეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესახებ.

ღმერთმა დაგვიფაროს, მე პარანოია არ მაწუხებს და სულაც არ მგონია, რომ ყველა ამ ადამიანის ზურგს უკან მოსკოვი დგას. იმასაც კი არ ვამტკიცებ, რომ ჩვენმა დიდმა მეზობელმა ამ მოვლენებში დიდი როლი შეასრულა (იცინის). ეს რუსეთის პრესაში მიანიჭეს განსაკუთრებული მნიშვნელობა თბილისში რუსეთის საელჩოს თანამშრომლებთან ოპოზიციის ურთიერთობას. ჩვენში კი მათი საუბრების პუბლიკაციას არავითარი ანტირუსული მიმართულება არ ჰქონდა, ის ადასტურებდა მხოლოდ ჩვენი რადიკალების ორპირობას: ისინი ხომ საჯაროდ მძაფრად ილაშქრებდნენ რუსეთის წინააღმდეგ.

– გამოქვეყნებული საუბრები სავსებით უწყინარად გამოიყურება: რა მოხდა, თუ ქართველი მოღვაწეები იცნობენ რუსეთის საელჩოს თანამშრომლებს, თემები ხომ, რომლებსაც ისინი იხილავდნენ, არ გასცდენია დიპლომატებთან ჩვეულებრივი კონტაქტების ფარგლებს. ოპოზიციას ხომ აქვს კონტაქტები ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან, მაგრამ ამერიკის ჯაშუშებად მას არ მოიხსენიებენ.

– ჯაშუშობაში არც დაგვიდანაშაულებია ვინმე. თუმცა მათი საუბრები ზოგჯერ არცთუ ისე უწყინარ თემებს შეეხებოდა, გარწმუნებთ. მაგრამ ვიმეორებ: აქ რეზონანსი ჰქონდა განსხვავებას საჯარო ანტირუსულ პოზიციასა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან სასიამოვნო საუბრებს შორის.

– გუშინ თბილისში შარდენის ქუჩაზე მდებარე კაფეში ვიჯექი – მეზობელ მაგიდასთან მსხდომნი მოსმენების თემას განიხილავდნენ. მათ საგანგებოდ განმიმარტეს რუსულად: ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში ახლა 30 ათას კაცს უსმენენო ფარულად.

– სისულელეა! საქართველოში უბრალოდ ტექნიკური შესაძლებლობაც არ არის იმისა, რომ ამდენ ადამიანს მოვუსმინოთ, ან თუნდაც ჩავწეროთ ევროკავშირისგან განსხვავებით, სადაც თითქმის ყველა საუბარს იწერენ. კაფე შარდენშიც სპეციფიკური საზოგადოება დადის.

– იქ დედაქალაქის მოდური თავშეყრის ადგილია და ასეთი თავშეყრა საზოგადოებრივი აზრის გავლენიანი ფაქტორია.

– მე არ მინდა სპეცსამსახურების მძევალი ვიყო და სულაც არ მაინტერესებს ყოველგვარი ოპერატიული მასალები. მოსმენები კი განსაკუთრებით მეზიზღება, იმიტომ რომ, კანონიერად სანქცირებული და უშიშროების მოსაზრებებით გამართლებულნიც კი, ისინი მაინც პირად ცხოვრებაში ჩარევაა. მე საჯარო საქმიანობას ვეწევი, რომელშიც ადამიანთა იდუმალებების ცოდნა ხელს შემიშლიდა. ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან მგრძნობიარე ვარ: მთრგუნავს დამალვის აუცილებლობა. ამიტომაც ვერ ვიტან მოსმენებით მოპოვებულ მასალებს – მირჩევნია კიდევაც, ზოგი რამ არ ვიცოდე. უბრალოდ მითს ქმნიან ასეთს: „მიშა ყველას უსმენსო“. ჩვენში რომ მასობრივი მოსმენები იყოს, ცნობილ საუბრებზე საინტერესო რამეებიც გამომჟღავნდებოდა.

– რუსეთში მითად თვლიან თბილისში გავრცელებულ ამბავს იმის შესახებ, თითქოს ბადრი პატარკაციშვილი კრემლთან იყოს კავშირში. ბორის ბერეზოვსკის უახლოესი თანამესაგრის მოსკოვის აგენტის როლში წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია.

– ჩვენ მისთვის კრემლის აგენტი არ გვიწოდებია. მაგრამ მისი გამოყენება შეიძლება, მაგალითად, ამ პრინციპით: „ჩემი მტრის მტერი – ჩემი მეგობარია“. აშკარაა, რომ მოსკოვში ბევრისათვის პრობლემაა პრეზიდენტი სააკაშვილი. და პატარკაციშვილიც შეიძლება მის წინააღმდეგ გამოიყენონ, როგორც აგენტი-დამანგრეველი.

№ 251. შაბათი, 22 დეკემბერი, 2007 წელი.

● იანვარში მოსალოდნელია მარსი შეეჯახოს ასტეროიდს, რაც ტუნგუსის მეტეორიტის დაცემის ტოლფასი იქნება. მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ ასტეორიდის სიჩქარე წამში 12,8 კილომეტრია. შეტაკების შემთხვევაში პლანეტის ზედაპირზე შეიძლება წარმოიქმნას არიზონის ცნობილი კრატერის ოდენობის კრატერი, რომლის დიამეტრი 1200 მეტრია და სიღრმე 120 მეტრი



სავსებით პრაგმატული მიდგომაა. დასაშვებია, რომ მოსკოვში მას შეიძლება რაღაცას დაპირდნენ გამოყენების შემთხვევაში. ჩვენი დაკვირვებებითაც რუსეთის ხელისუფლება სხვადასხვაგვარად ეკიდება ამ წყვილს. მოსკოვი პატარკაციშვილის გადაცემაზე თბილისში გზავნიდა მეტად ფორმალურ მოთხოვნებს, დაჟინებით არ მოითხოვდა. მაგრამ საკმარისი იყო ბერეზოვსკი ჩამოფრენილიყო აქ, რომ საშინელი ხმაური ატყდა. ჩვენ ეს მაინც და მაინც არ გვაინტერესებს, მაგრამ კონტრასტი თვალნათელი იყო.

— ნოემბრის კრიზისის თვალსაჩინო მოვლენა იყო ბატონი პატარკაციშვილის კუთვნილი ტელეარხის „იმედის“ მაუწყებლობის შეწყვეტა სპეცდანიშნულების რაზმის მიერ, რომელიც შეიჭრა სტუდიის ოფისში, სააპარატოში.

— ეთერში სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებებისათვის უშუალო წაქეზება რომ არა, არავინ არ იზამდა ამას: ნებისმიერი ტელეკომპანიის მაუწყებლობის ძალისმიერი შეწყვეტა ნებისმიერი ხელისუფლებისათვის არაპოპულარული აქტია.

— რაში დასჭირდა სპეცდანიშნულების რაზმს „იმედში“ შეჭრა, განა არ შეიძლებოდა ამ შემთხვევაში გადამცემის გამორთვა?

— არ ვიცი, როგორ მიიღეს გადაწყვეტილება მაუწყებლობის შეწყვეტის საშუალების არჩევის თაობაზე. მე მითხრეს, რომ მთავარი გადამცემები განლაგებული იყო თვით ტელეკომპანიის შემოფარგლულ ტერიტორიაზე, ამიტომაც დასჭირდათ შიგ შესვლა. რა თქმა უნდა, ეს, რბილად რომ ვთქვათ, ულამაზო საქციელია. საშინელებაა პოლიციის შეჭრა ტელევიზიაში. მაგრამ იმ დროს ის ჟურნალისტიკით არ იყო დასაქმებული. და არა იმიტომ, რომ მე მაკრიტიკებდა, საქართველოში კრიტიკა არ იკრძალება. თუ ეთერში არ გაგინებენ — ოჯახებში გაგინებენ. პატარა ქვეყანაში ავტორიტარიზმი შეუძლებელია. მე საქართველოში ხალხის მხოლოდ მცირე ნაწილი მეძახის „მიშას“ ზურგს უკან, მეტი ნაწილი კი პირდაპირ ურთიერთობაში მეძახის ასე. ეს რუსეთი როდია, აქ პრეზიდენტის წინაშე განსაკუთრებულ თრთოლვას არ განიცდიან. მაგრამ როცა აბობოქრებულ ბრბოს ტელევიზია ტყუილებით აბრუებს, თითქოს სპეცდანიშნულების ნაწილი საკათედრო ტაძრის იერიშისთვის ემზადებოდეს, — ეს სამოქალაქო ომისა და სახელმწიფოს დანგრევის საფრთხეს ქმნის.

— რუსეთში ოლიგარქებს ორი ტელეარხიც კი ეკუთვნოდათ. ისინი ხან მტრობდნენ, ხან მეგობრობდნენ ერთმანეთსაც და ხელისუფლებასაც და ეს აირეკლებოდა ეთერში. შემდეგ კი ხელისუფლებამ ორივე ოლიგარქი განდევნა და თავად გახდა ერთადერთი ოლიგარქი, რომელიც მთელ სატელევიზიო ინფორმაციას უწევს კონტროლს. საქართველოს რა მოდელი აქვს ოლიგარქის შემდგომი ტელევიზიისა?

— ყოველ შემთხვევაში, ის არ იქნება რუსულის მსგავსი მოდელი. ჩვენ მოვიწვიეთ ევროკავშირის კომისია, რათა დაგვეხმაროს, შევიმუშაოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმები, რათა ეს საშუალებები ვერც ხელისუფლებამ გამოიყენოს ბოროტად, ვერც ხელისუფლების მოწინააღმდეგეებმა. საქართველოს ძალიან სჭირდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, ეს ნოემბრის მოვლენების ერთ-ერთი მთავარი გაკვეთილი იქნებოდა... მთავრობის წარმომადგენლები მოლაპარაკებას ეწევიან News Corporation-თან „იმედის“ თაობაზე. მაგრამ ვფიქრობ, ამერიკელთა უფლებები და შესაძლებლობები ჯერაც არ არის მაინც და მაინც გარკვეული. რა თქმა უნდა, ისინი სიტუაციას უფრო სტაბილურს გახდიდნენ, მაგრამ საერთოდ მესაკუთრის საკითხი პრინციპული არ არის. ოღონდ წამქეზებლობას თავი დაანებონ.

— როგორ გგონიათ, 5 იანვარი შესაფერისი თარიღია არჩევნებისთვის? ის ხომ ორ დღესასწაულს შორისაა მოქცეული: ახალ წელსა და შობას შორის?

— თარიღს ჩემი აზრით, არა უშავს რა. ქართველები, მართალია, ცოტას როდი სვამენ, მაგრამ იშვიათად თვრებიან. ხუთ რიცხვში ახალი წლის დღესასწაული უკვე დამთავრებულია და შობასაც ვადამდე არ დღესასწაულობენ. წინა საარჩევნო კამპანია ჯერ კიდევ დეკემბრის ბოლოსათვის განსაზღვრავს ყველაფერს. წინა არჩევნები, 2004 წლისა, 4 იანვარს გაიმართა, და მისი მოწყობის თარიღს, ვგონებ, არავისთვის და არაფრისთვის ხელი არ შეუშლია.



— მოვლენა, რომელიც ჯერ კიდევ არჩევნებამდე შეიძლება მოხდეს, არის კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება. რუსეთმა აგრძნობინა დასავლეთს, რომ თუკი ეს მოხდება, შესაძლებელია, მან ცნოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. რა მოხდება მაშინ?

— კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება მართლაც გარდუვალია. მაგრამ თუ რუსეთის ხელისუფალთა ქმედებებში რაციონალიზმის თუნდაც ათი პროცენტი დარჩენილა, ისინი ასე არ იძიებენ შურს დასავლეთსა და საქართველოზე. შავი ზღვის სანაპიროს კიდევ 230 კილომეტრი ტკბილი ლუკმაა და აფხაზეთის ეგრეთ წოდებული დამოუკიდებლობა რუსეთისთვის მის შეერთებას ნიშნავს. მაგრამ ეს თვითმკვლელობის ტოლფასია — რუსეთის კუთვნილი ჩრდილოეთ კავკასია ხომ სეპარატიზმის ბაცილითაა დასნებოვნებული. მე არა მგონია, რომ მოსკოვმა ეს არ გაითვალისწინოს.

იბეჭდება მცირე შემოკლებით

Newsweek

მოსკოვში იაპონიის საელჩოს მინისტრმა ესიტაკა აკიმოტომ განაცხადა, რომ მის ქვეყანას არ შეუძლია მიიღოს პროტესტი ტერიტორიული წყლების დარღვევის შესახებ და რუსეთისგან მოითხოვა დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს მეზღვაურები და გემები. ტერიტორიულ საკითხზე ჩვენი პოზიციის თვალსაზრისით, თქვა მან, რუსეთსა და იაპონიას აქვთ საერთო ინტერესი, შეინარჩუნონ ახლანდელი სათევზაო რეჟიმი სამხრეთ კურილიის კუნძულების ირგვლივ.

* * *



იანვარში მოსალოდნელია მარსი შეეჯახოს ასტეროიდს, რაც ტუნგუსის მეტეორიტის დაცემის ტოლფასი იქნება. მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ ასტეორიდის სიჩქარე წამში 12,8 კილომეტრია. შეტაკების შემთხვევაში პლანეტის ზედაპირზე შეიძლება წარმოიქმნას არიზონის ცნობილი კრატერის ოდენობის კრატერი, რომლის დიამეტრი 1200 მეტრია და სიღრმე 120 მეტრი.

* * *

რუსეთში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა უილიამ ბერნსმა კვლავ განაცხადა, რომ აუცილებელია ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ერთობლივი ძალისხმევა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისა და წინასწარი გაფრთხილების ერთობლივი სისტემის შესაქმნელად ორივე ქვეყნის ინტერესებისთვის და გაიხსენა ორი ქვეყნის პრეზიდენტების ინიციატივა საერთაშორისო ტერორიზმისადმი წინააღმდეგობისა და ბირთვული მასალებისადმი კონტროლის დარგში.

* * *

1989 წლის 20 დეკემბერს დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ოპერაცია, რომლის მთავარი მიზანი იყო პანამის დიქტატორის მანუელ-ანტონიო ნორიეგას დაპატიმრება. ის დააპატიმრეს და ჩაიყვანეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 1990 წელს წარსდგა სასამართლოს წინაშე და თითქმის ორი წლის შემდეგ გასამართლდა ნარკოტიკებით ვაჭრობისა და დანაშაულებრივი გზით მიღებული დიდძალი თანხის გათეთრების ბრალდებით.

* * *

ქაიროს მეტროში მემანქანემ ვერ შეძლო შეეჩერებინა მატარებელი, რის შედეგადაც 25 ადამიანი დაშავდა. ვაგონი შესამჩნევად არ დაზიანებულა, ყველა ტრავმირებული ადამიანი კი საავადმყოფოში მიიყვანეს.

* * *

ინტერნეტში შეიქმნა პუტინის დასავლელი ფანატების ათობით გაერთიანება. რუსეთის მეორე პრეზიდენტის დასავლელი თაყვანისმცემლების აზრით, პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთი გავლენიან სახელმწიფოდ აქცია და ახლა ამ ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ ისინი რუსები არიან. პუტინი უნდა დარჩეს პრეზიდენტად, რათა გააკეთოს რუსეთისთვის ის, რისი გაკეთებაც ჯერ ვერ მოასწრო.

* * *



ახალ ზელანდიაში მიწისძვრის შედეგად დაილუპა ერთი და დაიჭრა თერთმეტი ადამიანი. დაზარალებული რაიონიდან მოდის ცნობები დანგრეული შენობებისა და ნაგებობების შესახებ, რომელთა შორისაა საცხოვრებელი სახლები, ღვინის ქარხანა, მაღაზიები. პირველი მიწისძვრის ბიძგების ამპლიტუდა 6,8 იყო, რამდენიმე საათის შემდეგ კი დედამიწის რყევა 4,5 შეადგინა.

* * *

ტალინში გაიმართება ოფიციალური დღესასწაული შენგენის სივრცის გაფართოების აღსანიშნავად. პორტუგალიამ, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანამ და ევროკომისიამ გადაწყვიტეს აღენიშნათ ცხრა ახალი ქვეყნის: ესტონეთის, ლატვიის, ლიტვიის, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთის, სლოვაკიის, სლოვენიისა და მალტის მიმატება ამ სივრცისათვის.

* * *

ახალი წლისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოუშვეს ექსპერიმენტული სასაჩუქრე ბარათები — სერტიფიკატები სამედიცინო მომსახურებაზე. სასაჩუქრე ბარათები ამერიკაში საჩუქრების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ვარიანტია. ისინი შეიძლება გადაიცვალოს მჩუქებლის მიერ წინასწარ გადახდილი თანხის საქონელზე ან მომსახურებაზე. როგორც წესი, ასეთ ბარათებს უშვებენ დიდი უნივერმაღები, სათამაშოებისა და ტანსაცმლის მაღაზიები, სილამაზის სალონები და რესტორნები.




* * *

კანზას-სიტიში ამერიკელ მილიონერს ლარი სტიუარტს მიმდევარი გაუჩნდა, რომელიც 26 წლის განმავლობაში ყოველ დეკემბერს იცვამდა სანტა კლაუსის კოსტიუმს და ღარიბებს ფულს ურიგებდა ქალაქის ქუჩებში.



* * *



თურქმენეთი აღნიშნავს თავისი პირველი პრეზიდენტის საფარმურატ თურქმენ ბაშის დაღუპვის წლისთავს. ყველა სამგლოვიარო ღონისძიება მოეწყობა ნიაზოვის მშობლიურ სოფელში, სადაც ქვეყნის პირველი პრეზიდენტის საოჯახო მავზოლეუმია.

* * *

ევროპის სასამართლომ გაამართლა ლატვიელი პარტიზანი ვასილ კონონოვი. 84 წლის ვეტერანს ბრალად ედებოდა 9 მშვიდობიანი მცხოვრების დახოცვა 1944 წელს. თვით ყოფილი პარტიზანის თქმით, მან დახოცა ფაშისტების ხელშემწყობნი. „ეს ჩემი საბოლოო გამარჯვებაა, რომლისკენ ხანგრძლივი 8 წელიწადი მივდიოდი“, — ასე განმარტა კონონოვმა სასამართლოს გადაწყვეტილება.



№ 251. შაბათი, 22 დეკემბერი, 2007 წელი.

# კულტურა

● საგუნდო სიმღერას მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს საქართველოში, ცხადია, არავითარ განმარტებას არ საჭიროებს. ხალხური სიმღერა ხომ, შეიძლება ითქვას, ქართველი ხალხის ერთ-ერთ უპირველეს „სავიზიტო ბარათად“ იქცა პლანეტარული და თუ გნებავთ, კოსმოსური მასშტაბითაც

◉ მუსიკა – ჩვენი სიყვარული

## ერთად საუკუნეს გადააჭარბეს

**დავაკონკრეტოთ წერილის სათაური. მართლაც, საქართველოს ეროვნულ საგუნდო კაპელას დაარსებიდან 60 წელი შეუსრულდა, ხოლო მის უცვლელ მუსიკალურ ხელმძღვანელს ათეული წლების მანძილზე, საქართველოს სახალხო არტისტს გივი მუნჯიშვილს – 70!**

სიყვარულითა და პატივისცემით მივესალმები ორივე მათგანს, რომელთა შემოქმედებით მოღვაწეობასთან დაკავშირებულია ქართული მუსიკალური ხელოვნების მრავალი შესანიშნავი ფურცელი და რომლებმაც ამდენი დაუვიწყარი მხატვრულ შთაბეჭდილებათა და ესთეტიკური განცდის წუთები გვაჩუქეს ჩვენ – მათ ერთგულ მსმენელებს.

საგუნდო სიმღერას მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს საქართველოში, ცხადია, არავითარ განმარტებას არ საჭიროებს. ხალხური სიმღერა ხომ, შეიძლება ითქვას, ქართველი ხალხის ერთ-ერთ უპირველეს „სავიზიტო ბარათად“ იქცა პლანეტარული და თუ გნებავთ, კოსმოსური მასშტაბითაც.

რაც შეეხება მუდმივ მოქმედ აკადემიურ კაპელას, რომლის მთავარი დანიშნულებაა პროფესიული საკომპოზიტორო შემოქმედების ნიმუშთა შესრულება, მისი შექმნის მცდელობები და პერიოდული არსებობაც, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებს უკავშირდება. მაგრამ მაინც, სტაციონარული სრულმასშტაბიანი აკადემიური საგუნდო კაპელის დაბადების წლად 1947 წ. გვევლინება (1991-იდან იგი ქართველი კომპოზიტორი-კლასიკოსის ნ.სულხანიშვილის სახელს ატარებსძ.

კაპელის დამაარსებელი და პირველი სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ შესანიშნავი მუსიკოსი, საგუნდო დირიჟორი გიორგი ხახანაშვილი, რომლის ღვაწლის გადაფასება ჭეშმარიტად შეუძლებელია:

**საქართველოს საგუნდო კაპელის ორმაგი იუბილე**



შემდგომ წლებში კაპელას არაერთი გამოჩენილი მუსიკოსი ედგა სათავეში, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ო. თაქთაქიშვილი, ჯ.კახიძე და სხვები, ხოლო 1975-იდან – ჩვენი იუბილარი – გ.მუნჯიშვილი. ამ წლების მანძილზე კაპელამ მისი ხელმძღვანელობით მსოფლიო მუსიკალური კლასიკის მრავალ ნიმუშს გვაზიარა, შესრულდა ქართველი კომპოზიტორების პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები. თანდათან ფართოვდებოდა კაპელის მოღვაწეობის შემოქმედებითი არეალი, რასაც თან ახლდა მისი საერთაშორისო აღიარებაც.

დიდი სიძნელეები შეექმნა კაპელას, ისევე როგორც ჩვენ მუსიკალურ კულტურას, საზოგადოდ, – 90-იანი წლებიდან დაწყებული და მხოლოდ ბოლო ხანებში გამოიკვეთა მისი აღორძინების პერსპექტივა, როდესაც იგი გაერთიანდა საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში (ხელმძღვანელი ნ.მემანიშვილიძ და რამდენიმე მნიშვნელოვანი მხატვრული პროექტიც განახორციელა (მაგ. კ.ორფის მონუმენტური კანტატის „კარმინა ბურანას“ შესრულებაძ.

ამჟამად, საქართველოს ეროვნული კაპელის მუსიკალური ხელმძღვანელია გივი მუნჯიშვილი, ხოლო მთავარი დირიჟორი – ნიჭიერი ახალგაზრდა ლოტბარი არჩილ უშვერიძე.

ახლა იმ კონცერტის შესახებ, რომელიც მიეძღვნა ზემოხსენებულ საიუბილეო თარიღებს.

კონცერტის პროგრამა მთლიანად მსოფლიო მუსიკალური კლასიკის ნიმუშებისაგან შედგებოდა, რომლებიც თბილისში პირველად სრულდებოდა.

ყოველ შემთხვევისათვის, ჩემთვის, 70 წლის „სმენითი გამოცდილების“ მქონე ადამიანისათვის, შესრულებულ ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობა ძალზე საინტერესო სიახლეს შეადგენდა. თავდაპირველად ვიტყვი, რომ კონცერტის უპირველეს და სასიამოვნო ფაქტს ის წარმოადგენდა, რომ მან ნათლად დაადასტურა: ამჟამად კაპელის სახით ჩვენ გვყავს მაღალი აკადემიური კლასის პროფესიული კოლექტივი, რომელსაც ხელეწიფება რთული მხატვრული ამოცანების გადაჭრა. ეს ეხება მისი საშემსრულებლო ხელოვნების ყველა პარამეტრს: იგი ტექნიკურად გაწაფული, ტემბრულად გაწონასწორებული და რიტმულად ორგანიზებულია. ყოველივე ეს ნათლად დადასტურდა სტილისტურად ფრიად მრავალფეროვანი და ტექნიკურად რთული პროგრამის შესრულებით, რომლის ვრცელი ქრონოლოგიური და მხატვრული დიაპაზონი მოიცავდა მე-17-20 საუკუნეების მუსიკალური შემოქმედების ნიმუშებს, დაწყებული მონტევერდისა და ბახის და გაგრძელებული შუმანის, ვერდის, რაველისა და ბარბერის ნაწარმოებებით.

შევჩერდები, კერძოდ, ბახის „მოტეტზე“, რამდენადაც გენიალური გერმანელი კომპოზიტორის ნაწარმოებების შესრულება თავისებურ “საჯილდაო ქვას“ წარმოადგენს ნებისმიერი საგუნდო კოლექტივისათვის თავისი რთული და დიფერენციული მუსიკალური ფაქტურისა და „სულმოუთქმელი“ დინამიკის გამო.

თავისი ნიჭიერი ახალგაზრდა ხელმძღვანელის – არჩილ უშვერიძის დირიჟორობით კაპელამ ეს რთული მხატვრული ამოცანა წარმატებით გადაჭრა.

ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა შუმანის 2 საგუნდო სიმღერისა და, ასევე დანარჩენი ნაწარმოებების შესრულებამაც.

მსმენელები გულთბილად მიესალმნენ შემსრულებლებსა და კაპელის მუსიკალურ ხელმძღვანელს – შესანიშნავ მუსიკოს-იუბილარს – გივი მუნჯიშვილს.

**გულბათ ტორაძე**

◉ სიტყვა მეგობარ პოეტზე

## სამზეოდ გამოტანილი




**ლექსების ეს პატარა კრებული, რომელიც ავტორმა ცოტა მოგვიანებით გამოიტანა სამზეოდ, ყურადღებას იპყრობს ნააზრევის მხატვრულ ფორმებში გადმოცემის სისადავით, სინათლისადმი ლტოლვის სურვილითა და ღრმად პატრიოტული პათოსით.**

ლექსების წერა გ. სტურუამ იმ ასაკიდან დაიწყო, როდესაც ცხოვრება და სიცოცხლე აღსავსეა ფერადოვანი ოცნებებით, ბუნებისადმი ტრფიალითა და სულიერი ზრდის დაუოკებელი წადილით; ეს ხომ პირველი სიყვარულის, აღტაცების, გაოცებისა და სინანულის ასაკია; ეს განცდები ხილულად ეტყობა მის პირველ პოეტურ სტრიქონებს, რომელთაც არ დაუკარგავს ავტორის სულის სიწრფელე, მიუხედავად მათი დიდი ხნით „ტყვეობაში ყოფნისა“. ავტორი ამ სტრიქონებს ქმნიდა ნახევარი საუკუნის წინათ; წერდა, ერიდებოდა, მალავდა, სითამამე რომ მოეძალებოდა, ხელნაწერებს უკითხავდა ტოლ-მეგობრებს, ნათესავებს; მოწონების შეძახილებმა ფრთები შეასხა ახალგაზრდა ავტორს; წერდა შინ, გარეთ, თბილისში, სამტრედიაში, მოსკოვსა და გერმანიაში, წერდა და მაინც ინახავდა, ეშინოდა საკუთარი ნაბეჭდი ლექსებისა, კი არ ეშინოდა, ერიდებოდა, ერიდებოდა მკითხველის შეწუხება.

ამასობაში ლექსს ლექსი ემატებოდა; მგრძნობელობა და სინატიფე ცხოვრებისეულმა გარემომ შეცვალა, მაგრამ ლექსებს არ დაუკარგავთ განცდისეული ელფერი და მხატვრული სახე. ნახევარი საუკუნის წინათ დაწერილ ლექსებში განგების ხელი უფრო მეტად ურევია, პოეზიაში მუზას რომ უწოდებენ. ამდროინდელ ლექსებში ნათლად ჩანს პოეტის სწრაფვა უკეთესი ხვალისათვის: „ისეთი ხვალე, რაც იყო გუშინ, თუ გამითენდა, არ მეამება.“ გაზაფხული ხიბლავს პოეტს; ბუნების გაღვიძება მასში იწვევს სიცოცხლის უფრო მეტად ტკბობის სურვილს. „თეთრად დაწნული“ გაზაფხული პოეტის გულში იდუმალ გრძნობებს ანთებს; პოეტს სულში ელვარება სითბო გაზაფხულის ფრთებით მოტანილი, ეს ის ფრთებია, რომლებიც სიყვარულით ეალერსებიან კოშკის კიბეზე ამავალი ქალწულის ფარჩის კალთებს (გაზაფხულიაძ. და მაინც, პოეტის სულის სწრაფვა სიცოცხლის სიყვარულითა და აღმასვლის ჟინით არის გაჟღენთილი: „ ჩემს ბაღში ვარდი იღვიძებს და ცისკარს გულს უშლის ... სიცოცხლე ისევ ათინათდა სხვაგვარი შუქით.“

საქართველოს გარეთ დაწერილ ლექსებში სამშობლოს ხილვის სურვილი და ნატვრა ისეა ჩაქსოვილი, რომ მკითხველი ძალაუნებურად ფიქრობს : „მეც მასვე ვინატრებდიო“. პოეტი მოხიბლულია უცხოეთის ხელოვნების ხილვისას, მას ქართველი ქალის თვალით შესცქერის და მჟღავნდება მისი წადილიც – საქართველოში ყოფნა ურჩევნია: “შენი ფრთების ფრინველი ვარ, სხვაგან ვერსად დავიბუდებ, თამარ მეფის ხატს ვფიცავ და სვეტიცხოვლის ტაძრის ფუძეს“.

თბილისში დამკვიდრებული პოეტი ცხოვრობს თითქოს ჩვეულებრივი, მაგრამ სინამდვილეში არც თუ ჩვეულებრივი ცხოვრებით. ის სხვაგვარად უყურებს ყოფით წვრილმანებსა თუ საგნებს; მას არც გამოგონილი გრძნობა აწუხებს და არც თავსმოხვეული იდეალი; პოეტი საკუთარი ბილიკით დადის პოეზიის სურნელებით გაჟღენთილ სამყაროში, რომელიც აღსავსეა ადამიანებისადმი სიყვარულით, ბუნებრივი ნაკადითა და ზეციური სიწმინდით; ასეთი სულიერი წყობის პოეტი ქალი იმთავითვე დაუმეგობრდა წიგნს, წიგნის სამყაროს, კარგად უწყოდა რა ნაცადი ჭეშმარიტების არსი – წიგნი ზნეთსწავლულობის კარგი იარაღიაო. ამ იარაღით იღვწის დღესაც, როდესაც სიბრძნეშემატებულს უფრო ქვეყნის ბედი აღელვებს, გულწრფელად წუხს, რომ „ყველა თვალხილული ვერ ხედავს ქვეყნის სანახავს“. პოეტმა კარგად იცის ქართველი კაცის ბუნება და ხასიათი, იცის და ეამაყება კიდეც, თუმცა ერთი პერიოდი კიდევაც ნანობს, რომ ჩახედულია ქართველის სულის სიღრმეში: „ბუნება ვიცი ქართველი კაცის, ვაი, რომ ვიცი, ვიცი და მზარავს“. პოეტი დარწმუნებულია, რომ წერაქვით, თოხით და ნამგლით, ბარით და ხანჯლით ჩვენამდე მოტანილი მამული მარად იქნება ქართველთა სულიერი ერთიანობის, სიყვარულისა და ერთგულების დედაბოძი.

**გურამ თაყნიაშვილი**

◉ ინფორმაცია

## სუბელიანსა და უგულავას არ დააჯარიმებენ

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არ დააკმაყოფილა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ (საიასძ სარჩელი ცესკოს წინააღმდეგ, რომლითაც თბილისის მერის გიგი უგულავასა და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის კობა სუბელიანის დაჯარიმებას ითხოვდა.**

როგორც სასამართლოს პრესსამსახურიდან იტყობინებიან, აღნიშნული პირები პოლიტიკურ თანამდებობებზე იმყოფებიან და საჯარო მოხელეებად არ ითვლებიან.

– გარდა ამისა, კანონი სამუშაო საათებში სააგიტაციო კამპანიაში მონაწილეობას საჯარო მოხელეებს უკრძალავს. იმ პერიოდში კი, როდესაც მათ მიხეილ სააკაშვილის აგიტაციაში მიიღეს მონაწილეობა, სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, ოფიციალურად დარეგისტრირებული არ ყოფილა,– განმარტეს სასამართლოში.

როგორც ცნობილია, საიამ ცესკოსგან მოითხოვა სუბელიანისა და უგულავას დაჯარიმება. მას შემდეგ, რაც ცესკომ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ სასამართლოს მიმართა.

**ინტერპრესნიუსი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

● **სეზონის ფარდის ჩამოშვების წინ ქართველმა ძიუდოისტებმა ოლიმპიური ჩემპიონის – შოთა ხაბარელის თავკაცობით ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე დამაჯერებლად სძლიეს პოლონელებს, ფრანგებს და რუსებს. მესამედ ერგოთ ოქროს მედლები.**

**ამ წარმატებას წინ უძღოდა უფრო დიდი გამარჯვებებიც. ყველაზე თვალსაჩინო – ბრაზილიაში**

## ◎ უეფას თასი

# მხოლოდ შედეგები



**ჯგუფური რაუნდის უკანასკნელი ტური:**

**„ა“ ჯგუფი.** „ალკმაარი“ – „ევერტონი“ 2:3, „ლარისა“ – „ნიურნბერგი“ 1:3.

„ევერტონი“ – 12, „ნიურნბერგი“ – 7, „ზენიტი“ – 5, „ალკმაარი“ – 4, „ლარისა“ – 0 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** „ატლეტიკო“ – „პანათინაიკოსი“ 2:1, „აბერდინი“ – „კოპენჰაგენი“ 4:0.

„ატლეტიკო“ – 10, „პანათინაიკოსი“ – 9, „აბერდინი“ – 4, „კოპენჰაგენი“ – 3, „ლოკომოტივი“ – 2 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** „ფიორენტინა“ – „მლადა“ 2:1, აეკი – „ვილიარეალი“ – 1:2.

„ვილიარეალი“ – 10, „ფიორენტინა“ – 8, აეკი – 5, „მლადა“ – 5, „ელფსბორგი“ – 1 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „ჰამბურგი“ – „ბაზელი“ 1:1, „რენი“ – „დინამო“ (ზაგრებიძ 1:1.

„ჰამბურგი“ – 10, „ბაზელი“ – 8, „ბრანი“ – 4, „დინამო“ (ზაგრებიძ, „რენი“ – 2-2 ქულა.

**„ე“ ჯგუფი.** „ციურიხი“ – „ლევერკუზენი“ 0:5, „ტულუზა“ – „სპარტაკი“ 2:1.

„ლევერკუზენი“ – 9, „სპარტაკი“ – 7, „ციურიხი“ – 6, „სპარტა“ – 4, „ტულუზა“ – 3 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** „ბაიერნი“ – „არისი“ 6:0, „ბრაგა“ – „ცრვენა ზვეზდა“ 2:0.

„ბაიერნი“ – 8, „ბრაგა“, „ბოლტონი“ – 6-6, „არისი“ – 5, „ცრვენა ზვეზდა“ – 0 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** „ხეტაფე“ – „ანდერლეხტი“ 2:1, „ჰაპოელი“ – „ოლბორგი“ 1:3.

„ხეტაფე“ – 9, „ტოტენჰემი“ – 7, „ანდერლეხტი“ – 5, „ოლბორგი“ – 4, „ჰაპოელი“ – 3 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** „გალათასარაი“ – „აუსტრია“ 0:0, „პანიონიოსი“ – „ბორდო“ 2:3.

„ბორდო“ – 12, „ჰელსინგბორგი“ – 17, „გალათასარაი“, „პანიონიოსი“ – 4-4, „აუსტრია“ – 1 ქულა.

**თითოეული ჯგუფიდან ბრძოლას უეფას თასისათვის 3-3 საუკეთესო კლუბი გააგრძელებს.**

# ასე დაწყვილდნენ

**გუშინ შვეიცარიის ნიონში გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის კენჭისყრა. ამ დიდ ევროპულ ტურნირში მონაწილეები ასე დაწყვილდნენ:**

**„სელტიკი“** (შოტლანდიაძ – **„ბარსელონა“** (ესპანეთიძ, **„ლიონი“** (საფრანგეთიძ – **„მანჩესტერ იუნაიტედი“** (ინგლისიძ **„შალკე“** (გერმანიაძ – **„პორტუ“** (პორტუგალიაძ, **„ლივერპული“** (ინგლისიძ – **„ინტერი“** (იტალიაძ, **„რომა“** (იტალიაძ – **„რეალი“** (ესპანეთიძ, **„არსენალი“** (ინგლისიძ – **„მილანი“** (იტალიაძ, **„ოლიმპიაკოსი“** (საბერძნეთიძ – **„ჩელსი“** (ინგლისიძ, **„ფენერბახჩე“** (თურქეთიძ – **„სევილია“** (ესპანეთიძ.

**შეხვედრები გაიმართება 19-20 თებერვალსა და 4-5 მარტს. პირველ ადგილზე მითითებული გუნდები, პირველ მატჩებს თავიანთ მინდორზე გამართავენ.**

## ◎ კალათბურთი

# მოკლედ

**ევროლიგის ჯგუფური ეტაპის მეცხრე ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** „სიენა“ – ცსკა 66:69, „ოლიმპიაკოსი“ – „ოლიმპია“ 113:80, „პროკომი“ – „ჟალგირისი“ 80:85, „ბოლონია“ – „ტაუგრესი“ 69:85.

ცსკა – 8, „ტაუგრესი“, „სიენა“ – 6-6, „ოლიმპიაკოსი“, „ჟალგირისი“ – 5-5, „ოლიმპია“ – 3, „ბოლონია“ – 2, „პროკომი“ – 1 მოგება.

**„ბ“ ჯგუფი.** „მილანი“ – „ეფესი“ 73:76, „ციბონა“ – „უნიკახა“ 62:76, „არისი“ – „ლე მანი“ 93:74, „მაკაბი“ – „რიტასი“ 82:87.

„უნიკახა“, „რიტასი“ – 7-7, „ეფესი“, „მაკაბი“ – 6-6, „არისი“ – 5, „ციბონა“ – 3, „მილანი“ – 2, ლე მანი“ – 0 მოგება.

**„გ“ ჯგუფი.** „პარტიზანი“ – „რუანი“ 82:76, „ბროზე“ – „პანათინაიკოსი“ 58:72, „რომა“ – „რეალი“ 69:64, „ულქერი“ – „ბარსელონა“ 78:85.

„პანათინაიკოსი“ – 8, „ბარსელონა – 7, „რეალი“ – 6, „ულქერი“, „პარტიზანი“ – 4-4, „რომა“, „რუანი“ – 3-3, „ბროზე“ – 1 მოგება.

## ◎ ტყვიის სროლა

# რევანში სარეკორდო შედეგით

**უკვე გაუწყეთ, რომ ამას წინათ ტყვიის მსროლელთა ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა და ოლიმპიადის პრიზიორმა ირადა აშუმოვამ აჯობა ყველას. მაშინ მასპინძელს მცირედით ჩამორჩა ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა.**

სახელოვანი სპორტსმენები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ცეცხლის ხაზზე, ამჯერად თბილისში დედაქალაქის ღია ჩემპიონატზე. სალუქვაძემ რევანში აიღო, თანაც მსოფლიო რეკორდით – 395 ქულით გაიმარჯვა (ოფიციალური მიღწევა – 393 ქულა სვეტლანა სმირნოვას ეკუთვნისძ. საგულისხმოა, რომ ქართველ ჩუბინს ამგვარი შედეგი 1988-89 წლების საკავშირო ჩემპიონატებზეც აქვს ნაჩვენები.

მეორე-მესამე ადგილები 377-377 ქულით ირადა აშუმოვამ და ნინო უჩაძემ გაინაწილეს.

## ◎ ორბიტაზე

### გაიმართება კასპაროვ-ანანდის მატჩი?



**ჭადრაკში ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი, ინდოელი ვიშვანათან ანანდი ოცნებობს ყოფილ მსოფლიო ჩემპიონთან გარი კასპაროვთან შეხვედრაზე. თუკი ეს მოხდება, ანანდი ძალზე ბედნიერი იქნება.**

„მე დიდხანს არ მიწევდა კასპაროვთან თამაში, – უთხრა მოჭადრაკემ ჟურნალისტებს, – ჩემთვის უდიდესი სიხარული იქნება, თუკი ის სპორტში დაბრუნდება. მინდა, ერთხელ კიდევ შევხვდე ჭადრაკის დაფასთან“.

შეგახსენებთ, რომ ვიში ანანდმა წლეულს, სექტემბრის ბოლოს, მეხიკოში დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი, 2000 წელს თეირანში რომ მოიპოვა. ახლა ინდოელი ემზადება საიანვრო ტურნირისთვის „კორუსი“, რომელიც ნიდერლანდებში უნდა გაიმართოს და რომელზეც 38 წლის დიდოსტატმა უკვე ხუთჯერ გაიმარჯა.

### „პლეიბოისთვის“ უფრო ხშირად გაიხდიან

**ასე „დაემუქრა“ ამერიკული რესლინგის ერთ-ერთი მთავარი ლამაზმანი კენდის მიშელი ჯორჯიის შტატის სპორტისა და გასართობების საქმეთა კომისიას, რომელიც აპირებს კრების მოწვევას ბოლო დროის საჭირბოროტო საკითხებზე – მათ შორის, რესლინგში მომრავლებულ დარღვევებზე. სწორედ ეს კომისია აკონტროლებს შტატში კრივის და საბრძოლო ხელოვნების სხვა სახეობებს, მათ შორის შეჯიბრებებზე ბილეთების გავრცელებასაც.**

ეს გარემოება არ მოსწონს რესლინგის მსოფლიო კორპორაციას (WWEძ, რომელიც კომისიის კონტროლიდან გამოსვლით იმუქრება, თუკი ის შეზღუდავს მის უფლებებს. კორპორაციას ამის სრული უფლება აქვს, რადგან 2005 წელს მინიჭებული უფლებით, თუკი კორპორაციის აქტივები 25 მილიონ დოლარს აღემატება, შეუძლია დამოუკიდებლობის მიღება.



კომისიას კი, როგორც ჩანს, განსაკუთრებით აღელვებს ის ფაქტი, რომ WWE-ში გაერთიანებული ქალები აქტიურად მონაწილეობენ ეროტიკულ ფოტოსესიებსა და ფილმებში. ერთ-ერთი მათგანი კი სწორედ კენდის მიშელია (ფოტოზეძ.

## ◎ ძიუდო

**წამით იელვა ფანდმა ტატამზე...**
**ოვაციები მოსწყდა ტრიბუნებს.**
**დიახ, იპონი!**
**დასტურს იძლევა ხელის აწევით ყველა არბიტრი...**
**სიხარულს ვერ მალავენ ჩვენი ბიჭები.**
**უკვე მეორედ ამარცხებენ რჩეულ ფალავნებს ჩრდილოელი მეზობლებისას.**
**გზას იკვალავენ კვარცხლბეკისაკენ...**

# გამარჯვებებით დამშვენებული წელი

სეზონის ფარდის ჩამოშვების წინ ქართველმა ძიუდოისტებმა ოლიმპიური ჩემპიონის – შოთა ხაბარელის თავკაცობით ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე დამაჯერებლად სძლიეს პოლონელებს, ფრანგებს და რუსებს. მესამედ ერგოთ ოქროს მედლები.

ამ წარმატებას წინ უძღოდა უფრო დიდი გამარჯვებებიც. ყველაზე თვალსაჩინო – ბრაზილიაში.

– ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მსგავსი შედეგი არ გვქონია, – მითხრა **შოთა ხაბარელმა.** – თავად განსაჯეთ: ჩვენმა გუნდმა რიო-დე-ჟანეიროში მსოფლიო ჩემპიონატზე 2008 წლის ოლიმპიური თამაშების 5 ლიცენზია დაისაკუთრა. ეს მაშინ, როცა იაპონელებს, ფრანგებს და რუსებს მხოლოდ 2-2 საგზური ერგოთ. ირაკლი ცირეკიძემაც სასიამოვნოდ გაგვაოცა, როცა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველა მეტოქე დაამარცხა და ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. 18 წელიწადი ველოდით ამ დღეს. არადა, ქუთაისელმა ფალავანმა ფინალში ოლიმპიურ ჩემპიონ ილიას ილიადისს (ჯარჯი ზვიადაურიძ აჯობა.

კვლავ გვასახელა გუნდის ვეტერანმა ნესტორ ხერგიანმა. მან მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ჩემპიონობაც შეეძლო – გადამწყვეტ ბრძოლაში მძლეველ ჰოლანდიელ რუბენ ჰოუკესს ხომ მან შარშან ევროპის ჩემპიონატზე მოუგო. მსაჯების არაობიექტურობამ განაპირობა შეხვედრის შედეგი. პასიური ჭიდაობისთვის ქართველ ფალავანს მისცეს გაფრთხილება. პირიქით კი უნდა ყოფილიყო. მარცხის საფრთხე რომ იგრძნო, ნესტორმა შეუტია, თუმცა ერთ-ერთ მომენტში შეცდა, რაც ძვირად დაუჯდა. ხერგიანი ჩვენს გუნდში არა მარტო ყველაზე გამოცდილი და ტიტულებით დახუნძლული ძიუდოისტია, არამედ – შრომისმოყვარეობითა და თავდადებითაც სამაგალითო.

საკმაოდ დამაჯერებლად იჭიდავა ლაშა გუჯეჯიანმაც. მისი მესამე ადგილი ჩემპიონობის ტოლფასია, რადგან პირველ წრეში უნებლიე შეცდომით ტამერლან ტმენოვთან დამარცხების შემდეგ ზედიზედ 6 მეტოქეს სძლია, მათ შორის სახელოვან ფალავნებს – ვან დერ გესტს და აბდულო ტანგრიევს. ბოლო სამი წელიწადია, ლაშა სტაბილურად გამოდის საერთაშორისო სარბიელზე, ევროპის ჩემპიონატზე წლეულს მეორე იყო. ყველაზე აქტიური მძიმეწონოსანია. სიმაღლის პრობლემას უზადო ტექნიკითა და სისხარტით ანეიტრალებს. პეკინის ოლიმპიადისთვის იგი დიდად გვეიმედება.

რიო-დე-ჟანეიროში კარგად იჭიდავეს წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა დავით ქევხიშვილმა და ლომერ ჟორჟოლიანმა, რომლებმაც მე-5 ადგილებით 2008 წლის ოლიმპიადის ლიცენზიები დაიმსახურეს. მეტს მოველოდით ევროპის ორგზის ჩემპიონ ზაზა კედელაშვილისგან. მართალია, იგი უსაგზუროდ დარჩა, მაგრამ 124 ქულა აქვს და ჩინეთის დედაქალაქში გამგზავრების უფლების მოსაპოვებლად ცოტაღა დარჩა. იმედია, დანაკლისს გაისად თბილისის სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირზე აინაზღაურებს.

ზემოთ ევროპის ჩემპიონატი ვახსენე.



ჩვენმა ბიჭებმა კონტინენტის პირველობაზე ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს. ამგვარი შედეგიც არასდროს გვქონია. ყოველივე ეს კი იმის საფუძველს გვაძლევს, რომ პეკინში წარმატებულ გამოსვლაზე ვიფიქროთ.

**– თქვენ არაფერი გითქვამთ იმაზე, რომ შოთა ხაბარელი წლეულს მესამედ აღიარეს ევროპის საუკეთესო მწვრთნელად...**



– მართლაც, არაჩვეულებრივი განცდა გეუფლება ადამიანს, როცა შრომას გიფასებენ, თანაც საერთაშორისო მასშტაბით. სპორტული კარიერის განმავლობაში ჯილდოების მეტი რა მიმილია, მაგრამ პოლონეთში ჭაბუკივით ვიგრძენი თავი, როცა ევროპის ძიუდოს ფედერაციების პრეზიდენტთა კონგრესზე საუკეთესოდ დამასახელეს და დარბაზში 3-4 წუთი ტაში არ შეწყვეტილა. ევროპელ კოლეგებში ჩემი გამორჩევა ძიუდოს ქართული სკოლის კიდევ ერთ დიდ აღიარებად მიმაჩნია.

**– პოლონეთის კონგრესზე, რამდენადაც ვიცი, თბილისის საერთაშორისო ტურნირის გადატანის საკითხიც განიხილებოდა...**

– დირექტორთა საბჭოზე მართლაც მწვავე მსჯელობის საგნად იქცა თბილისის ტურნირი. ზოგიერთი ვარაუდობდა, რომ 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში დესტაბილიზაცია არ არისო გამორიცხული. სხდომის მონაწილეები დავარწმუნე, რომ ჩვენს დედაქალაქში ჩამოსულ სტუმრებს საფრთხე არ დაემუქრებოდათ. მხარი დამიჭირა ევროპის ძიუდოს კავშირის პრეზიდენტმა სერგეი სოლოვეიჩიკმა, რომელიც ახალი წლის დამდეგს გვესტუმრება და ყველაფერს საკუთარი თვალით ნახავს. ასე რომ, თბილისის საერთაშორისო ტურნირი 26-27 იანვარს სპორტის სასახლეში გაიმართება. დაახლოებით 50-მდე ქვეყნის წარმომადგენლები გვეწვევიან, ამიტომ ამ შეჯიბრებისთვის საფუძვლიანად უნდა მოვემზადოთ, რათა საკუთარი მაყურებლის თვალწინ არ შევრცხვეთ...

ქართველი ძიუდოისტები შოთა ხაბარელის ხელმძღვანელობით ახალი სეზონისთვის პირველ საწვრთნელ შეკრებას ამჟამად ბაკურიანში გადიან, სადაც თვის ბოლომდე დარჩებიან, ახალი წლიდან კი თბილისში ივარჯიშებენ.

**ვაჟა დანელია**


№ 251. შაბათი, 22 დეკემბერი, 2007 წელი.

# უცნობი მხრიდან

● სტალინს მე ვეკიდები ზუსტად ისე, როგორც ნაპოლეონს, ალექსანდრე მაკედონელს, იულიუს ცეზარს ან პეტრე დიდს. ჩემთვის ეს გახლავთ ისტორიული პერსონაჟი, ოლონდ ჩემი ქვეყნისა და ჩემი წარსულისა



◎ სხვა გაზეთიდან



**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი იური ჟუკოვი ესაუბრება „ლიტერატურნაია გაზეტას" მიმომხილველს ალექსანდრე კონდრაშოვს.**

# პოლიტბიუროს საგანგებო საქაღალდეთა საიდუმლოებანი

რა ვქნათ, თუ ქვეყნის ევროპულ ნაწილში ნაყოფიერი მიწა ერთ გლეხზე უკეთეს შემთხვევაში 5-6 მეასედი ჰექტარია? შეიძლება სასაქონლო მეურნეობისათვის ხელის მოკიდება, ესე იგი, მუშაობა თავისი თავისათვისაც და გასაყიდის მოსატოვებლადაც? ვისი ბრალია, რომ ჩვენ ვართ ჩრდილოეთ მიწა, რომ ტულიდან დაწყებული, მიწები არც არაფერს არ იძლევიან, რომ ნოყიერი ნიადაგები მხოლოდ უკრაინაში და ჩრდილოეთ კავკასიაშია". იმაზე თუ წავალთ, რომ ყოველ გლეხს ვარგუნოთ მიწის ის ფართობი, რაც აუცილებელია საწარმოოდ — სტანდარტული ამერიკული ფერმა, — მაშინ სოფლიდან გლეხების ცხრა მეათედის გამოსახლება მოგვიწევს. სადა? რა, არის სამუშაო ადგილები? თუ არის, სად იცხოვრონ? ასეთია დღევანდელი მდგომარეობა, მაგრამ პირველი ხუთწლედის წლებში ასჯერ უფრო საშინელი იყო.

**— თქვენ ამაში ხედავთ საწარმოპატიმრული გულაგის იმპერიის გაჩენის მიზეზს?**

— არსაიდან არაფერი არ აიღება. გულაგები იყვნენ აშშ-შიც, ინგლისშიც, საფრანგეთშიც. ფრანგებს კატორღა ჰქონდათ სამხრეთ ამერიკაში — საფრანგეთის გვიანა. ეგ კატორღა ჩვენს კოლიმისაზე საშინელი იყო: იქ თუმცა არ იყინებოდნენ, მაგრამ იყვნენ ჭანჭრობები, მალარია, შხამიანი გველები, ალიგატორები და ეშმაკმა იცის, კიდევ რა — ადამიანები რამდენიმე თვეში კვდებოდნენ. ყველა ქვეყანას ჰქონდა საკუთარი გულაგები, უბრალოდ არ ჰქონდათ ციმბირი, სადაც 12 თვე ზამთარია, „დანარჩენი" კი — ზაფხული. განა ლენინმა, სტალინმა, იაგოდამ შექმნეს ეს გაყინული კონტინენტი? რა ვქნათ, თუ მოსაპოვებელია კალა, ურომლისოდაც მრეწველობა უძლურია, კალა კი კუნძულ კოლგუევზეა, კუნძული კოლგუევი კი ბარენცისა და კარიბის ზღვებს შორისაა, სადაც ნახევარი წელიწადი ღამეა, ნახევარი წელიწადი — დღე, ხოლო ტემპერატურა ზაფხულში პლუს სამ გრადუსზე ზემოთ არ ადის?.. მოხალისედ ხომ იქ არავინ არასდროს არ წავა!..

**— ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ ალტერნატივა არ იყო: ან ვეებერთელა მსხვერპლი, მაგრამ იქნება ქვეყანა, ან არ იქნება ქვეყანა და მსხვერპლი შეუდარებლად მეტი იქნება?**

— რა თქმა უნდა, ადამიანებს ესმოდათ ეს. ისინი მზად იყვნენ გასაჭირვებლად, ბევრ რამეს იკლებდნენ იმ შეგნებით, რომ ეს საჭიროა მათთვის თუ არა, მათი შვილებისათვის. მართლაც რომ უდიდესი ენთუზიაზმი იყო ომის წინ, პირველი ხუთწლედების წლებში.

**— ძალიან გავრცელებულია აზრი, რომ სტალინი პათოლოგიურად სასტიკი იყო და მანიაკურად ისწრაფოდა ძალაუფლებისკენ.**

— ამ თვალსაზრისს აქტიურად ავრცელებდა ხრუშჩოვი. აი, ვინც სწორედ რომ „მანიაკურად ისწრაფოდა" ძალაუფლებისკენ. რაც შეეხება სისასტიკეს, რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ტროცკის სიმხეცეები — დეციმაციები წითელ არმიაში, კაზაკობის გენოციდი, რეპრესიები სამღვდელოების წინააღმდეგ, მძევლების დახვრეტები (იმათ რიცხვში ბავშვებისაც) — მილიონებს შეეხო. ტროცკის იდეური მიმდევარი, მსოფლიო რევოლუციისათვის მებრძოლი ხრუშჩოვი კი 1930-იანი წლების მასობრივი რეპრესიების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო. დამახასიათებელი ფაქტი: 1937-ის ივლისში „ძვირფასი ბატონი ნიკიტა" დეპეშით (მე ეს დოკუმენტი ხელში მეჭირაძ) სთხოვდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დამატებით კიდევ 8500 მოსკოველის დახვრეტის უფლებას, მაგრამ ეჟოვიც კი იძულებული იყო, რომ ეს ციფრი 5000-მდე დაეწია.

კი, სტალინის დროს და შემდეგაც ქვეყანას სამოქალაქო ომის ადამიანები მართავდნენ, ნამდვილად სასტიკი ადამიანები. აქ არ შემიძლია არ გავიმეორო სიტყვები, რომლებსაც ჩერჩილს მიაწერენ: „რუსეთი სტალინმა კავიანი ჩაიბარა, დასტოვა კი ატომურბომბიანი". ეს ისტორიული გზა სულ ორ ათწლეულში, დიდი სამამულო ომის ჩათვლით, გაიარა ჩვენმა ქვეყანამ.

### „ჩვენები მოვიდნენ"

**— თქვენ რწმენის, რელიგიის საკითხს შეეხეთ...**

— არც სტალინი, არც მისი ამხანაგები ცხოვრებაში ნორმალურ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ ჩვენი ქვეყნის გადაქცევის კურსის წინ წაწევის საქმეში არასდროს არ გამოდიოდნენ რელიგიის, როგორც ასეთის წინააღმდეგ. ისინი მტკიცედ ემხრობოდნენ იმ აზრს, რომ რელიგია ყოველი ადამიანის კერძო საქმეა. სტალინის დროს მხოლოდ იმისათვის, რომ მორწმუნეა — არა აქვს მნიშვნელობა, ვისი სწამს, ქრისტესი, ბუდასი, იეღოვასი თუ მაჰმადისა, — არავინ არასოდეს არავის არ დაუჭერია. დიახ, ბოლშევიკები იბრძოდნენ 1920-იან, ხოლო 1930-იან წლებში უკვე ისე ძალიან



აღარ, იმასთან შედარებით, რასაც შემდეგ ეკლესიას უშვრებოდა ხრუშჩოვი. სტალინი 1943 წელს წავიდა რუსული მართლმადიდებლური სტრუქტურის აღდგენაზე პატრიარქის წინამძღოლობით.

**— რისთვის?**

— ეროვნული კურსის განმტკიცებისათვის. სტალინმა კომუნისტური დოქტრინებისაგან ჩამოშორება დაიწყო 1934 წელს, როცა მისი წინადადებით ქვეყანა ერთა ლიგაში შევიდა, იმ ერთა ლიგაში, რომელსაც ის პირადად ჯერ კიდევ 1929 წელს ჯოჯოხეთის მოციქულად აცხადებდა. მერე პარიზსა და პრაღასთან ანტიგერმანული ხელშეკრულების დადებაზეც წავიდა, რაც ატლანტის აღდგენის ფორმა გახლდათ. კიდევ მერე, 1935 წელს დაიწყო კომინტერნის ფაქტობრივი ლიკვიდაცია და სახალხო ფრონტებით შეცვლა, რომლებმაც მალე საფრანგეთსა და ესპანეთში გაიმარჯვეს. ყველა კომპარტიას მიეცა წინადადება: გინდათ მთავრობაში შესვლა, ძალაუფლების აღება — იმოქმედეთ ნორმალური საპარლამენტო გზით. ეს ერთობ მნიშვნელოვანი იყო. დაბოლოს, ომის წინ — ბრძანება ხელოვნების საქმეთა კომიტეტის ხაზით: მოიხსნას კამერული თეატრის რეპერტუარიდან ბოროდინის კომიკური ოპერა „დევგმირები" დემიან ბედნის ახალ ტექსტზე; ბრძანებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ სახელი უტყდება რუსეთის მონათვლის იდეას, რომელმაც პროგრესული მნიშვნელობა იქონია ქვეყნის განვითარებაზე. სტალინმა არმიაში აღადგინა სამხრეულებიც, პერსონალური წოდებებიც, აღადგინა საეკლესიო იერარქიული სტრუქტურაც. ის მიხვდა, რომ არ შეიძლება ხალხისთვის ეროვნული სიამაყის გრძნობის დაკარგვინება. აი, 1943 წლის დასაწყისის ანეკდოტი. ძველი მეფის გენერალი მიდის დილით ფანჯარასთან, უცქერის ქუჩას, სადაც სამხრეულებიანი ბიჭები მარშით მოაბიჯებენ და ცოლს ეძახის: „მაშა, მაშა, აქეთ, აქეთ ჩქარა, ჩვენები მოვიდნენ!"

სტალინმა ძალიან სერიოზული ნაბიჯი გადადგა მარჯვნივ, ხოლო თეთრგვარდიულმა ბანაკმა მაშინვე გადადგა ნაბიჯები სტალინის მიმართულებით. პავლე მილიუკოვი, კადეტთა ლიდერი, კაცი, რომელმაც ფაქტობრივად შექმნა თეთრი მოძრაობა, გაზეთ „პოსლედნიე ნოვოსტის" 1941 წლის 23 ივნისის ნომერში წერდა, რომ ამიერიდან მთელმა რუსულმა ემიგრაციამ მხარი უნდა დაუჭიროს საბჭოთა კავშირსა და სტალინს, ვინაიდან „თუ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, ვუღალატებთ სამოქალაქო ომის პერიოდის საკუთარ იდეალებს". როცა მერეჟკოვსკიმ და გიპიუსმა იმავე დღეს ჰიტლერს მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს, მათ მთელმა ემიგრაციამ შეუწყვიტა მისალმება.

**— კრასნოვის კაზაკების მრავალათასიანი დახვრეტები? მილიონობით სამხედრო ტყვეები, რომლებიც გერმანული საკონცენტრაციო ბანაკებიდან გულაგში გადაასახლეს?**

— აი აქ კვლავ ვდგებით მიმონაგონებისა და ლეგენდების მერყევ ნიადაგზე. კაზაკები, რომლებზეც ლაპარაკია, გერმანულ მუნდირებს ატარებდნენ, პარტიზანებს ანადგურებდნენ იუგოსლავიაში, მოკავშირეებს ებრძოდნენ საფრანგეთში, როცა იქ აგზავნიდნენ. ესენი გერმანული, ნაცისტური ფორმირებები იყვნენ, ისეთივენი, როგორც სს-ის ესტონური, ლატვიური დივიზიები. კრასნოვის კაზაკები ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ ომობდნენ და რა, შევიცოდოთ? ფრანგები ხომ არ შეუშინდნენ პეტენის გასამართლებას იმისათვის, რომ გერმანელებთან ზავს მოაწერა ხელი და საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაური გახდა ბერლინის ეგიდით, ფრანგებმავე გარკვეული დროით აუკრძალეს კოკო შანელს მუშაობა იმისთვის, რომ ის დაუფარავად ცხოვრობდა ესესელთან, აუკრძალეს გამოსვლა ედიტ პიაფს იმისთვის, რომ გერმანელებს უმღეროდა.

რაც შეეხება ჩვენს სამხედრო ტყვეებს, რომელნიც გულაგში აღმოჩნდნენ — ბევრწილად ეს ისევ მონაჩმახია. გაგახსენებთ, რომ ინგლისში, დაწყებული 1940 წლიდან, დიუნკერკის შემდეგ, კონტინენტიდან კუნძულებზე ნებისმიერი გაქცეული საფილტრაციო ბანაკში ხვდებოდა, სადაც აჩერებდნენ ერთი დღე, ერთი თვე, ერთი ან რამდენიმე წელი, სანამ შემოწმებები არ მთავრდებოდა — გერმანელებს ხომ არ მოუგზავნიათო. ასე მოქმედებდნენ ინგლისელები. ჩვენთანაც იგივე იყო. ამოწმებდნენ სამხედრო ტყვეებს: იყვნენ თუ არა ვლასოვის არმიაში, მუშაობდნენ თუ არა გერმანულ ქარხნებში, თუ საკონცენტრაციო ბანაკებში დარჩენის ფასად ერთზეც უარს ამბობდნენ და მეორეზეც. შემოწმების შემდეგ კი შესაბამისად ან სჯიდნენ, ან უშვებდნენ.

### გვახსოვდეს მერმისი

**— ჩვენი ქვეყნისათვის როგორი დასკვნის გამოტანა შეიძლება იქიდან, რაც პოლიტბიუროს საგანგებო საქაღალდეებმა გაგიმხილათ?**

— ვიმედოვნებ, რომ ეგების წარსულმა ოდესმე ჭკუა ასწავლოს ჩვენს ხელისუფლებას და მან თავი დაანებოს იმ ბავშვივით მოქცევას, რომელიც ფიქრობს, თითქოს უკვე დღესვე შეიძლებოდეს დემოკრატიის შემოღება. არსად ეს არ ყოფილა და არც იქნება. ერთი დღის განმავლობაში შეიძლება კაპიტალიზმის აშენება. სამი დღის განმავლობაში არ შეიძლება საშუალო კლასის შექმნა. ჩვენთან რატომღაც ავიწყდებათ, რომ მთელ მსოფლიოში საშუალო კლასს შეადგენენ ექიმები, იურისტები, პროფესურა. ჩვენთან კი საშუალო კლასად გაიაზრებიან ლოტოს მოთამაშეები, რომლებიც აკეთებენ იმას, რასაც მთელ მსოფლიოში აკეთებენ ემიგრანტები იმ ქვეყანაში ყოფნის პირველ თვეებში, სადაც ჩავიდნენ. ეს არ არის საშუალო კლასი. ჩვენთან სულ მესამეხარისხოვანს გადააქცევენ ხოლმე მთავრად, მთავარს კი დავიწყებას აძლევენ. მთავარი სადღეისოდ გახლავთ მეცნიერება. უიმისოდ არ იქნება განათლება, არ იქნება მედიცინა, არ იქნება თავდაცვა — არაფერი არ იქნება. ჩვენთან ატომით დაკავებულ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს იმდენს უხდიან, რამდენსაც დამლაგებელ ქალს მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სამინისტროში. მინისტრმა ფურსენკომ ეს შესანიშნავად იცის და მაშასადამე, 1930-იანი წლების საზომებით, ხალხის მტერია, იმიტომ, რომ მეცნიერების მოსპობით ქვეყნის მერმისს სპობს.

მე არც ის მესმის, თუ როგორ შეიძლება მსჯელობა ფასების მოულოდნელ ზრდაზე! მთელ მსოფლიოში საცალო ფასს მწარმოებელი ნიშნავს. ჩვენთან კი მწარმოებელსა და ცალობით ვაჭრობას შორის 5, ზოგჯერ კი 10 გადამყიდველია. ამასთან, ბრძოლა ხომ ძალიან ადვილია. შეიძლება დღეს ნებისმიერი საქონლის გადაყიდვის ამკრძალავი კანონის გამოცემა. გაყიდვა მხოლოდ მწარმოებელთა ფასებით — და ფასებიც უმალვე დაეცემა.

ჩინოვნიკები. ისინი სადღეისოდ გაცილებით მეტნი არიან რუსეთში, ვიდრე სსრ კავშირში იყვნენ — პარტიულებიც და სახელმწიფოც. უნდა ვიმოქმედოთ ისე, როგორც 1926 წელს მოქმედებდნენ: შემცირდეს ჩინოვნიკობა 10-ჯერ და გამოთავისუფლებული განსხვავება მოხმარდეს პენსიების გაცემას. ყველაფერი ამის გაკეთება შეიძლება ერთ დღეში. ქვეყანასა და ხალხზე უნდა ვიფიქროთ და ყველა ოლიგარქი ფეხებზე დავიკიდოთ. ჩვენთან უყვართ სოლოვეცკის ქვაზე ლაპარაკი. ჰოდა, რატომ არ უნდა ვკითხოთ „მემორიალელებს": რანაირად იქცა ერთი კაცის საკუთრებად ნორილსკის კომბინატი, პატიმართა ძვლებით შექმნილი, — მრავალი წელი ხომ მხოლოდ ისინი მუშაობდნენ? მაგ კაცს რა, იქ გარდაცვლილთა ძვლები იყიდა? საერთოდ, როგორ გახდა ის გულაგის ნაწილი? აბრამოვიჩიც ხომ აგრეთვე ნათქვამია. ამრიგად და მაშასადამე, ჩვენთან უბრალოდ შეიცვალა გულაგის ფორმა: ადრე ბანაკები იყვნენ, ახლა კი ოლიგარქები? ისინი კი, ვინც ამბობს, თითქოს ასეც უნდა იყოსო, სწორედ იმათთაგანნი არიან, ვინც დასმენებს წერდა ბანაკების შესავსებად.

ჩემთვის გულაგის გამოცდილება უკიდურესად უარყოფითია, ოლონდ შეიძლებოდა თუ არა მაშინ სხვანაირად? არ ვიცი, იმ დროს ხელისუფლებაში არ ვყოფილვარ. თუმცა უბრალოდ, როგორც ჰუმანისტს, არ ძალმიძს ამის აღქმა და როგორც ჰუმანისტს, არ ძალმიძს ოლიგარქთა აღქმა, რომლებმაც ბანაკების უფროსები შეცვალეს.

**— ბოლო კითხვა, თითქმის როგორც ცნობილ ძველ ფილმში: ბატონო იური, თქვენ სტალინისტი ხართ?**

— არა, სტალინს მე ვეკიდები ზუსტად ისე, როგორც ნაპოლეონს, ალექსანდრე მაკედონელს, იულიუს ცეზარს ან პეტრე დიდს. ჩემთვის ეს გახლავთ ისტორიული პერსონაჟი, ოლონდ ჩემი ქვეყნისა და ჩემი წარსულისა.

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 249-250.**

● *თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ,*
*ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!*



**მათქმევინეთ!**

# ხუხულა ჭერიც თავზე არ ჩამოგვენგრეს

**მე რომ რუსულის გარდა ინგლისური, ან გერმანული, ფრანგული, ან სხვა რომელიმე საერთაშორისო ენა ვიცოდე, ამ ენებზე დავწერდი ამ წერილს, მერე რედაქტორს ვთხოვდი დაებეჭდა იგი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს, თითოეულს ცალ-ცალკე წაეკითხა და რამდენიმე, ჩემთვის მეტად მნიშვნელოვან კითხვაზე გაეცათ თავიანთი კომპეტენტური პასუხი. თუ თარჯიმანს მივანდობ ამ საქმეს, გააჩნია ვინ იქნება იგი, რა ჭკუაზე იქნება და რომელ პარტიას ეკუთვნის, (მით უმეტეს, ამ გაგანია საარჩევნო პერიოდშიძ.**

ამიტომ ისევ ჩემს მშობლიურ ენას მივმართავ:

ყველა ქვეყანაში ასეა, – არჩევნები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა! და ამ მოვლენას ყველა თავისებურად აღნიშნავს. ნამდვილ, დემოკრატიულ ქვეყნებში იგი შედარებით უმტკივნეულოდ მიმდინარეობს; ცოტა უფრო ნაკლებ დემოკრატიულში მანიფესტაციები და „მედია-წკიპურტები“ იკბინებიან; იქ კი, სადაც დემოკრატია ჯერ ისევ „მიყურისძირებულია“, ტანკები, ნილბები, „გაზის ყუმბარები“ და ტყვიებიც კი მოქმედებენ!

მთავრობა თავს იკლავს, მე ვარო ის, ვინც ქვეყნის ხვალინდელ დღეზე ფიქრობს, მე ვარო ქვეყნის ამყვავებელი, დანარჩენები კი – მოღალატეები! ოპოზიცია კი, საპირისპიროს ამტკიცებს და მიდის გაწევ-გამოწევა – „არა მე“ „არა შენო“! და ამ გაწევ-გამოწევაში იჭყლიტება ხალხი. ვინაა მტყუან-მართალი, ტარტაროზიც ვერ გაერკვევა. ჰოდა, აბა მე რას გავუგებ და ამიტომაც გამიჩნდა შეკითხვები:

ვითომ სჯობს, კრილოვისეული იგავისა არ იყოს, „ლებედ რაკ და შჩუკას“ მეთოდით „იბრძოდეს“ ოპოზიცია? იქნებ, გადალახონ ამბიციები და ერთმანეთს უფრო საქმიანად ჩაუდგნენ მხარში! მე „დაბოლმილი“ კაცის პოზიციებიდან საუბარიც არ მომწონს, „მართალი“ გითხრათ, მით უფრო, როდესაც ხალხის სახელით საუბრობენ, თორემ, ვიფიქრებ, ამათ მხოლოდ თავიანთი „ტყავი“ აწუხებთ-მეთქი! აბა, დააკვირდით „ხელისუფლების ნაციონალურ“ ფრთას, როგორ ყვირიან ხმის ჩახლეჩამდე და „აფრქვევენ სიბრძნეს“, თუ როგორ ააშენეს ქვეყანა, როგორ გაიყვანეს გზები, დადგეს შადრევნები, როგორ ჩაატარეს „ბრწყინვალე“ რთველი და ასე შემდეგ... როგორ აფრქვევენ ტყუილ მართალს, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე კითხულობს ვისი ფულით კეთდება ყოველივე ეს, ვისი დანაზოგია იგი და ვისა აქვს უფლება ფლანგოს ხალხის ფული?

... ჰოდა, თქვე დალოცვილებო, რატომ არ „ყვირით“ კიდევ უფრო ხმამაღლა? მაგრამ მოდით დავანებოთ თავი ასეთ „ინტრიგანულ“ კითხვებს და პირდაპირ გადავიდეთ საარჩევნო ბატალიებზე. სწორედ ამ ბატალიებმა მიკარნახა უცხო ენაზე გამომექვეყნებინა ეს ბარათი, თორემ ქართულად მაინც არ კითხულობენ „დიდი კაცები“ გაზეთებს და წერე და იკითხე რამდენიც გინდა!

მაგრამ მაინც.

კანდიდატი, რომელიც იყო პრეზიდენტი, მაგრამ უკვე გადამდგარია და „კაბინეტიდან გამოსული“, აქვს უფლება თუ არა, რომელიმე სამინისტროს (ამ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტროს!ძ უბრძანოს (ხაზს ვუსვამ –„უბრძანოს“!ძ –„ხვალ დილითვე“ მიანიჭოს ვინმეს საქართველოს მოქალაქეობა?... ან დაპირდეს ვინმეს „დღეიდანვე დავიწყებთო“ ამა თუ იმ ნაგებობის (საცხოვრებელი თუ სხვაძ მშენებლობას?

უბრძანოს (ხაზს ვუსვამ –„უბრძანოს“!ძ სახელმწიფო სამსახურებს დღეიდან, და მყისიერად მოუმატონ ხელფასები, თუ პენსიები, სტიპენდიები თუ გრანტები ადამიანებს და ეს ადამიანები „დააპურო“?, განკარგო ის თანხა და საშუალებები, რომლის განკარგვის უფლება შენ უკვე არა გაქვს, რადგან არავინ არა ხარ, – გარდა ერთი უბრალო კანდიდატისა „რომლის მსგავსი საქართველოში ოცამდე მოიძებნა, თურმე? ოღონდ განსხვავება ისაა, რომ ამ ოციდან 19-ს ხელი არ მიუწვდება ბიუჯეტზე! და თუ ბიუჯეტიდან არ მოდის ეს „სახსრები“, ვისი „სახსარიდანაა“, ან საიდან მოვიდა ის „მაყუთი“, რომელსაც ასე უხვად არიგებს ჯერ ისევ კანდიდატი?

მე, რა თქმა უნდა, არავითარი უკმაყოფილება არ შეიძლება მქონდეს,რომ ხალხს, ხელფასებს, პენსიას უმატებენ, მაგრამ როცა ეს ხდება არჩევნების წინა დღეებში და ისიც ისეთი კაცის „ენით“, რომელსაც სისხლივით სჭირდება ხმები, სხვა „სუნი უდის“ და ამ კითხვებზე მინდა გაგვცენ პასუხი ჩვენმა „საერთაშორისო“ ძმებმა, რადგანაც საცოდავ საქართველოს არავინ უსმენს, ამასობაში კი, რა ჭერიც გვქონდა, ისიც თავზე გვენგრევა!

**ზაურ ფიფია**

**ხსოვნა**

# ლერი ჩომახიძე

**69 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი არქიტექტორი, თბილისის სახელმწიფო, სამხატვრო აკადემიის პროფესორი ბატონი ლერი ჩომახიძე.**



**იგი უყვარდა ყველას, ვინც მას იცნობდა, როგორც ნაღდ თბილისელს, კოლორიტულ და სიკეთით სავსე პიროვნებას. მან თავისი ნაყოფიერი, პედაგოგიური და შემოქმედებითი მოღვაწეობით დაიმკვიდრა უანგარო შემოქმედისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის სახელი. მთელი ცხოვრება იგი ეწეოდა პრაქტიკულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას არქიტექტურულ სახელოსნოებსა და თსსა არქიტექტურის ფაკულტეტზე. ლერი ჩომახიძე გამოირჩეოდა მეცნიერული და შემოქმედებითი პროცესების შერწყმის შესაშური უნარით.**

**აღსანიშნავია მის მიერ გამოსაცემად გამზადებული მონოგრაფია "არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები". წლების მანძილზე იგი მუშაობდა "საქკურორტპროექტის" არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელად, სადაც განახორციელა მრავალი საინტერესო პროექტი. აღსანიშნავია აფხაზეთისა და აჭარის საკურორტო ზონაში შექმნილი მცირე არქიტექტურული ფორმები. ბატონი ლერი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.**

**სტუდენტებთან მუშაობისას გამოირჩეოდა გულისხმიერებით და ითვლებოდა ერთ-ერთ სამაგალითო პედაგოგად. შესანიშნავი ადამიანური თვისებების გამო მას ბევრი მეგობარი ჰყავდა. ახალგაზრდა თაობისთვის იყო მაგალითის მიმცემი, ღრმად ეროვნული ნიშან-თვისებების მატარებელი პატრიოტი. პატრიოტიზმის დამადასტურებელი ნათელი მაგალითია მისი მონაწილეობა ვაჟიშვილთან ერთად აფხაზეთის ომში. იგი იყო ყველა რაინდული თვისებით დაჯილდოებული, რაც მის დარბაისლურ გარეგნობას ასე უხდებოდა.**

**იყო კაცთმოყვარე, ოჯახის ტრადიციების მიმდევარი, ერთგული, მოსიყვარულე მეუღლე და მამა, ქეიფის და ნადირობის ყადრის მცოდნე ვაჟკაცი.**

**ბატონი ლერი მიეკუთვნებოდა იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც ღირსეულად განვლილი ცხოვრების მეშვეობით თვითონ ქმნიან თავიანთ ბიოგრაფიას და ტოვებენ ნათელ კვალს ადამიანთა ხსოვნაში.**

**ღრმა ეროვნული იდეურობა, საკუთარი ღირსების გრძნობა, მაღალი პროფესიონალიზმი, საშური შრომისმოყვარეობა და თავმდაბლობა აყალიბებდა მის პიროვნებას. ამ თვისებების გამო იგი გამორჩეულად უყვარდათ სტუდენტებს, კოლეგებსა და მეგობრებს.**

**ბატონმა ლერიმ ღირსეულად იცხოვრა და პირნათლად მოიხადა ვალი ქვეყნის, ოჯახის და სამეგობროს წინაშე.**

**ბუმბულივით ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.**

**მეგობრები**

# ჯემალ ბახტაძე

**გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, გენერალ-მაიორი ჯემალ ბახტაძე.**

**ჯემალ ბახტაძე დაიბადა 1938 წელს ქ.ხონში. მისი საინჟინრო, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა მოიცავს 45 წელს. იგი 1992 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობდა მისივე ინიციატივით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაარსებულ კონსტრუქციების დაზიანების დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის კათედრას, იმავე დასახელების სამეცნიერო ლაბორატორიას, იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგისა და ექსპერტიზის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს საგანგებო სიტუაციების გაფრთხილებისა და ლიკვიდაციის პრობლემების საბჭოს ექსპერტი, რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციებისა და ლიკვიდაციის პრობლემების საბჭოს ექსპერტი, საქართველოს ავტომფლობელთა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.**



**გამოქვეყნებული აქვს 171 სამეცნიერო შრომა, მათ შორის 5 მონოგრაფია, 3 დამხმარე სახელმძღვანელო, 3 მეთოდური მითითება და 60 გამოგონება.**

**პროფესორ ჯემალ ბახტაძის სამეცნიერო და საინჟინრო მოღვაწეობა შეიძლება დახასიათდეს ძირითადად ორი ახალი სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულების შექმნით, გამოქვეყნებული შრომებით.**

**პირველი – მის მიერ მსოფლიოში პირველად დაწყებულია და დღემდე გრძელდება სამუშაოები ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების შესაქმნელად, რომლებიც გათვალისწინებულია გამოქვეყნებული იქნას კონსტრუქციების მუშაუნარიანობისა და მთლიანობის კონტროლისათვის დიაგნოსტიკურ ცენტრებში გამოსაყენებლად, პირველ რიგში ატომურ ენერგეტიკაში, ავიაკოსმურ ტექნიკაში და ქიმიურ მრეწველობაში, ტექნიკური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად.**

**მეორე – სითხის წვეთის ლაზერულ-თერმული აფეთქების შედეგად ძალოვანი ველის მიღებისა და გამოყენების პრინციპებისა და მეთოდების დამუშავება. ამ მეცნიერული მიმართულებით პირველად გამოკვლეულია ლაზერულ-თერმული აფეთქებით მიღებული ძალოვანი ველის გამოყენება შტამპვაში, ვიბრატორში, მედიცინაში – სისხლის მიმოქცევის ხელოვნურ სისტემაში, იარაღის ახალი სახეობის სისტემაში და ა.შ.**

**ასეთი ტიპის აპარატების შექმნისათვის მსოფლიო გამოფენაზე მიღებული აქვს უმაღლესი ჯილდო – ოქროს მედალი „საუკეთესო კონსტრუქციის ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდის გამოგონებისა და შექმნისათვის“, ასევე ერთი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალი.**

**მისი ხელმძღვანელობით საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 7 ასპირანტმა, ხოლო სადოქტორო – ორმა მაძიებელმა.**

**2000 წელს პროფესორი ჯემალ ბახტაძე დაჯილდოვდა ღირსების მედლით.**

**მას დარჩა მეუღლე და სამი შვილი.**

**პროფესორ ჯემალ ბახტაძის ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგების, აღზრდილების, ნათესავ-მეგობრების გულში.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
საქართველოს საინჟინრო აკადემია.



**ინფორმაცია**

# გარდაიცვალა ბორის ნიკოლსკი

**შვეიცარიის ერთ-ერთ კლინიკაში, 19 დეკემბერს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 71 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მეორე მდივანი ბორის ნიკოლსკი.**

აღსანიშნავია, რომ სსრკ-ის რესპუბლიკების ცკ-ის მეორე მდივნის პოსტები ტრადიციულად ე.წ. „არაეროვნულ კადრებს“ ეკავათ.

თბილისში სამუშაოდ ნიკოლსკი მოსკოვიდან გადმოიყვანეს, რაც იმჟამად საკავშირო ხელმძღვანელობის მხრიდან განსაკუთრებული დამოკიდებულებისა და ყურადღების თავისებურ სიგნალს წარმოადგენდა.

ბოლო დრომდე ბორის ნიკოლსკი ქალაქ მოსკოვის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალაქის მეურნეობის კომპლექსის ხელმძღვანელი იყო, მოგვიანებით – მოსკოვის მთავრობის წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციის საბჭოში.

**ჯი-ეიბ-ენი**

**საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს მერაბ გარსიძეს დედის**

**ჟენია ჩიბირაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**საქართველოს ასოციაცია „მონკავშირის“ გამგეობა და აპარატის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მოღვაწე, საქართველოს ფლორისა და ფაუნის დიდი მოყვარული და მოამაგე, გურიის მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაციის რეგიონალური საბჭოს უცვლელი თავმჯდომარე, საქართველოს საპატიო მონადირე**

**ვლადიმერ ჯინჭარაძე**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

● საქართველოს მებრძოლი ეკლესიიდან ზეციურ მეღლესასწაულე ეკლესიაში ამაღლებულ ქრისტიანთა ჩამოთვლა შეუძლებელია, ასევე, შეუძლებელია ასეთ ქრისტიანთა ღვაწლის აღწერა



## სულიერება

# წამებულნი და ღირსნი მამანი და დედანი



ქვათეთრის ყოველთა ქართველთა წმიდათა მონასტერი

**24 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ყველა წმინდანს, რომელიც საქართველოში ეწამნენ; ქართული აგიოგრაფიული ძეგლებისა და საქართველოს ისტორიის გაცნობისას სამართლიანად იბადება აზრი, რომ ზეციური საქართველო განუზომლად დიდია.**

...ცნობილია, რომ ძალიან ბევრმა ქართველმა მოიზანა მიწიერი მწიკვლი ქრისტესთვის თავდადებით უსჯულოებთან ბრძოლისას, ასევე ძალიან ბევრმა განიწმინდა სული მონასტრის ცივ კელიებში ლოცვით, მარხვითა და მოღვაწეობით; მხოლოდ ღმერთმა იცის ჩუმად მოღვაწე იმ ერისკაცთა და დედათა შესახებ, რომლებიც დაუღალავად ჭედდნენ საქართველოს ეკლესიისა და ერის მომავალს.

წმინდა მამა გიორგი მთაწმინდელმა თავის დროზე ბრძანა: „რაჟამს ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არა სადა უარგვიყოფიეს და არცა ოდენ წვალებასა მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი“.

საქართველოს მებრძოლი ეკლესიიდან ზეციურ მეღლესასწაულე ეკლესიაში ამაღლებულ ქრისტიანთა ჩამოთვლა შეუძლებელია, ასევე, შეუძლებელია ასეთ ქრისტიანთა ღვაწლის აღწერა; მოგვიანებით დიდი აკაკი წერეთელი ამის შესახებ იტყვის: „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა, და ან ცაზე ვარსკვლავები, ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლავები“.

სწორედ ამ შეუძლებლობის გამო წერია დღევანდელ, 24 დეკემბრის მოსახსენებელში, რომ „საქართველოში წამებულთა და ღირსთა მამათა და დედათა შორის უნდა ვიგულისხმოთ“, და ყველასათვის ცნობილ წმინდათა სახელებს გარდა, ქართული ანბანის მიხედვით ჩამოთვლილია მამათა და დედათა სამასამდე ქართული წარმოშობის სახელი...

წირვის შემდეგ, ტრადიციისამებრ, ამბიონიდან მღვდელ-მსახურნი ტაძარში შეკრებილ მრევლს ასე მიმართავენ, დღეს ყველა თქვენგანის (რა სახელსაც არ უნდა ვატარებდეთ) დღესასწაულიაო, ხოლო მგალობლები „მრავალჟამიერს“ გალობენ...

**გიული ლიპარტია**

## ექსპრეს-ტელეფონები

# კანდიდატი გისმენთ



ლევან გაჩეჩილაძის შტაბი – თოფურიას ქ. №10 (ტელ. 32-05-47 ან 32-05-81ძ.



ბადრი პატარკაციშვილის შტაბი – ბოჭორმის ქ. № 20 (ტელ. 74-65-18, 74-69-68, ცხელი ხაზი 74-69-66ძ.



დავით გამყრელიძის საარჩევნო შტაბი – „მემარჯვენეების“ ოფისი, მის. ორთაჭალა, ჟანი კალანდაძის ქ. №3-ში (ტელ: 72-15-10ძ.



შალვა ნათელაშვილის შტაბი – ჯავახიშვილის ქ. №88 (ტელ: 91-16-17 ან 94-39-22, 91-04-05ძ.



მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბი – ფილარმონია, მეორე სართული (ტელ. 92-05-87 ან 92-05-89ძ.



გია მაისაშვილის შტაბი – ყაზბეგის ქუჩა №44 (ტელ: 39-46-17ძ.



ირინა სარიშვილის შტაბი – აღმაშენებლის პრ. 52 (ტელ: 91-09-17 ან 91-09-16ძ.

## სტიქია

# იმერეთი ელექტროენერგიის გარეშე

**ფიდერებზე არსებული დაზიანებების გამო იმერეთის რეგიონის 33 ათას 890 აბონენტი კვლავ ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. ამის შესახებ „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თეონა გეგუჩაძემ განაცხადა. მისივე თქმით, დაზიანებული გადამცემი ხაზების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის 35-კილოვატიანი „ვარციხის“ აღდგენა უკვე მოხერხდა.**

– დიდთოვლობამ განსაკუთრებულად ვანის, ბაღდათისა და ზესტაფონის რაიონები დააზარალა, თუმცა უკვე შეკეთებულია ავარიულად გამორთული ყველა ტრანსფორმატორი. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტალური ფილიალის ტექნიკური სამსახურები ელექსტროქსელში აღდგენით სამუშაოებს საგანგებო რეჟიმში განაგრძობენ, – განაცხადა თეონა გეგუჩიძემ.

**ქრონიკა**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“

კოსტავას 12

98-65-87; 899 32-85-76.

## ინფორმაცია

# ვაზაგაშვილის ოჯახი კუთვნილი ავტომანქანის დაბრუნებას ითხოვს

**2 მაისს კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციისას გარდაცვლილი ზურაბ ვაზაგაშვილის ოჯახის წევრები და ადვოკატები სამართალდამცავებს იმ ავტომანქანის დაბრუნებას სთხოვენ, რომელშიც ზურაბ ვაზაგაშვილი ჩაცხრილეს. ადვოკატების ვარაუდით, ავტომანქანას ოჯახს შეგნებულად არ უბრუნებენ, ვინაიდან იგი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას წარმოადგეს.**

– ამ მანქანასთან დაკავშირებით დავნიშნეთ ალტერნატიული ექსპერტიზა, რომლის დანიშვნისთანავე შეწყვიტეს გამოძიება. მანქანა ობიექტური გამოძიებისთვის უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებაა. მისი გადმოცემისთანავე შევძლებთ უამრავ გარემოებას ნათელი მოვფინოთ, – აცხადებს ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი.

ადვოკატ ირმა ჭკადუას თქმით კი, ავტომანქანის გარდა არაა დაბრუნებული ის ტანსაცმელი, რომელიც ზურაბ ვაზაგაშვილს გარდაცვალების დღეს ეცვა.

**ქრონიკა**

## ანეკდოტები

– თუ იცი, რით ისჯება ორცოლიანობა?
– არა.
– ორი სიდედრით.

* * *



– ამ ტაბლეტებს საერთოდ არა აქვს გვერდითი მოვლენები, მათი მიღების შემდეგ მანქანის ტარებაც შეგეძლებათ, – ეუბნება ექიმი სვანს.
– ეს რა კარგი ტაბლეტები ყოფილა. მე ხომ მანქანის ტარება არ ვიცი.

* * *

მთვრალი მიხო სახლში შუაღამისას ბრუნდება.
– სად მიდიხარ? – ეკითხება პოლიციელი.
– მივდივარ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის მავნებლობაზე ლექციის მოსასმენად.
– ღამის სამ საათზე? ვინ წაგიკითხავს ამ ლექციას?
– ცოლი და სიდედრი.

* * *

– როდესაც ბოლოს მივედი სახლში, ბავშვებმა ვერ მიცნეს.
– როდესაც გამოფხიზლდი?
– როდესაც გამოვფხიზლდი, მივხვდი, რომ სხვის ბინაში შევსულვარ.

* * *

– გილოცავთ, თქვენს ორგანიზმში ახალი სიცოცხლე ჩაისახა! – ეუბნება ექიმი პაციენტს.
– კი, მაგრამ მე ხომ კაცი ვარ, ექიმო?
– ჭიებისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.